


69 / 9



# თეატრალური კლასიკა



1969

6

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

# მოამბე

№ 6 (52)

ნომბერი—დეკემბერი

11124.

**შ ი ნ ა პ რ ს ი:**

ახალი მწვერვალების მისადგომებთან (მოწინავე) . . . . .	3
გუგული ბუხნიკაშვილი — გიორგი ერისთავის თეატრი . . . . .	6
თეიმურაზ ჭანგულაშვილი — გაუმარჯოს ქართულ თეატრს (ლექსი)	8
შალვა მაჭავარიანი — სახელოვანი იუმბილარი . . . . .	9
შალვა გოზალიშვილი — ქართული თეატრის ისტორიიდან . . . . .	13
გიორგი ხარატიშვილი — „ღონ-კარლოსის“ დადგმის შესახებ . . . . .	16
კალე ბობოხიძე — ვერიკო ანჭავარიძეს (ლექსი) . . . . .	18
სოლომონ ხუციშვილი — გრიშაშვილის ბიბლიოთეკის წიაღიდან . . . . .	19
ქლენე შაფათავა — გერმანული დრამატურგია ქართულ სცენაზე . . . . .	22

**რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან**

ნინო შვანგირაძე — ქუთაისის თეატრის გასული სეზონი . . . . .	24
ნინო ქიქოძე — ლ. სანიკიძის „მედეა“ ცხინვალის თეატრში	26
ია აბულაძე — „კრიმინალური ტანვარჯიშის“ . . . . .	28
ეთერ შორჭულიანი — პატარები ტაშს უკრავენ . . . . .	29
ლეილა კოშკაძე — ნიჭის მადლი . . . . .	31
ხარიტონ ვარდოშვილი — თეატრის ტრფიალი (ლექსი) . . . . .	31

**ღვაწლმოსილთა გახსენება**

ერეკლე ლუკაშვილი — ალექსანდრე სუმბათაშვილი . . . . .	32
ქეთევან ხუციშვილი — გრიგოლ სულიაშვილი . . . . .	34
პავლე ხმალაძე — თეოფილე ხუსკივაძე . . . . .	37

**ქ რ ო ნ ი კ ა**

იოსებ გორდულაძე — ზეიმი ფთოში . . . . .	39
რომან ლომინაძე — შემოქმედებითი თანამეგობრობა . . . . .	39
მიხეილ გიფიმურელი — გულითადი შეხვედრა . . . . .	40
ნიკოლოზ მიქაშავიძე — სოხუმის თეატრის მუზეუმში . . . . .	40
ნიკო კევლიშვილი — ზესტაფონის სახალხო თეატრში . . . . .	41

**თეატრალური კალენდარი, 1970**

მნიშვნელოვანი თარიღები . . . . .	42
თეატრალური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია . . . . .	44

**რედაქტორი — მრეწველთა ქარაიზაციული  
პასუხისმგებელი მდივანი — გურამ ბათიაშვილი**

**საკრედიტო კოლეგია:** დ. ანთაძე, ვ. გოძიაშვილი, ო. ეგაძე, ნ. გურაბანიძე, დ. მკედლიძე, ბ. ჟღენტაძე, ნ. შვანგირაძე, გ. ციცი-შვილი, ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

## ახალი მწეაკვალუბის მისაღზომეზთან

მიიწურა 1969 წელი. იხედებით უკან, თვალს ავლებთ ჩვენი ხალხის განვლილ შემოქმედებითს შრომას და გული სიამაყით გვესებათ. ამ ერთ წელიწადში რამდენი რამ გაკეთდა ჩვენს ქვეყანაში! სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის რომელი დარგიც უნდა აიღოთ, განცვიფრებაში მოგიყვანთ მათი განუხრელი აღმავლობა, — საწარმოო ძალების გიგანტური ზრდა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გაქანება, სოციალისტური საზოგადოების მატერიალური და სულიერი დოვლათის სიდიადე, ხალხის მასების საყოფაცხოვრებო პირობების უმაგალითო გაუმჯობესება.

სოციალისტური საზოგადოების ამ საყოველთაო აღმავლობაში, კომუნისმის სულიერი წინამძღვრების შექმნაში, ყოველმხრივად განვითარებული და ყოველმხრივად მომზადებული ახალი ადამიანის აღზრდაში სულ უფრო და უფრო დიდ-მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ლენინური პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებით აღჭურვილი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება.

1969 წელს თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა ჩვენმა მხატვრულმა კულტურამ. ამ საყოველთაო აღმავლობაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულმა თეატრმაც. განვლილ სეზონში, რომელიც დიდი ბელადის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების ნიშნით მიმდინარეობდა, ჩვენი დედაქალაქისა და პერიფერიების სახელმწიფო თეატრებმა არა ერთი მნიშვნელოვანი დადგმა განახორციელეს. განსაკუთრებით სასიამოვნო მოვლენა იყო ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლების წარმატება ბოლონეთში და რუსთავის ახალგაზრდა თეატრის გასტროლებისა მოსკოვში.

ეროვნული კულტურის დიდ ზეიმად გადაიქცა რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ ცენტრში, ამავე დროს, ჭეშმარიტად მეორე თეატრალურ ცენტრში ქ. ქუთაისში ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის ფილიალის გახსნა. ეს არ იყო უბრალო ფაქტი. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ქუთაისის ფილიალი პირმშოა ქართული საბჭოთა თეატრალური და სამუსიკო ხელოვნების უმაგალითო წარმატებებისა, იმ დიდი და განუხრელი მზრუნველობისა, რომელსაც ჩვენი პარტია, საბჭოთა ხელისუფლება მშრომელთა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობისათვის იჩენენ. თბილისის შემდეგ ქუთაისი ისტორიულად ყოველთვის განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ქართული თეატრის განვითარებაში.

მის წიაღში წარმოშობილი და დაწინაურებული მსახიობები, რეჟისორები, კომპოზიტორები, მომღერლები მუდამ ჭეშმარიტ შემოქმედთა პირველ რიგებში იდგნენ და მშობლიურ ხელოვნებას საყოველთაო სახელსა და დიდებას უზენველდნენ.

1969 წელს ქართულმა თეატრმა მნიშვნელოვან სპექტაკლებთან ერთდ საინტერესო სცენური სახეებიც შექმნა და მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედის შესაძლებლობა გამოამჟღავნა. პირველ რიგებში დაწინაურდნენ ახალგაზრდა რეჟისორები და მსახიობები, რომლებმაც მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისების

მკაფიო მაგალითები გვიჩვენებს და მაყურებლებში მომავალი დიდი წარმატებების იმედები აღძრეს. მაგრამ როგორი ოპტიმიზტებიც არ უნდა ვიყოთ, ძნელია გადავფასოთ 1969 წლის მიღწევები და ვერ დავინახოთ ის ნაკლოვანებები, რომელთა დაძლევისათვის ჯერ კიდევ დიდი ფიქრი და შრომა გვჭირდება.

ამას წინათ გაზეთი „ბრავდა“ სამართლიანად წერდა:

„როცა აღვნიშნავთ ხალხთა ძმობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეებით გამსჭვალული საბჭოთა მრავალეროვნული კულტურის დიდ მიღწევებს, ლენინის იუბილესათვის მზადებით გამოწვეული მხატვრული შემოქმედების ახალ აღმავლობას, არ შეიძლება არ დავინახოთ ისიც, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა ნაწარმოები ჯერ კიდევ მთლიანად არ შეესაბამება მშრომელთა იდეურ-ესთეტიკური აღზრდის გაზრდილ ამოცანებს. უკმაყოფილების გრძნობას იწვევს ცალკეული წიგნები, ფილმები, სპექტაკლები, რომლებშიც საბჭოთა ადამიანი წარმოდგენილია სულიერად გაღარიბებული, ხოლო სოციალისტური სინამდვილე, მისი გმირული წარსული და აწმყო ხშირად დახატულია ცალმხრივად, დამახინჯებულად“.

ეს სიტყვები ჩვენი თეატრალური ხელოვნების მდგომარეობასაც ეხება და მის ნაკლოვანებებს ზედმიწევნით გამოხატავს. ცალკეულმა წარმატებებმა სრულიადაც ხელი არ უნდა შეგვიშალოს საღად შევაფასოთ მდგომარეობა, რათა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ შემდგომი განვითარების კონტურები და ამოცანები. ჩვენი თეატრების რეპერტუარში ძალიან მცირე ადგილი უჭირავს თანამედროვეობის ამსახველ მაღალმხატვრულ ქმნილებებს, რომლებშიც გადმოცემული იქნება დიდი მოქალაქეობრივი მისწრაფებები და ვნებები, სოციალისტური ჰუმანიზმისა და ხალხურობის პრინციპები, სეზონის საუკეთესო სპექტაკლები უმთავრესად წარსულის მასალას ასახვენ. თეატრი და დრამატურგია ღრმად ვერ სწვდებიან ჩვენი დღეების სიღიადეს, ვერ ახერხებენ ჯეროვანი ხორცი შეასხან მოწინავე ადამიანთა სახეებს, გაგვიტაცონ კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანების კეთილშობილი საქმეებით, აგვანთონ საქვეყნო მოღვაწეობით, კომუნიზმის დიადი იდეებით, ჩავვინერგონ საბჭოთა ადამიანის ზნეობრივი სისპეტაკე.

უმნიშვნელო თემატიკა, განყენებული „კაცთმოყვარეობა“, როცა დავიწყებულია კლასობრივი თვალსაზრისი, რასაც ზოგიერთი ჰუმანიზმად ნათლავს, ჩვენი თანამედროვე ცხოვრების მხოლოდ ნაკლოვანებების ქექვა და მათი გაზვიადება კი არ ემსახურება, არამედ ხელს უშლის ჩვენი საზოგადოების დიადი იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლას, მცდარად წარმოგვიდგენს ჩვენი ხელოვნების წმინდა მოვალეობას.

„სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების ოსტატები მოწოდებული არიან, — წერს „ბრავდა“, — მართლად, პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებიდან ასახავდნენ ცხოვრებას მთელი თავისი სირთულით, მთელი თავისი რეალური წინააღმდეგობებით, ახლისა და ძველის ბრძოლაში, ქმნიდნენ დიდი მოქალაქეობრივი ქდერადობის, ღრმა ფილოსოფიური აზრის ნაწარმოებებს, რომლებიც აქტიურად დაეხმარებიან ხალხს კომუნიზმის მშენებლობაში. ასეთ მიდგომას საერთო არა აქვს რა ნაკლოვანებათა წინა პლანზე წამოწევისთან, ჩირქის მომცხებ ტენდენციებთან“.

1970 წელი დიდი ბელადის, ოქტომბრის რევოლუციის შემოქმედის, სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, კაცობრიობის ბედნიერი მომავლის დიადი შუქურის — ვ. ი. ლენინის საიუბილეო წელია. ეს წელი დიდ ამოცანებსა და

ბასუხისმგებლობას აკისრებს ყველა მშრომელს. განსაკუთრებით დიდი და საბატონოა ის ამოცანები, რომლებიც მხატვრული ინტელიგენციის წინაშე დგანან. მხატვრულმა ინტელიგენციამ უნდა შექმნას უკვდავი ქმნილებები, რომლებშიც ასახული იქნება დიდი ბელადის ცხოვრება და მისი იდეების განხორციელებისათვის ბრძოლის სახელოვანი ზეახალი.

საიუბილეო წელს თეატრმა ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს შემჩნეული ნაკლოვანებების დასაძლევად და ახალი შემოქმედებით წარმატებების მოსაპოვებლად. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამისათვის ერთგვარი წინაპირობანი დაისახა. ჩვენი თეატრების ნაკლოვანებათა მთავარი წყარო დრამატურგიაა. დრამატურგიის ჩამორჩენა თავისთავად იწვევს თეატრის ჩამორჩენასაც. როდესაც თეატრის ნაკლოვანებებზე ვლაპარაკობთ, დრამატურგიასაც ვგულისხმობთ და საყვედურებს მწერლების მისამართითაც ვამბობთ. მხოლოდ რეჟისორებსა და მსახიობებს როდი ვადანაშაულებთ!

მაგრამ, აი, 1969 წელს საუკეთესო პიესებზე გამოცხადებულმა კონკურსმა რამდენიმე საინტერესო ნაწარმოები გამოავლინა და მათი ღირსეული სცენური სიციცხლე უთუოდ მნიშვნელოვან კვალს გაავლებს ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში. ჩვენი თეატრების ვალია ხელი მოკიდონ ამ პიესებს, შეისწავლონ მათი ღირსება-ნაკლოვანებები, ავტორებთან გულმოდგინე შემოქმედებითი თანამეგობრობით იმუშაონ, დახვეწონ, გაამდიდრონ, კარგად შეარჩიონ ცალკეული როლების შემსრულებლები, დაკვირვებით და აუჩქარებლად მოამზადონ და მაცურებელს ყოველმხრივ სრულყოფილი სპექტაკლები უჩვენონ.

მხოლოდ პრემირებული პიესების მაღალმხატვრული განხორციელებაც კი საკმარისი იქნება, რომ სახელოვანი საიუბილეო წელი ჩვენმა თეატრმა ღირსეული წარმატებებით დაამთავრონ და ჩვენი თეატრალური ხელოვნების შემდგომი აღმავლობის გარკვეული ძვრები დაისახოს. ეს მეტად სიმბტომათური იქნება იმ მხრივაც, რომ 1970 წელს ქართული თეატრი თავისი განახლების 120 წლისთავს ზეიმობს.

ასოცი წლის მანძილზე ქართულმა თეატრმა საუკეთესო ტრადიციები შექმნა. საბჭოთა თეატრმა მთლიანად მიიღო ეს ტრადიციები და შემოქმედებითად აწვითარებს მას. ქართული თეატრისათვის, თავისი სიციცხლის მთელ მანძილზე, მუდამ მთავარი იყო მაღალი მოქალაქეობრივობა, იგი დაიბადა, განვითარდა და განმტკიცდა ხალხის, სამშობლოს ინტერესებისათვის ბრძოლაში და ამ ინტერესებს ჩვენი თეატრი დღესაც ღირსეულად იცავს და ემსახურება.

ქართული თეატრალური ხელოვნების მძლავრი არმია ახალი მწვერვალების მისაღწევითან დგას.

## ბიორგი ერისთავის თეატრი გზაგული გზსნიკაზმილი

ქართული თეატრის სადღესასწაულო თარიღია 14 იანვარი წლეულს განსაკუთრებული ზეიმიით აღინიშნება, რადგან სრულდება 120 წელი მას ზეცდებ, რაც 1850 წლის 14 იანვარს (ძველი სტილით 2 იანვარს) თბილისში, პირველი გიმნაზიის საექტო დარბაზში, გაიმართა გიორგი ერისთავის მიერ აღდგენილი ქართული თეატრის პირველი წარმოდგენა.

ამ ისტორიულ წარმოდგენას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.

როგორც ცნობილია, მე-18 საუკუნის ქართული თეატრი სპარსელებმა გაანადგურეს 1795 წელს თბილისის აოხრებისას. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თეატრის აღდგენა შეუძლებელი იყო, რადგან რუსეთის ცარიზმის მიერ დამყარებული კოლონიური რეჟიმი მთელი სისასტიკით ახშობდა ქართული კულტურის ყოველგვარ ჩანასახს.

ორმოციან წლებში ამიერკავკასიაში მეფის ნაცვლად დანიშნულმა მ. ვორონცოვმა მმართველობის მკაცრი სახმელრო სისტემა ქვეყნის დაპყრობის უფრო მოქნილი, შერბილებული ფორმებით შეცვალა. შემოიღო სამოქალაქო მმართველობა, ყურადღება მიექცია კულტურა-განათლების საკითხებსაც. ახლა უკვე შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ქართული თეატრის არსებობასათვის და გამოინახა თეატრის ორგანიზატორიც. ეს იყო იმ დროს კარგად ცნობილი პოეტი და დრამატურგი გიორგი ერისთავი.

თავდაპირველად ერისთავმა შეადგინა სცენისმოყვარეთა წრე თავდაზნაურთაგან და ამ ძალებით მოამზადა თავისი ახალი კომედია „გაყრა“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1850 წლის 14 იანვარს წარმოდგენამ ძალიან კარგად ჩაიარა.

წარმატებით წახალისებულმა გ. ერისთავმა იმავე წლის იანვარში „გაყრა“ გაიმეორა ეგრეთწოდებული მანეჟის თეატრში, ხოლო შემდეგ იგივე სცენისმოყვარეთა ძალებით მთელი ზამთარი და გაზაფხული ამზადებდა კომედია „ღვასა“ და იგი 3 მაისს ასევე წარმატებით წარმოადგინა.

ამ სამმა, ასე ვთქვათ, საცდელმა წარმოდგენამ განამტკიცა აზრი ქართული თეატრის არსებობის შესაძლებლობაზე. გ. ერისთავი შეუდგა ახლა უკვე პროფესიული თეატრის შექმნას. პირველყოელისა უნდა ეთქვას მსახიობებზე, რადგან სცენისმოყვარე თავადიშვილთა გამსახიობება

შეუძლებელი იყო, არც ერთი მათგანი, განსაკუთრებით ქალები მსახიობობას არ იკადრებდნენ. ამიტომ ერისთავი დაბალი წოდების პირებს დაეყრდნო. 1850 წლის ზაფხულს გორში შეარჩია მომავალი მსახიობები გორელ მოქალაქეთა და ღარიბ აზნაურთაგან. და შეუდგა დასის წევრების აღზრდა გაწვრთნას, ეს საქმე არც ისე იოლი იყო, რადგან არც ერთ მათგანს თეატრი და წარმოდგენა ჯერ არ ენახა. ზოგიერთს თეატრის ამბავი საერთოდ პირველად ესმოდა. მაგრამ მზადება მაინც წარმატებით მიდიოდა, რადგან თეატრის ხელმძღვანელმა და მსახიობებმაც ზედმიწევნით შეიგნეს ქართული თეატრის აღდგენის დიდი მიზანი.

პროფესიული დასის პირველი დადგმა კომედია „გაყრა“ გ. ერისთავმა თოქმის ექვსი თვე ამზადა. ამავე დროს მსახიობებს ასწავლიდა სამსახიობო პროფესიის ელემენტარულ წესებს. სამზადისი წარმოებდა გორის მახლობელ სოფელ ხიდისთავში, გ. ერისთავის სახლში, ხოლო შემოდგომამდე დასი თბილისში ჩამოვიდა და აქ განაგრძო მუშაობა.

მოგვარდა ქართული თეატრის მატერიალური და ტექნიკური მხარეებიც. ქართულ დასს დაენიშნა სახელმწიფო დახმარება — 4000 მანეთი წელიწადში. ეს მეტად მცირე დახმარება საგრძობლად ზღუდავდა ქართული თეატრის მოღვაწეობის ასპარეზს, მაგრამ სხვა გზა არ იყო, — გიორგი ერისთავი იძულებული გახდა შერიგებოდა ამ მდგომარეობას.

1851 წლის 1 იანვარს აიხადა ქართული პროფესიული თეატრის ფარდა და წარმოდგენილი იყო იგივე „გაყრა“.

ამ დღიდან დასი ოთხი სათეატრო სეზონის მანძილზე ასე თუ ისე წესიერად მართავდა წარმოდგენებს. დაბრკოლებები ბევრი იყო. პირველყოელისა ის, რომ ქართული დასი თბილისის თეატრის შენობაში ხიზანის მდგომარეობაში იყო და მისი სარეპეტიციო და სხვა მუშაობა დამოკიდებული იყო რუსული თეატრის ღირექციის სურვილზე. ამასთანავე დასი დროზე ვერ იღებდა იმ მცირე თანხებსაც კი, რაც მთვრობამ დაუწესა. მაგრამ დასი მაინც მუშაობდა, მუშაობდა თავგამოდებით, რაათა დიდი ეროვნული საქმე არ შეფერხებულყო.

ცარიზმის მმართველი წრეები მალე მიხვდნენ, რომ ასეთი მიმართულების თეატრი მათ

ნამდვილ განზრახვას ეწინააღმდეგებოდა. ყველაზე ადრე შეიძლება ამას თვით მ. ვორონცოვი მიხვდა, რომელიც ადრე ერთგვარად ეხმარებოდა თეატრს, მაგრამ თავისი შეცდომა არ შეიშინა და ბოლომდე „შეარველობდა“ ქართულ თეატრს.

მტრული თვლით უყურებდა თეატრს რეაქციული ქართველი თავადზნაურობაც, რადგან „გაყრა“ და „დავა“ არსებითად მათ წინააღმდეგ იყო მიმართული.

მომხრენი კი თეატრს ბევრი არ მოეძებნებოდა. ეს იყო რამდენიმე ქართველი და ზოგიერთი მოწინავე რუსი ინტელიგენტი. თეატრი პოპულარობით სარგებლობდა ქართველ მდბით ხალხში — თბილისის ხელოსნებსა და წვრილ ვაჭრებში, მაგრამ მოსახლეობის ეს ფენა თეატრს მხარდამჭერად ვერ გამოადგებოდა, რაგინდ აქტიურად არ გამოსულყო საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე.

1854 წლის ზაფხულს მ. ვორონცოვი რუსეთში წავიდა, ამით ისარგებლეს ცარიზმის აშკარად რეაქციულად განწყობილმა მოხელეებმა და თეატრზე იეროში მიიტანეს. გაზეთი „კავკასი“ მისდევდა რა მ. ვორონცოვის ქართული თეატრისადმი გარეგნულად კეთილ განწყობილებას, მუდამ ხელს უწყობდა თეატრს და მის მუშაობას დადებითად აფასებდა ეხლა კი ვრცელ სტატიაში, რომელშიც განხილული იყო 1853—1854 წელს. სათეატრო სეზონის შედეგები, უარყოფით აზრს გამოსთქვამდა ქართულ თეატრზე და აღნიშნავდა, რომ თეატრმა ვერ შეასრულა მთავრობის მიერ მის წინაშე დასახული ამოცანები. ამავე დროს გაზეთი ურჩევდა ქართველ დრამატურგებს დეწერათ მეფის მთავრობის სასურველი შინაარსის პიესები. ამრიგად, გაზეთი აშკარად უკარნახებდა ქართულ თეატრს და ქართველ დრამატურგებს ცარიზმის მხარტველი წრეების მორჩილად ქცეულიყვნენ.

გაზეთი თავს დაესხა თეატრს 1854—1855 წლ. სათეატრო სეზონის გახსნის შემდეგ და სასტიკად გაიციხა სეზონის პირველი სპექტაკლი „ქორთლი“.

ქართულ დასს უკვე ძალიან გაუჭირდა მუშაობა, რადგან მისი მდგომარეობა დღითი დღე რთულდებოდა. ასეთ გარემოებას ვერ გაუძლო გიორგი ერისთავმა და თეატრის ხელმძღვანელობას თავი დაანება. მაგრამ დასი არ დაიშალა.

1854 წ. დეკემბრის დამდეგს თეატრს სათავეში ჩაუდგა დრამატურგი ზურაბ ანტონოვი, ზ. ანტონოვის მოთავეობა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. იმავე თვის დამლევს ტრაგიკულად გარდაიცვალა. დასის მოთავეობა ახლა ივანე კერესელიძემ იყისრა, რომელიც კლასის დამრი-

გებელი იყო პირველ ვიმნაზიაში და ამავე დროს თეატრშიც მუშაობდა.

1855 წლის ზაფხულს თეატრს ცუდი დღე დაადგა. იმპერატორ ნიკოლოზ პირველის გარდაცვალების გამო ექვსი თვით გლოვა იყო გამოცხადებული და მთელ იმპერიაში აიკრძალა ყოველგვარი სანახაობა. კავკასიის ახალმა მეფისნაცვალმა თბილისის თეატრის ყველა დასი (რუსული, ქართული, იტალიური ოპერის, ბალეტის) დაითხოვა. ხოლო გლოვის დამთავრების შემდეგ 1855 წლის შემოდგომიდან მუშაობა განაგრძო რუსულმა დასმა, ქართული დასი კი თეატრში აღარ შეუშვეს. ის გარემოებაც არ მიიღეს მხედველობაში, რომ თეატრის დირექციას მსახიობებთან კონტრაქტები ჰქონდა დადებული, ხოლო მათურბლებს ქართული წარმოდგენების აბონემენტები ჰქონდა შექმნილი.

ქართულ დასს დაშლის მეტი არაფერი დარჩენოდა, რადგან თბილისში სხვა სათეატრო შენობა არ არსებობდა. როგორც ჩანს, სწორედ ამის იმედი ჰქონდათ თეატრის ბედის გამგებელთ. დასი მაინც არ დაიშალა. ივანე კერესელიძემ აღმოაჩინა შენობა, ძველი ქართული დარბაზი, სადაც შეიძლებოდა წარმოდგენების გამართვა. ფული ისესხა და აქ მოაწყო სცენა. ამ შენობაში გაიხსნა 1855—1856 წლ. სათეატრო სეზონი, მაგრამ ასეთ შევიწროვებულ მდგომარეობაში დასმა დიდხანს ვერ გასძლო — 1856 წელს დაიშალა.

ივანე კერესელიძე თავის მოგონებაში ასე აგვიწერს თეატრის აღსასრულს: „ექვს თვემდე მიდიოდა საქმე კარგად, შემოსავალი ურიგდებოდა აქტიორ-აქტრისებს თავის ღირსებისდაკვალად, მაგრამ ვალს-კი არა ეძლეოდა-რა, ბოლოს, როგორც იცით, ჩვენი საზოგადოების საქმე, თანავგრძობაც ცუდი გვექონდა. ხშირად, როდესაც გიორგი ერისთავი, ქალაქში ჩამოვიდოდა, დადიოდა თეატრში და გვაქეზებდა, მაგრამ ამით რა იქნებოდა; ვალი თავისას მოითხოვდა, სახლის ქირაც თავს დაევაწყდა, საჩივარი ავვიტყენეს, ლეგები, სკამები, დეკორაციები დაკვირდეს ნახევარ ფასად და ჩემი ტრუპაც დარჩა ცარიელი. რომ არა დაგერჩა-რა, ტრუპა დაიშალა, ზოგი სად წავიდა, ზოგი სად. მე დერჩი ვალში ჩაფულული, ვიმნაზიაში ვმსახურობდი და ჩემი ჯამაგირი სამი წლის განმავლობაში სულ მოვაღეებს მიქონდა...“

გიორგი ერისთავის თეატრი გაუქმდა, დასი დაიშალა, მაგრამ ამ თეატრსა და ამ ხანის დრამატურგიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული თეატრის შემდგომი განვითარებისათვის.

გიორგი ერისთავისა და მისი მოწაფის ზურაბ ანტონოვის დრამატურგია ქართული რეალისტური დრამატურგიის დასაბამია. გიორგი





ერისთავმა ცხოვრებისეული სიმართლე პირველად გამოხატა თავის ნაწარმოებებში. ილია ჭავჭავაძე გ. ერისთავის შემოქმედებაზე წერდა: „ღვაწლი გ. ერისთავისა ის იყო, რომ შექმნა ქართული თეატრი და სათეატრო მწერლობის მამამთავრად მოგვევლინა. ამით მარტო სიყვარულის და ტრფიანების მორაეში მორატული გული ჩვენი და მარტო განტოლვილ ფიქრებში წარსული ჩვენი გონება ჩვენს ცხოვრებას დააკვირვა-მიახედდა. მისი „გაყრა“ ამის მაგალითია“. ხოლო გ. ერისთავის მოწაფესა და მიმდევარზე ზ. ანტონოვზე წერდა: „მაგრამ მისგანვე ფრთა ასხმულმა ანტონოვმა, რაკი იგრძნო, რომ მე ჩემი საკუთარი ფრთები მასხიაო, თავის ოსტატს გაასწრო და მის ვიწრო მოედანს ლობეები შორს გაუდგა, სასარბიელო გაუდიდა და ეგრეთწოდებული მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრება, ავ-კარგინობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახვა“. ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით ხაზს უსვამს ზ. ანტონოვის დრამატურგის ხალხურობას, რომე-

ლიც აშკარადებოდა არა მარტო მის ნაწარმოებთა ცოცხალი, მდიდარი, მოსწრებული ხალხური ენით, არამედ საერთო მიმართულებით ეჩვენებინა მდაბიო ხალხის ცხოვრება, მისი აზრები და მისწრაფებები.

რეალისტურ დრამატურგიაზე დაყრდნობით გ. ერისთავმა შექმნა ახალი ქართული თეატრი, გამოზარდა და დაოსტატა მთელი წყება მსახიობებისა, რომლებიც თეატრის ისტორიაში ღირსეულად ამშვენებენ ქართული სცენის შემოქმედთა მოწინავე რიგებს. მათ მიერ შექმნილ სამსახიობო სკოლას მოსდევდნენ ქართული თეატრის აქტიორთა შემდეგი თაობები.

ასეთი განუზომელი დამსახურება მიუძღვის გ. ერისთავს და მის თეატრს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში და ამიტომაც არის, რომ ქართულმა თეატრმა თავის ყოველწლიურ დღესასწაულად ჭერ კიდევ ოთხმოცათხუთწლიანი დაწესა და აღიარა 14 იანვარი — გ. ერისთავის თეატრის პირველი წარმოდგენის დღე.

## ბაუჰარჯოს ქართულ თეატრს თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ასოცი წლის წინანდელი  
სხივნათელი ფარდა  
პირველშობილ ბრწყინვალეობით  
ისევე აელვარდა.  
იმ უკვდავი ფარდის ახსნა —  
სუნთქვა ახალ ქართა —  
ხალხის სულის,  
დანისლულის,  
ცის გახსნასა ჰკავდა.  
ბნელ ღამეში მძლავრი შუქის  
მოვარდნასა ჰკავდა,  
აჰყვა ხალხის გულის ქუხილს,  
შეიქიდა ავდარს.  
კვლავ დამტკიცდა:  
ქართულ სიტყვას  
ხმლის ძალაც რომ ჰქონდა  
და თეატრის სცენა იქცა  
ბრძოლის ახალ ფრონტად.  
მგოსნები რომ შეადრიან  
ღვეგმირს, ვაჟკაც მებრძოლს,  
ეს ქართული თეატრია,

ხალხის ბედს რომ ეძმო.  
ხალხის გადარჩენისათვის,  
ერისთავის,  
ენისათვის  
ჩადგა ბრძოლის ველად,  
მშრომელს მხარში ამოუდგა  
ქომაგად და მცველად-  
მერე ერთერთ ბურჯად იქცა  
ახალ საქართველოს  
და აქუხდა:  
— ნისლმა ეგ ცა  
ველარ გადათელოს!  
შენს მშენებლად,  
შენს მშვენიებად,  
შენდა სასახელოდ,  
მიგულეებდე მუდამ, ყველგან,  
ღედავ, საქართველო!  
და ჰა, დღესაც მისი დღეა,  
კვლავ იანვრის თვეა,  
გაუმარჯოს ქართულ თეატრს,  
ჩვენს მშობლიურ თეატრს!

## სახელოვნები იუბილარი

33 წელი თითქოს არც ისე დიდი დროა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლისათვის, რომ დაამტკიცოს თავისი სიცოცხლისუნარიანობა, და მაინც რამდენი რამ გააყვითა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალურმა ინსტიტუტმა განვლილი 30 წლის მანძილზე! თვალს რომ გადავავლებ ინსტიტუტის 30 წლის ისტორიას, სიამაყის გრძნობით ივსები.

თეატრალური განათლების ძველდრ ნიადაგზე დაუყვება ქართული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეთა დიდი ხნის ოცნებებს წარმოადგენდა. თავი რომ დავანებოთ აღრინდელ სახელოვან სკოლებს, გიორგი ერისთავმა ხომ ნაადვილო თეატრალური სკოლა გახსნა გორში, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. შემდგომშიც, გეხილურმა მსახიობმა ლადო მესხიშვილმა, დარწმუნდა რა თეატრისათვის მსახიობთა კადრის საგანგებო მომზადების აუცილებლობაში, 1912 წელს თბილისში დრამატული კურსები გახსნა, სადაც, გარდა თვითონ მესხიშვილია, აღსაზრდელთა პროფესიულ დაოსტატებას ხელმძღვანელობდნენ სცენის დიდოსტატები ვ. აბაშიძე, ვალ. გუნია, ვ. შალვაშვილი. ამ კურსებზე მოწვეულ იქნა აგრეთვე პედაგოგიური ინტელიგენციის საუკეთესო ხაწილი. მაგრამ სტუდიამ მხოლოდ 2 წელი იარსება. უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა მენშევიეების უღდეური ბატონობის პირობებში რეჟისორ გ. ჯაბადარის მიერ შექმნილი დრამატული სტუდია (1919—1920 წ.) მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, ორივე ამ სტუდიამ გარკვეული საქმე გააყვით ქართული თეატრისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას დამყარების შემდეგ, 1922 წლის გაზაფხულზე, გამოჩენილი რეჟისორისა და თეატრალური მოღვაწის აკაკი ფაღავას თაოსნობით, თბილისში გაიხსნა დრამატული სტუდია, რომელშიც შედარებით დიდხანს იარსება. ამ სტუდიამო მიიღო პროფესიული განათლება ქართული საბჭოთა თეატრის თითქმის ყველა შემდგომში გამოჩენილმა მოღვაწემ. აკ. ფაღავამ სტუდიაში პედაგოგებად მოიწვია იმ დროის თითქმის ყველა ცნობილი მოღვაწე. აქ ასწავლდა გენიალური თეატრ მარჯანიშვილი, რეჟისორი, აღ. ახმეტელი, მეცნიერები დ. უზნაძე, გ. ნათაძე, მწერალი კ. გამსახურდია და მრავალი სხვა.

1926 წელს სტუდია გაიხსნა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრთან, 1931 წელს

კი — მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრთან. ყველა ეს სტუდია ერთგულად ემსახურებოდა პროფესიული ცოდნით და კარგი ზოგადი განათლებით აღჭურვილ მსახიობთა კადრის აღზრდას, მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ სტუდიები ვერ აკმაყოფილებდნენ მზარდ მოთხოვნილებას. ჩვენი თეატრი, რომელსაც უნდა აესახა სოციალიზმის მშენებლობის გრანდიოზული საზოგადოებრივი მოვლენები, საქირობედა უფრო ფართო პროფესიულ და ზოგადი განათლების მქონე მსახიობთა კადრს. დადგა თეატრალური უმაღლესი სასწავლებლის შექმნის საკითხი. ეს საქმე ითავა დიდმა ქართველმა მსახიობმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ხორავამ. 1939 წ. 1 სექტემბრიდან თბილისში მუშაობას შეუდგა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, რომლის პირველი დირექტორი იყო აკაკი ხორავა, ხოლო მისი მოადგილე სასწავლო სამეცნიერო დარგში — ქართული თეატრალური განათლების ცნობილი მოღვაწე აკაკი ფაღავა.

ინსტიტუტმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა ჩვენი ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები. მის პირველ პედაგოგთა შორის იყვნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები: აკ. ხორავა, აკ. ვასაძე, პროფესორები: აკ. ფაღავა, გ. ტოვსტონოვოვი, დ. ალექსიძე, მ. მრეველიშვილი, დ. ჯანელიძე, დოცენტები: კ. პატარიძე, გ. სარჩიელიძე, ხელოვნების დამს. მოღვაწე კ. ბაღრიძე, პედაგოგები ვ. გამსახურდია, ვ. ქვინტი, ა. ფედოროვი და მრავალი სხვა. მოწვეულ იყვნენ პედაგოგებად აგრეთვე, გამოჩენილი მეცნიერები შალვა ნუცუბიძე, დიმ. უზნაძე, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ახვლედიანი, რ. ნათაძე, არ. ჩიქობავა, ვ. ბერიძე, კ. კაპანელი; სხვადასხვა დროს ჩვენს ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ პროფესორები აკ. გაწერელია, პ. ზაქარაია, ჯ. ქუმბურძიძე, გ. ნადირაძე, გ. ყორღანი, შ. მესხია და სხვები.

ინსტიტუტის დაარსების დღიდან მსახიობთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე აღ. კიკნაძე და დამსახურებული ბიბლიოთეკარი რ. მიქელაძე.

სხვადასხვა დროს ჩვენს ინსტიტუტში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ და ახლაც ეწევიან ხელოვნების დამს. მოღვაწეები აღ. მი-

ქელაძე, მ. თუმანიშვილი, რესპუბლიკის დამს. არტისტი ე. კედია, ხელ. დამსახურებული მოღვაწე მ. ბორჩხაძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ი. თავაძე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატები, დოცენტები ე. გუგუშვილი, ნ. შალუტაშვილი, ფ. ფირალიშვილი, ე. თოფურაძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. კოსტანაშვილი, შ. გოგიძე, ნ. ცხაკია და სხვ.

ინსტიტუტის პედაგოგთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა მის კურსდამთავრებულთა ხარჯზე. ამჟამად ინსტიტუტში პედაგოგებად მუშაობენ ჩვენნი ინსტიტუტის კურსდამთავრებულები, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატები, დოცენტები ბ. ნიკოლაიშვილი და ნ. ურუშაძე, უფროსი მასწავლებლები, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები: ე. იოსელიანი, ი. კაქულია, კ. სურმაია, რ. შაფთოშვილი, ე. შავთაია, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: გ. საღარაძე, ბ. კობახიძე, აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ყორღანი და უფროსი მასწავლებლები: გ. სარჩიშვილი, ნ. კანდელაკი, მ. კუჭუხიძე, ლ. კახანაძე, ლ. მირცხულავა, ნ. გაჩავა და სხვ.

დაარსების დროს ინსტიტუტში იყო მხოლოდ ერთი — სამსახიობო ფაკულტეტი, და ერთი — მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის კათედრა. ამჟამად ინსტიტუტში მუშაობს სამსახიობო, სარეჟისორო, თეატრმცოდნეობის (დასწრებული და დაუსწრებელი) და მუსიკალური კომპოზიციის ფაკულტეტები და არის უკვე ექვსი კათედრა: მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის, სასცენო მეტყველების, თეატრის ისტორიის, მუსიკალური დისციპლინების, მარქსიზმ-ლენინიზმის, თითქმის ეს კათედრა ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას ეწევა მსახიობთა, რეჟისორთა და თეატრმცოდნეთა კვალიფიციური კადრის აღზრდისათვის.

რეჟისორისა და მსახიობის აღზრდას ჩვენს ინსტიტუტში საფუძვლად უდევს გენიალური რუსი რეჟისორის კ. ს. სტანისლავსკის სისტემა. ეს სისტემა მართლაც ერთადერთი სწორი მეთოდია მსახიობის აღზრდისათვის და ამიტომ თითქმის საყოველთაოდ აღიარებულიც, არამარტო ჩვენში, არამედ ჩვენი ქვეყნის ვარეუაც.

ჩვენი ინსტიტუტის მსახიობის ოსტატობის კათედრა ცდილობს შემოქმედებითად აითვისოს სტანისლავსკის სისტემა, მსახიობის აღზრდის მისი მეთოდი, ჩვენ ვცდილობთ ეს სისტემა შევავსოთ მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ახალი მიღწევებით, რათა ყოველმხრივად სრულყოფილი პროფესიული კადრები მიეცეთ ჩვენს თეატრს. ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულ მსახიობთა მოღვაწეობა, რომელთაც წამყვანი ადგილი უჭირავთ რესპუბლი-

კის თეატრების შემოქმედებით კოლექტივებში, ამის მკერამეტყველურ ილუსტრაციას წარმოადგენს.

ინსტიტუტი ზრუნავს სტუდენტთა როგორც პროფესიული დაოსტატების, ისე მათი იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. მსახიობი, რეჟისორი, თეატრმცოდნე იმავე დროს უნდა იყოს ქვეყნისათვის თავდადებული საზოგადო მოღვაწე. ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მთელი საქმიანობა სწორედ ამ მიმართულებითაა გამახვილებული და შედეგებიც საკმაოდ სერიოზულია.

ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ინსტიტუტის ხელმძღვანელობა სასწავლო რეპერტუარის შერჩევას. 30 წლის მანძილზე ინსტიტუტის სცენაზე დადგმული იყო ქართული, რუსული და უცხოური კლასიკური თუ თანამედროვე დრამატურგიის ნიმუშები. ინსტიტუტის სცენაზე აქედრდა ილია ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. ერისთავის, ა. ცაგარლის, დ. კლდიაშვილის, ა. ოსტროვსკის, ნ. გოგოლის, ა. ჩხეიძის, მ. გორკის, უ. შექსპირის, ლოპე დე ვეგას, კ. ვოლდონის, პ. ბოშარშის და სხვების პიესები. აგრეთვე თანამედროვე დრამატურგიის პ. კავებაძის, ვ. ვაბესკირიას, მიხ. მრეველიშვილის, ბ. ლავრენევის, კ. სიმონოვის, ა. აფინგენოვის, ვ. სობკოს და სხვათა პიესები. ყველა შემთხვევაში ინსტიტუტი, მისი მსახიობის ოსტატობისა და რეჟისორის კათედრა ზრუნავს სასწავლო სპექტაკლმა სარგებლობა მოუტანოს სტუდენტის პროფესიულ დაოსტატებასა და იდეურ-მხატვრულ აღზრდას. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი შეასრულა მ. გორკის დრამატურგიამ, რომლის პიესებიდან რამდენჯერმე განხორციელდა „მდაბიონი“, „უცნასკენელი“, „მზის შვილები“, „ვასა ექლუნჯოვა“, „მოხუცი“, „ფსევრზე“. მათ შორის სპექტაკლმა — „მდაბიონი“, რომელიც ინსტიტუტის სცენაზე 1945 წელს განასტავილა სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსმა (პროფ. გ. ტოვსტონოვოვის კლასი). მაღალი შეფასება დაიმსახურა გორკის პიესების საკავშირო დათვალიერებაზე.

ჩვენი ინსტიტუტი საკმაოდ კარგად გამოაყურება საბჭოთა კავშირის თეატრალურ უმაღლეს სასწავლებელთა შორის; თითქმის ყველა დათვალიერების დროს ინსტიტუტის შემოქმედებით ნამუშევარი მაღალ შეფასებას იღებს. 1958 წელს, მოსკოვში გამართული თეატრალური უმაღლესი სასწავლებლების სადიპლომო სპექტაკლების დათვალიერებაზე ინსტიტუტი წარსდგა ორი სპექტაკლით: ა. კრონინის პიესით „იუბიტერი იცინის“ (უფრ. მასწავლებელ ალ. მიქელაძის კლასი) და აფხაზური სტუდიის სპექტაკლით ა. ცაგარლის „ეიმბირელი“, სსრ კავშირის სახალხო არტისტის პროფ. ა. ზორა-

ვას კლასი). ორივე სპექტაკლმა ქუთის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1906 წელს სარეჟისორო ფაქულტეტის სტუდენტთა ნამუშევრების საკავშირო დათვალეობაზე მოსკოვში ინსტიტუტმა წარადგინა მეოთხე კურსის სტუდენტის გ. ქავთარაძის სპექტაკლი. ეს იყო თვით რეჟისორის მიერ გასცენიურებული, გენიალური ქართული პოეტის ვაჟაფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“. სპექტაკლი პეტისმეტად ორიგინალურად იყო გადაწყვეტილი და ჩინებულ სცენიურ ფორმაში ჩამოყალიბებული. მასში ერთგვარად შერწყმული იყო ქართული სცენის ბრწყინვალე ტრადიციები და მსახიობური განსახიერების ახალი, თანამედროვე ფორმები; ყოველივე ამან მიმზიდველობა შემატა მის სანახაობრივ მხარეს. დათვალეობების დროს ქუთის ამ სპექტაკლს პირველი ადგილი მიუძღვნეს.

ასევე პირველი ადგილი მიუძღვნა ინსტიტუტის სამსახიობო ფაქულტეტის IV კურსის სტუდენტთა სპექტაკლს „ჩვენ ვიცოცხლებთ“ (ხელოვნების დამსახურებელი მოღვაწის პედ. ი. კაჭუღას კლასი) 1969 წ. ლენინგრადში გამართულ თეატრალური უმაღლესი სასწავლებლების სადიპლომო სპექტაკლების საკავშირო დათვალეობაზე, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. სპექტაკლი წარმოადგენდა ავ. გენუაძის პიესის — „წმინდანები ჯოჯხეთში“ სცენურ ხორცშესხმას. პიესამ სერიოზული ცვლილებები განიცადა დამდგმელი რეჟისორის ხელში, საგრძნობლად დაიხვეწა.

ინსტიტუტში წარმოადგენს ერთადერთ სამეცნიერო დაწესებულებას რესპუბლიკაში, სადაც სწარმოებენ ქართული თეატრის ისტორიისა და თეორიის პრობლემების ღრმა მეცნიერული შესწავლა-განვითარებას.

ინსტიტუტის ყველა კათედრა სერიოზულ მეცნიერულ-კვლევით მუშაობას ეწევა. მსახიობის ოსტატობის კათედრაზე შესრულებული პროფ. დ. ალექსიძის შრომები „მსახიობის აღზრდის საკითხისათვის“ და „რეჟისორის მუშაობა სპექტაკლზე“ სტანისლავსკის სისტემის შემოქმედებით ათვისებას ისახავდა მიზნად, დამზარებ სახელმძღვანელოდაა გამოხუნული და კეთილ სამსახურს უწევს ჩვენს სტუდენტობას. მეტყველების კათედრაზე შესრულებული პროფ. ბ. მრველშვილის „ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები“ და დოც. ბ. ნიკოლაიშვილის „ლექსის მხატვრული კითხვა“.

რაც შეეხება თეატრის ისტორიის კათედრას, უნდა ვთქვათ, რომ ქართული თეატრმცოდნეობა შემართებად მყარ, მეცნიერულ ნიადაგზე სწორედ ამ ინსტიტუტში დადგა. ამ კათედრის სერიოზული კვლევითი მუშაობის შედეგია არა

მარტო კათედრის პედაგოგთა, არამედ ინსტიტუტის აღზრდილთა უმარავი მეცნიერული შრომა, რომელიც უკანასკნელი 20-30 წლის მანძილზე გამოიცა ჩვენში. მთელ ამ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას 30 წლის მანძილზე სათავეში უდგას პროფ. დ. ჯანელიძე. მისი ფუძემდებლური შრომები: „ქართული თეატრი უძველესი დროიდან XVIII ს. დასასრულამდე“.

«Грузинский театр, с древнейших времен, до I половины XIX века», „სახიობა“ და მრავალი სხვა ძველი, ახალი თუ უახლესი თეატრის ისტორიის დღემდე რჩებიან თეატრის პრობლემების კვლევის დიდებულ ნიმუშად.

კათედრის წევრთა მიერ განვლილი წლების მანძილზე შესრულებულია და გამოცემული პროფ. ავ. ფაღვას „ლადო მესხიშვილი“, დოც. ე. გუგუშვილის „აკაკი ხორავა“, „თეატრალური პორტრეტები“, „ხალმევეყური პრესა და თეატრი“ (ა. იუფიტთან თანაავტორობით), ე. გუგუშვილისა და დ. ჯანელიძის „კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი“, დოც. ე. თოფურაძის „ელეონორა დუზე“, დოც. ნ. შალუტაშვილის „დაიდი მეგობრობის ფურცლები“, ა. ვრიბოლოდვის სახელობის თეატრი“, „ოსტროვსკი ქართულ სცენაზე“, დოც. ნ. ურუშაძის „ე. ანჟაფარიძე“, „ცაცა ამირეჯიბი“, „ს. თაყაიშვილი“, „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული თეატრი“. დოც. შ. მაკავარიანის „ქართული საბჭოთა თეატრი“, წიგნი I — 1921—1926 წ. და წიგნი მეორე — 1926—1932 წ. „ა. მარჯანიშვილი და ს. ახმეტელი“, „ნინო ჩხეიძე“ და სხვა.

თეატრის ისტორიის კათედრის თაოსნობით დაიწყო გამოცემა სერიისა „ქართული თეატრის მოღვაწის თეატრალური ხელოვნების შესახებ“. ამ სერიით უკვე გამოვიდა „ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“, „აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი“, „გ. წერეთელი თეატრის შესახებ“, „ე. აბაშიძე“, „ა. მესხი“, „ვ. გუნია“ და სხვა.

ინსტიტუტში აღზრდილი თეატრმცოდნეობა: ნოდარ გურბანიძე, ვასო კიკნაძე, ანზორ ტრაპიძე, ტატიანა თვალჭრელიძე, ნათელა არველიძე და ბევრი სხვა ფართო მკითხველისათვის უკვე ცნობილი სპეციალისტები არიან. ნ. გურბანიძის შრომები „კ. ს. სტანისლავსკი“, „ვიორგი შვეგელიძე“, „სკენა, მსახიობი, რეჟისორი“, ვ. კიკნაძის „ალექსანდრე ახმეტელი“, „ეცრემლიანი სიცილი“, „ალ. წუწუნავა“, „ქართველი რეჟისორები“ და სხვები უკვე საკმაოდ ცნობილია ფართო მკითხველისათვის.

თეატრის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა კრებული რუსულ ენაზე „კოტე მარჯანიშვილი, შემოქმედებითი შემკვიდრეობა“, ტ. I და ტ. II. გამოსცემად მზადაა ამ კრებულის III ტომი, ამჟამად

მზადდება ასეთივე კრებული ალექსანდრე ახმეტელის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესახებ და კრებული — „ქართული საბჭოთა თეატრი, დოკუმენტები და მასალები“. კათედრა გარკვეულ ტექსტოლოგიურ და სარესტავრაციო ხასიათის მუშაობასაც ეწევა. გამოიცა ე. პოპოვის ნაშრომი „ცხვრის წყარო“, რომელიც ლოპე დე ვეგას აღნიშნული პიესის კ. მარჯანიშვილისეული დადგმის რეკონსტრუქციას წარმოადგენს. ვ. კიენაძის რედაქტორობით გამოიცა ალ. ახმეტელის წერილები, ხოლო კ. მარჯანიშვილის კრებულის ორივე ტომში საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი ტექსტოლოგიური მასალა.

ფართო სამეცნიერო და საადმზრდელო მუშაობა წარმოებს ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრაზე. კათედრის თანამშრომლებმა დაწერეს და გამოცეცეს ისეთი მნიშვნელოვანი შრომები, როგორცაა ინსტიტუტის რექტორის, პროფ. ი. თვავაძის „ვ. ი. ლენინი“ „ჭეგელის ლოგიკის“ მეცნიერების შესახებ, „მშვენიერების პრობლემა მარქსამდელი ესთეტიკის ისტორიაში“ შ. გოვიძის „ბავშვთა წერილები დიდ ლენინს“, „ქართველი გამოგონებელი ა. ბექაური“, „ლენინი მოსკოვის საბჭოს პირველი დეპუტატი“ და სხვა.

ინსტიტუტის ბიბლიოთეკა ერთადერთი თეატრალური ბიბლიოთეკა მთელ რესპუბლიკაში, მისი ხელმძღვანელის, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის საბიბლიოთეკო საქმისა და თეატრის შესანიშნავი მცოდნის რ. მიქელაძის წყალობით, ბიბლიოთეკაში მოიქცევა უნიკალური წიგნები თეატრალური ხელოვნების შესახებ.

ინსტიტუტში ყოველწლიურად ტარდება ბედაგოგთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. საგანგებო სამეცნიერო კონფერენციები ეძღვნება მნიშვნელოვან ისტორიულ თარიღებს. შარშანდელი კონფერენცია მიეძღვნა ბელადის დაბადების 100 წლისთავს. ამავე თარიღს ეძღვნება წლევეანდელი სამეცნიერო კონფერენციაც. ფართო გამოხმაურება ჰპოვა ინსტიტუტის მიერ მოწყობილი სამეცნიერო დისკუსიამ — „ღრმად შევისწავლოთ და შემოქმედებითად განავითაროთ კ. ს. სტანისლავსკის სისტემა“.

ინსტიტუტმა დღემდე გამოუშვა 624 მსახიობი, 88 რეჟისორი, 138 თეატრმცოდნე და განახორციელა 285 საკურსო და სადიპლომო სპექტაკლი.

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინსტიტუტი: შეიქმნა ეროვნული სტუდიები ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკებისათვის.

რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, რომელიც თეატრალური კადრების ერთადერთი სამუშაო რესპუბლიკაში, კვლავაც დაუღალავად იბრძოლებს იმისათვის, რომ აამაღლოს პედაგოგიური და სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის დონე. მოუშხადოს რესპუბლიკის თეატრებს მსახიობთა, რეჟისორთა და თეატრმცოდნეთა მაღალკვალიფიციური კადრი.

## შ. მახაპარიანი

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი, შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პარტიზურის მდივანი.

## ქართული თეატრის ისტორიიდან

### ზალვა გოზალიშვილი

მომზადებულია მეორე ნახევრის ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობის მოწინავე საზოგადო მოღვაწეებიდან ილია ოქრომჭედლის-შვილი ერთი პირველთაგანი იყო.

მშობლიური ქვეყნის დიდი პატრიოტი, კეთილშობილი ადამიანი, უანგარო საზოგადო მოღვაწე ილია ოქრომჭედლის-შვილი მუდამ მხარში ედგა დიდ ილია ჭავჭავაძეს და თავისი გულუხვი მატერიალური დახმარებით ხელს უწყობდა ქართული კულტურის აღორძინება-განვითარებას.

ილია ჭავჭავაძე პირველ პირად წერილში, 1881 წლის 22 ოქტომბერს, ილია ოქრომჭედლის-შვილს აცნობებს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თხოვნას, — შესძლებს თუ არა იგი ფულადი დახმარება გაუწიოს საზოგადოებას ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა (თხზულებების) გამოცემა-და ბეჭდვის საქმეში. ი. ოქრომჭედლის-შვილი დიდი თანაგრძნობითა და დაპირებებით შეგებებია „საზოგადოების“ აღნიშნულ წინადადებას და მაშინვე გამოუჯავანია პასუხი.

„ეს ჩემგან გადადებული ფულის თაობაზედ ერთი დაწყობილება უნდა მოვავროვოთ, რომ საუკუნოდ დარჩეს. — სწერდა ილია ოქრომჭედლის-შვილი ილია ჭავჭავაძეს. — წერა-კითხვის საზოგადოებას მეტად პატროსიანი განწყევება აქვს, რომელსაც ყველა კაცი უნდა შეეწიოს... მე ვიცი და შენი წიგნებიდანაც ჩანს, რომ შენ დიდი მოცალეების პატრონი არა ხარ და მეც ჩემი თხოვნით ამ სხვადასხვა საქმეებისა გამო უფრო გიმძიმებ ტვირთს, მაგრამ რასა იქ, აბა ერთი სხვა კაცი მაჩვენე, რომელსაც შენსავით ასტკივდეს გული ქართულ საქმეზედ“.

ი. ჭავჭავაძე მეორე წერილში იმავე წლის 7 ნოემბერს ი. ოქრომჭედლის-შვილს ატყობინებდა რომ „ჩვენმა გამგეობამ დიდის მადლობით მიიღო შენი უხვი წინადადება“ და პირველსავე საზოგადო ყრილობაზედ საპატიო წევრად დაგნიშვნა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული დრამატული საზოგადოების (1880 წ.) დაარსებისა და ქართული თეატრის აღორძინების საქმეშიც. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ილია

განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ქართული თეატრისადმი.

1881 წლის 7 ნოემბერს ილია ჭავჭავაძე ილია ოქრომჭედლის-შვილს სწერდა: „თეატრის საქმეს კითხულობდი, ავად შენი მტერი იყოს, ავად ეგ საქმეა. ორმა აქტიორმა აბაშიძემ და მესხიმ ანტრეპრენიორობა იყისრეს, აწინდელი მათი ტრუპა ძალიან კარგია, კომიკურის როლენ-ბისათვის კაცი თუ ქალი ასეთი კარგნი არიან, რომ ამჟამად უკეთესი არ უნდა ჩვენს საზოგადოებას. ამ მოკლე ხანში ერთი დრამატული აქტიორიც შეიძინეს კახელი ალექსიე-მესხიევი. პირველ დებიუტშივე ყველანი აღტაცებაში მოგვიყვანა. ტრუპა, სწორედ ვითხრა, ლაზათიანია და ახალ ანტრეპრენიორებს ძალიან რიგიანად მიჰყავთ საქმე. მაგრამ რასა იქ? ხალხი არ ღადის იმოდენად, რომ ხარჯი მაინც ადგეს. მე, ამისი მნახველი, აქეთ ვეცი, იქით ვეცი და როგორც იყო, ძალად თუ ნებით, აბორენტი დავუტრივე. ერთი თორმეტი ლოვა გაჟასადე და ოცდაორი კრესლა. მაგრამ მაინც ცოტაა, ამითი ჩვენს ტრუპას სულს ვერ მოვებრუნებინებო. ცოდეა, ღმერთმან იცის, მომავდინებელი ცოდეა, რომ უღონობით და უილაჯობით ჩვენი თეატრი გაუქმდება. წელიწადში ერთი სამასი მანეთი რომ გარედამ როგორმე მიგვეშველებინა, თეატრის საქმე გაიჩარხებოდა და ფეხს მოიმავრებდა. თუ რამ შეგიძლიან, მშაო ილიკო, ნუ დაზოგავ. ხომ იცი თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემულს ხალხისათვის. მაგის მეტი ნაციონალიზმის ნიშან-წყალი ჭერ-ჭერობით ჩვენ არა გააქვსრა. ეგ ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გამოიღოს, თორემ თეატრს ხომ სხვა ბევრი სიკეთე მოსდევს. შენ იცი, მშაო, თუ შენს უხვს და მოწყალეს ხელს გამოუწვდი ამ სულ მიღულს საქმეს, რომელსაც უილაჯობის სულთამხუთავი თავს ადგას და დღესა თუ ხვალ სულს ამოართმევს. იმედი მაქვს უპასუხოვდ არ დამავდებ“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძის წერილები ილია ოქრომჭედლის-შვილისადმი დატულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ილიას ფონდში № 170; იხ. თხზ. ტ. 10, 1961, გვ. 93—102.

ილი ჰეგელის მსურველ ლადლისმა აამოძრავა მშობლიური ქვეყნის ბედის მოზარე საზოგადო მოღვაწეები, დანტერესდნენ ქართული თეატრის მდგომარეობით, მიიხდომეს მისი ფეხზე წამოყენება და წელში გამართვა.

ილია ოქრომჭედლიშვილის მიერ საქველმოქმედოდ, ქართული კულტურული საქმიანობის გასაძლიერებლად, გადადებული თანხებიდან, საგრძნობი ნაწილი თეატრის საქმიანობას ხმარდებოდა.

ერთ პირად წერილში, რომელიც გამოგზავნილი უნდა იყოს მოსკოვიდან 1882 წლის 17 მარტს, იგი ილია ჰეგელის ატყობინებდა: „გრძობა მედინიზმად გამოგზავნე ფულები. იმის ბინა თამაშისთვის ქარვასლაში არის. თუ არ დაგზარდება, იმასთან შეიარე და მიიღებ 707 მანეთს, რომლისგანაც მოახმარებ 700 მანეთს თეატრის საქმეს და 7 მან. ივერიის რედაქციას გადასცემ წლიდანდლის წლის ფასს“. ის ამითაც არ კმაყოფილდება, ხელახლა ზრუნავს, რომ თავისი დანაშაუმი სახსრებიდან კიდევ გამოიხსოს თანხა და დროზე მიაშვილოს ილია ჰეგელის. 1882 წლის ბოლოს მისგან გამოგზავნილი ასსამოცდაათი თუმნიდან ასი თუმანი გათვალისწინებული იყო ძველი ქართული მწერლობის ცნობილი ძეგლის — „ვისრამიანის“ გამოსაცემად, ხოლო სამოცდაათი თუმანი ქართული თეატრისათვის იყო დანიშნული. ამის შესახებ ილია ჰეგელმა ერთერთ წერილში ილია ოქრომჭედლიშვილს სწერდა: „ასი თუმნის დანიშნულება პირდაპირ განსაზოარული იყო შენგან, ხოლო სამოცდაათის თუმანი თოქმანი შეიარე. არ იციოდი და არც აქომამდე ვიცი, ანტრეპრენიორებს ახოქი ეგ ფული, თუ თეატრის საზოგადო საქირობის დასახმარებლად შექსწირე.“ შენის წიგნიდან უფრო მეორე ზარი გამოიყვანე. პირველი იმიტომ, რომ ეგ ფული პირდაპირ ანტრეპრენიორებს არ გამოუგზავნე და. მწერდი, არ ვიცნობ რა კაცნი არიან და შენ ვიგზავნიო. მეორეც იმიტომ, რომ შენ თვითონ, როგორც ჩვენ ყველანი, თეატრის საზოგადო საქირობას ხელს უფრო შევეუწყობდი, ვიდრე ცალკედ და კერძოდ შესწირადი ანტრეპრენიორებს. მაგრამ მაინც და მაინც მოგწერე გადაწყვეტილად შეგვეტყობინებინა ჩემთვის ეგ ფული როგორ მოგვეხმარა. ამის პასუხი ფრად საქირო იყო და დღესაც არის.

მომწერე როგორ მოვიქცე, რომ ამ შემთხვევაში შენ ჩამე საბუთი გაიმძღვარო, მოგახსენებ წემდეგს:

1) ანტრეპრენიორები ძალიან უჩივიან უფულობას. ამაზედ ცოტად ეჭვი მაქვს, ესე იგი,

ის ეჭვი, რომ იმათ შემოსავალი უნდა ჰყოფილეს, იმიტომ რომ ხალხი, თუშეცა ძალიან ბევრი კი არა, მაგრამ იმოდენა მაინც დაიარება, რომ ჯამაგირებს გაუძღვეს და ანტრეპრენიორებმაც თავისი გასამჯელო აიღონ. მართალია, სექტემბერში ცოტად იზარალეს, მაგრამ სხვა შემდეგს თვეებში კი რიგიანი შემოსავალი ჰქონდათ და შემდეგში ხომ უფრო ექნებათ თეატრმათ.

2) თეატრს, საკუთრივ ჩვენს თეატრს, ბევრი სამუდამო საქიროება აქვს. ტანისამოსი და ერთობ რეკვიზიტი მეტად ნაკლები აქვს. შენგან გამოგზავნილი ფული ამ მხრივ დიდად გამოსაყენი იქნება და სამუდამო საშველიცა. ანტრეპრენიორებისათვის ეგ სამოცდაათი თუმანი ერთობისთვის ლუქმად და მერე ისინიც იმევე ყოფაში იქნებოდნენ, რა ყოფაშიაც შენს ფულობამდე იყვნენ და ამგვარად ამ უქანასკნელს შემთხვევაში ეგ ფულიც წყალში გადაყაროდი ფულები იქნებოდა. მაშინ როდესაც მაგ ფულით ბევრი რამ შეიძინებოდათ თეატრის საზოგადოთ, თუ მის საზოგადო საქიროებისათვის გამოიზოგება.

ამის მიხედვით, აი მე რა აზრზედ დაიდექი: ეგ ფულები მოახმაროთ რეპერტუარის გამდიდრებას, ტანისამოსის და რეკვიზიტის შევსებას და სხვა თეატრის საქიროებს, რომელიც საკუთარ თეატრს უნდა და არა ანტრეპრენიორებს, რადგანაც შემოსავალი არტისტების ჯამაგირებს (თვითონ ანტრეპრენიორებიც ამათ რიცხვში არიან) ჰყოფნის, ეგ ფულიც ცოტად მივაშველოთ ხოლმე ყოველს წარმოდგენას, ესე იგი, თვეში ოთხჯერ მაინც. ეს მიზილება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ნახევარი თეატრის ქირა მაგ ფულებით გადაიხდებოდას ხოლმე.

რადგანაც შენი პასუხი არ მომივიდა, მე ამ სახით მოვიქეცი როგორცა გწერ, საქირო იყო ტანისამოსი, ათას თუმნის ტანისამოსი შეიკვრა თეატრმა და ოცდარვა თუმანი კიდევ თეატრის ქირაში მივეცი. იმ ათას თუმნისა და ამ ოცდარვა თუმნისა ბარათი ჩამოვართვი ანტრეპრენიორებს, რადგანაც ეს ფული იმათ ჩაიბარეს. შენის ფულიდან თეატრისათვის გამოგზავნილი დარჩა ჩემთან კიდევ ოცდა ოთრმეტი თუმანი, თუ თანხაზე იქნება ჩემს აზრზედ, ამ ფულს ისე გამოიზოგებ, როგორცა გწერ და უფრო დიდხანს ეყოფა ჩვენს თეატრს“.

ილია ჰეგელმა ასეთ შეუხელებელ მზრუნველობას იჩენდა ქართული თეატრის მიმართ და ძალასა და ენერჯიას არ იშურებდა მისი განვითარებისათვის. ამ დიდ და საპატარო საქმიანობაში მას მუდამ მხარში ედგა ილია ოქრომჭედლიშვილი — კეთილშობილი აღმაიანი, უანგარო საზოგადო მოღვაწე, გულუხვი ქველმოქმედი და დამხმარე ყველა იმ წამოწყებული საქმიანობისა, რაც კი სამშობლოს ინტერესებს ემსახურებოდა. ქართული თეატრის გასაძლიერებლად გაღე-

1 ხელნაწერთა ინსტიტუტის ილიას ფონდი № 170.

ბული მატერიალური დახმარების მიუხედავად, თეატრის მდგომარეობა ილია ოქრომჭედლიშვილს მაინც უნუგეშოდ ეჩვენებოდა და აწუხებდა. ამის გამო იგი ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1883 წლის თებერვალში უნდა იყოს მოსკოვიდან გამომგზავნილი, ილია ჭავჭავაძეს სწერდა: „თეატრზედ სანუგეშოს არასა ჰსწერ. ჩვენი თეატრი ეხლა ჩელი ყმაწვილის ასაკში არს. და ეს ასაკი მიუცილებლივ მოითხოვს, რომ სიცივეს, ავდარსა და შიმშილს მოაშორონ სრულწლოვანობამდისინ და მაშინ თავის თავს შეინახავს. თუ ეხლა ამას ხელს შეუწყობთ, მომავალი იმისი, ჩვენი ბუნებისა და ხალხის ხასიათის მიხედვით, უფრო მაღალი და ვრცელი იქნება ვინემც რუსეთისა. ამ საქმეზედ ზრუნვა და თავის დაღება სასახლო საქმე იქნება. მე ბედნიერად შეერაცხები ჩემს თავს, თუ ამ საქმის წარმართვას რითიმე შევეწიე მომავალში; ახლა კი ამის მეტს ვერას გეტყვი, რომ მხედველობაში ზოგი ერთი საქმე მაქვს, ამ ორიოდ თვეში ეს საქმე გამოიყვლება და თუ მოთავსდა, იქნება, შენი პროგრამა თეატრის სუფსიდიანზედ და ფულით შემწეობაზედ შორს არ იყოს ასრულებანზედ“<sup>1</sup>.

ილია ჭავჭავაძე თავს დასტრიალებდა ქართული თეატრის დაეჟაკებებს, მის გაფურჩქვნასა და აყვავებას. ილია როგორც ქართული დრამატული საზოგადოების მესვეური და სულისჩამდგმელი, სათავადაზნაურო ბანკის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საზოგადო მოღვაწე-ქაშვილ-მომქმედთა კერძო შემოწირულებებით ყოველწლიურად აღღერებდა და ამავრებდა ქართულ თეატრს და მის გარშემო რაზმავდა თეატრალუ-

რი დარგის ნიჟიერ და თავდადებულ მოღვაწეებს.

1887 წლის 22 ოქტომბერს ილია დიდი კმაყოფილებით სწერდა ილია ოქრომჭედლიშვილს: „ჩვენმა ბანკმა თეატრი გადააკეთა და მშვენიერი რამაც გამოდის. ფოიედ ქართული ძველებური დარბაზი გადავიმეთ და რომ ჰნახო აღტაცებაში მოხვალ შენც — კი, შენც, რომელიც მძიმე ხარ ზოლმე აღტაცებისათვის, იმიტომ რომ ყველგან შიგნით — ტიკებს უჩხრეკ საქმესა და გარეთი ზიზილ-პიბილები არად მიგაჩნია. თეატრის გუმბათზედ რვა სურათი იქნება დახატული, სხვათაშორის არის: რუსთაველი, გრიბოედოვი და მოსე ზორენელი...“

თვით ილიას „ივერია“ 1887 წლის დეკემბრის ნომერში მკითხველებს აუწყებდა, რომ თბილისის საზოგადოება მოუთმენლად ელის ქართული თეატრის ნახვას. მართლა-კი ღირს ამ თეატრის მოწყობილობის ნახვა. მეტად კოპწია და კოხტა რამ გამოვიდა. ასე რომ თფილისის საზოგადოება კმაყოფილი უნდა დარჩეს თეატრის სილამაზითაო. სამი დღის შემდეგ, იგივე „ივერია“ იტყობინებოდა, რომ ქართულ დრამატულ საზოგადოებას, როგორც შევიტყვეთ, უკვე შეუდგენია დრამატული დასი და ამ დღეებში ახალ თეატრში გაიმართება პირველი წარმოდგენაო. („ივერია“, 1887, № 258).

შორეული წარსულის ამ ფურცლების ამ გამონაშუქიდანაც მოჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე მშობლიური თეატრის უდიდესი მზრუნველი და მოამაგე იყო და ამ დიდი ეროვნული საქმის ირგვლივ იკრებდა ყველა გამოჩენილ მოღვაწეს, — მეცნიერსა, მწერალსა და ხელოვანს.

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ილიას ფონდი № 170.



## „დონ-კარლოსი“ დადგმის შესახებ ბიორგბი ხარატიშვილი

კოტე მარჯანიშვილიმა უკანასკნელი დადგმები მოსკოვში განახორციელა. ეს იყო ფ. შილერის დრამა „დონ-კარლოსი“ მცირე თეატრში. და ი. შტრაუსის „ღამურა“ ოპერეტის თეატრში.

კოტე მარჯანიშვილი „დონ-კარლოსზე“ მუშაობას 1932 წლის 17 დეკემბერს შეუდგა, 65 რეპეტიცია ჩაატარა, 1933 წლის 17 აპრილს კი მოულოდნელად გარდაიცვალა და სპექტაკლი პრემიერისათვის მსახიობებმა პ. სადოვსკიმ, შ. ლენინმა და რეჟისორის ასისტენტმა ა. კასტროვმა მოამზადეს.

„დონ კარლოსის“ პრემიერას მაყურებელთა შორის დიდი წარმატება ხვდა, რაც დაფრთხილებით აღწერა სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი როლის, პრინცესა ეზოლის შემსრულებელმა, სსრკ სახალხო არტისტმა ე. ნ. გოგოლევაძემ წერილში, რომელიც პრემიერის შემდეგ თბილისში ელენე დონაურს გამოუგზავნა და 1964 წლის 5 ივლისს გაზ. „კომუნისტში“ პროფ. დ. ჯანელიძემ გამოაქვეყნა.

მიუხედავად დიდი წარმატებისა, მოსკოვის გაზეთებსა და ცალკეულ შრომებში „დონ კარლოსის“ დადგმაზე ბევრი უმართებულო მოსაზრება გამოითქვა. სახელდობრ, თეატრალურმა კრიტიკოსმა ი. კრუტმა გაზეთ „სოვეტსკოე ისკუსტვოში“ დაბეჭდა რეცენზია და კ. მარჯანიშვილის დადგმას ესთეტიკურ-ფორმალისტური სანახაობა უწოდა. ასეთივე მცდარ მოსაზრებებს ვხვდებით ისეთ სოლიდურ შრომებში როგორცაა თეატრმცოდნე ნ. დურილინის მონოგრაფია „პ. მ. სადოვსკი. ცხოვრება და შემოქმედება“, და „რუსული დრამატული თეატრის ისტორიის ნარკვევები“. კრიტიკოსი ი. კრუტი სამი წლის შემდეგ

კვლავ დაუბრუნდა „დონ კარლოსის“ საკითხს და „სოვეტსკოე ისკუსტვოში“ მეორედ დაბეჭდა წერილი, იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სპექტაკლის მონაწილე მსახიობებმა დროთა ვითარებაში უარყვეს „დონ კარლოსის“ მარჯანიშვილისებური კონცეპცია და მას რეალისტური ხასიათი მისცეს. ი. კრუტი წერდა: „გავიდა სამი წელი. სპექტაკლი ის აღარ არის, რაც იყო. მთელი ეს წლები მცირე თეატრში „დონ კარლოსის“ ყველა წარმოდგენის დროს წარმოებდა ძლიერი და მკაცრი, მაგრამ გარეგნულად შეუმჩნეველი ჭიდილი შილერსა და მარჯანოვს შორის“.<sup>1</sup>

მართალია, მცირე თეატრის მსახიობმა ნ. ლუნაჩარსკაია-როზენელმა თავის საინტერესო შრომაში „გულის სახსოვარში“ (რუსულ ენაზე), დამაჯერებლად დაიცვა კ. მარჯანიშვილი ბრალდებისაგან თითქოს „დონ კარლოსის“ დადგმა ესთეტიკურ-ფორმალისტურად გადაგვიწყვიტოს, მაგრამ საკითხის კიდევ უფრო ნათელსაყოფად ჩვენ ვთხოვეთ სსრკ სახალხო არტისტს ე. რ. გოგოლევას თავისი აზრი გამოეთქვა. მან თავის დროზე ამ თაობაზე ფრიად საინტერესო წერილი მოგვწერა. აი ეს წერილი (ვაქვეყნებთ წერილის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც დონ კარლოსის დადგმას ეხება):

### МНОГОУВАЖАЕМЫЙ ГЕОРГИЙ ИСИДОРОВИЧ!

О «Доне Карлосе» мне хочется сказать вот что. Оглядываясь теперь на те годы и анализируя постановку Константина Александровича, я еще раз прихожу к убеждению, что все высказывания о якобы формалистическом решении «Дон Карлоса»

<sup>1</sup> «Советское искусство», 1936, 250 ст.

Марджановым абсолютно неверны. Мне кажется, что своим огромным талантом, высокой фантазией, острым, умелым ведением спектакля — тогда уже, в те годы, Марджанов намного опередил своих современников. В самом деле, разве теперь, возторгаясь постановками английского театра Лоуренса Оливье или работами Жана Вилара, разве кому-нибудь придет в голову упрекнуть их в формализме, а ведь они показывают нам то, что в начале 30-х годов смело предлагалось Константином Александровичем Марджановым в «Дон Карлосе», — исключительный законизм оформления, минимум бутафории и из аксессуаров только то, что необходимо актеру, необходимо для более глубокого раскрытия образа. Ничего затушевывающего актера, ничего, что бы отвлекло зрителя от АКТЕРА, только актер, его мысль, его действие.

Вспоминается королевский кортеж в «Дон Карлосе» — мрачный задник с языками пламени, как бы напоминающий костры инквизиции; на большом постаменте посреди совершенно пустой, темной сцены трон и маленький столик с колокольчиком, а сбоку на авансцене ананет и подушка для коленопреклонения. И как ярко, как мощно лежит на этом фоне Пров Михайлович Садовский-мрачный изувер Филипп II. А знаменитая белая лестница в финальной картине Эболи: черные сукна, пустой затемненный первый план сцены, а со второго плана, почти от боковых кресел поднимается, чуть не до колосников, несколько суживающаяся кверху — освещенная белая лестница. И там, наверное, чистая, непорочная королева.

К ней снизу стремится в горьком раскаянии Эболи, и под гнетом содеянного предательства без сил падает на одной из верхних ступеней и, как растерзанное, неживое тело, катится вниз, почти до ос-

нования лестницы. И там внизу замирает, распластанная, опустошенная, поруганная, уничтоженная. Разве это не глубоко, философски продуманная мизансцена, и разве это только формальный трюк?

Разве зритель, дружно аплодируя этой картине, аплодировал формальному акробатическому этюду? Нет, зритель понимал всю трагедию остановившегося сердца, всю искалеченную, опустошенную душу, появившую весь ужас содеянного, и никогда больше, никогда не осмелится Эболи подняться по белой лестнице к высокому, чистому, прекрасному. Какая глубина мысли, и какой точный конец принцессы Эболи, конец предательства! Такой изумительный финал роли мог подсказать только великий мастер, замечательный режиссер Марджанов.

Всегда уважающая Вас народная артистка СССР и Грузинской ССР

**Е. Гоголева**

3 февраля 1967 г. Москва.

აქვე მინდა ერთი შენიშვნა გამოვთქვა „დონ კარლოსში“ მარკოზ ბოზას როლის შემსრულებელ, განსვენებულ ვს. აქსიონოვის მოსაზრების გამო, რომელიც რუსთაველის სახელობის თბილისის სახ. თეატრალური ინსტიტუტის მიერ გამოცემულ კრებულში („კ. ა. მარჯანიშვილი, შემოქმედებითი მემკვიდრეობა“, რუსულ ენაზე) გამოქვეყნდა. ვს. აქსიონოვი მრავალ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს და იქვე დასძენს, რომ „დონ კარლოსი“ განხილული უნდა იქნას როგორც კ. მარჯანიშვილის მთელი თეატრალური მოღვაწეობის შემავალმებელი სპექტაკლი. საკითხის ასეთი დაყენება, ჩვენი მოსაზრებით, სავსებით სწორი არ იქნება. „დონ კარლოსი“ შესანიშნავი სპექტაკლი იყო და მასში ერთხელ კიდევ გამომქვადენდა დიდი რეჟისორის დაუცხრო-

მელი შემოქმედებითი ფანტაზიის ძლიერება, მხატვრული ოსტატობა, მაგრამ იმის გამო, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კ. მარჯანიშვილს მისი დადგმა არ დაუმთავრებია და გენერალური რეპეტიციით თავისი საბოლოო სიტყვა არ უთქვამს, ასეთ განსაკუთრებულ ამოცანას ვერ დავაკისრებთ. ვინ იცის, რამდენ სიახლეს შეიტანდა მასში დიდი რეჟისორი გენერალური რეპეტიციის დროს, როდესაც მის თვალწინ მთელი სპექტაკლი წარმოსდგებოდა. განა ცოტა ყოფილა შემთხვევა, როდესაც გენერალური რეპეტიციის შემდეგ ბევრი რამ ახალი შეუტანია და უფრო მეტი კლასიკური სისრულე და მონუმენტალობა მიუცია სპექტაკლისათვის. სპექტაკლი სხვებმა დაასრულეს და, შესაძლებელია, დიდი რეჟისორის ჩანაფიქრი მთლიანად ვერც კი მიიტანეს ბოლომდე, ან ვის შეეძლო მიმხდარიყო დაუცხრომელი მოაზროვნის

ფანტაზიის დინებას! ეს სპექტაკლი მარჯანიშვილის შემოქმედებას ვერ შეაჯამებს, მაგრამ მის ერთ დამამშვენებელ მარგალიტად კი დარჩება.

ნ. ლუნაჩარსკაია-როზანელი ხსენებულ ნაშრომში ამ საკითხსაც ეხება და წერს: „მარჯანოვმა თუმცა სპექტაკლი თითქმის სრულ მზადყოფნამდე მიიყვანა, მაგრამ სპექტაკლში ვერ გამოჩნდა ოსტატის უკანასკნელი შტრიხი და ის სადღაც შეუმჩნევლობაში იმალებოდა. შესაძლებელია ამას გამოცდილი მასწავლებელიც ვერ ამჩნევდა, მაგრამ გზა სპექტაკლში ჩემთვის ნათელი იყო, რომ მარჯანოვის გაგების მომხრენი ერთი მანერით ასრულებდნენ როლებს, სხვებს კი არ სურდათ შაბლონის დათმობა. პირველნი — მკვეთრად, შთაგონებით თამაშობდნენ, მეორენი კი მარჯანოვის ფანტაზიის რომანტიკულ გაქანებას აქვეითებდნენ და აკავებდნენ“ (გვ. 275).

## პერიკო ანტაფარიძეს

### კალე ბოზონიძე

მაშინ რუსთველზე შეგხვდი დარდიანს,  
იყავ ფერმკრთალი, ფიქრში წასული,  
თუ იგონებდი შალვა დადიანს —  
ანჯაფარიძის ტურფა ასული!

გახსოვს, რა იყავ, გვერდით ვინ გყავდა?  
ყელს გიმშვენებდა მარჯან-გიშერი,  
მე კარგად ვიცო, როგორ გიყვარდა  
მგზნებარე კოტე მარჯანიშვილი!

თანგდევს აჩრდილი დიდი უშანგის,  
რა დაგავიწყებს ჰამლეტს, ურიელს?  
ყელზე გეხვევა სატრფო გულშმაგი,  
ელერსები სურათს სულიერს.

ხანძრად გვიჩანხარ, ხან ზღვად  
მშფოთვარად,  
ხან უნაზესი ხარ ოფელია,  
გლოვობ გიორგის ქვრივი ოთარანთ  
და შავი თალხი ცას მოფენია.

მინდა არ ჩაქრე, მარად ანათო,  
შენზე დარჩება ზღაპრად ამბავი,  
ცისკრის ვარსკვლავი შენ ხარ და ნატო —  
ვარდ-ყვავილებით დასადაფნავი!

წლების დინებას მოსულს მორევად,  
შემოქმედების ცეცხლით ამარცხებ  
და ჩვენს თაობებს შენ და ხორავა  
ჯადოსნურ წინსვლის ძალას გადასცემთ!

## გრიშაშვილისაული ბიბლიოთეკის ნიაღვრე

### სოლომონ ხუციშვილი

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იქმნებოდა. საქართველოს სახალხო პოეტს, აკადემიკოს ი. გრიშაშვილს წინაპართან რაიმე წიგნი მემკვიდრეობით არ მიუღია. უნიკალური და უზარმაზარი წიგნთსაცავი, რომელიც რამდენიმე ათას ცალს ითვლის, შვიძინა, შექმნა და დააგროვა ი. გრიშაშვილმა.

მაგრამ, გრიშაშვილისეული ბიბლიოთეკის მნიშვნელობა იმით კი არ გამოიხატება, რომ იგი რამდენიმე ათას ცალს ითვლის, არამედ მიზნობრივობაში, იმ თემატურ ერთიანობაში, რაც ბიბლიოთეკის შექმნას ედვა საფუძვლად. ეს თემატური ინტერესი მხარეთმცოდნეობრივი ხასიათისა იყო. ი. გრიშაშვილი თავს უყრიდა ქართულ წიგნს, მას ინტერესებდა ლიტერატურა საქართველოს ირგვლივ. ეს ინტერესი ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში თავს უყრიდა ქართულ და არაქართულ წიგნებს, რომლებშიც რაიმე ცნობა გაიყვებდა საქართველოსა და კავკასიის შესახებ.

გარდა ამისა: ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში შენახულია წიგნები თუ ერთდროული და პერიოდული გამოცემები, რომელთაც მეფის ხელისუფლების დროს გამოსვლა არ ეწერათ, ე. ი. ის წიგნები თუ სხვა რამ, რომლებიც დაბეჭდვისთანავე იკრძალებოდა. ი. გრიშაშვილს სხვადასხვა გზებით და საშუალებებით ასეთი გამოცემებიც შეუკრებია და ბეჭდური კულტურის ისტორიისათვის შემოუნახავს.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკური ინტერესი ამითაც არ ამოწურება. მთავარი და მნიშვნელოვანია ის წიგნწიგნები და მინაწერები, რომლებითაც აღსავსეა ესა თუ ის გამოცემა. გრიშაშვილის მანერა წიგნის წაითხვისა სრულიად ორიგინალურია და მეტად საინტერესო. წიგნში გზადგზა მას შეაქვს შესწორებები. ეს შესწორებები სხვადასხვა ხასიათისაა: წმინდა ლინტეკური. ტექსტობრივი. ლექსიკური, თემატური და სხვ. ი. გრიშაშვილს თავის წიგნებში გადააქვს ყოველგვარი შენიშვნა, რაც მას შეხვედრია და უნახავს კერძო ბიბლიოთეკაში და სახელმწიფო წიგნთსაცავებში მოხვედრილი შენიშვნებიანი წიგნებიდან.

ი. გრიშაშვილი ხსნის ინიციალებს და ფსევ-

დონიმებს, ხშირად წიგნის ავტორთან მართავს პაექრობას, იძლევა ბიბლიოგრაფიულ ცნობებს და ა. შ. ამ მხრივ ი. გრიშაშვილის ნაწონი ბიბლიოთეკა სხვაგვარია და ბევრი წიგნთსაცავი მას მეტოქეობას ვერ გაუწევს.

გრიშაშვილისეული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობის გამოსაჩენად შეიძლება ფაქტები ავამუხტყველოთ:

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში ვაჟა-ფშაველას თხზულებების ყველა გამოცემა არის დაცული. ვაჟა-ფშაველა ი. გრიშაშვილის საყვარელი პოეტი, 1915 წ. დაწერილი ერთი ლექსი ამის საუკეთესო საბუთია:

მე შენსა ხსოვნას-მზისსახსოვარო, —  
გულში ვატარებ ჩემად და ყუჩად.  
თვით ჩემ ლექსებსაც აღარ ვუშვლავნებ,  
რომ არ აგვივლოს მტერმა აბუჩად.

რა საჭიროა შენი სიყვდილით  
ავაზნაზართ ზესკენლ-ქვესკენელი?  
შენ სულ სხვა იყავ, მგოსანთ მგოსანი,  
სხვა: პირველი და უკანასკნელი...

1945 წ. მან კვლავ მიუძღვნა ვაჟას ლექსი. რომელიც დაასრულა ასე:

კენტი ხარ! აბა, ტოლი ვინ არი?  
ვინ არ გიწამა, არ გეთყვანა?  
იცოხლებ ვიდრე ცოცხლობს მყინვარი  
და რუთაველის დიდი ქვეყანა.

ვაჟა-ფშაველას თხზულებების გამოცემებზე ი. გრიშაშვილის ხელი დევს: ქართული ლიტერატურის ისტორიისა და საზოგადოებრივი ცხოვრების რამდენიმე ფურცელს მოიცავს ი. გრიშაშვილისაგან ვაჟას წიგნების კაბადონებზე გაკეთებული მინაწერები, შენიშვნები თუ განახლებები.

როცა ი. გრიშაშვილი შემოვიდა ქართულ პოეზიაში, ვაჟას უკვე განვლილი ჰქონდა თავისი გზა და დაავადებული, სიყვარულისა და ბატონისცემის ნაყოფს იმკიდა.

ვაჟა-ფშაველას და ი. გრიშაშვილის ერთად სავალი გზა ხანმოკლე იყო, თუმცა დასამახსოვრებელი.

ი. გრიშაშვილი უფროსი ამხანაგის წიგნების კითხვისას შეიარაღებულია ფანქრითა და მოკანკანებით. ვეჯას თხზულებების ცალეზი ჩანაწერებით არის სავსე. ვეჯას თხზულებების 1899 წლის გამოცემაზე მიუწერია, რომ ავტორის ხელით ნასწორები წიგნი უთხოვებია ალექსანდრე აბაშვილისათვის ტექსტობრივი შესწორებებისათვის.

ი. გრიშაშვილმა კარგად იცის ვეჯას შემოქმედების თავისებურება, იცის პოეტის ლექსიკის თვისება, დამოუკიდებლობა, ამიტომაც მას გამოცემებში შენიშვნები და შესწორებები შეაქვს. 1922 წელს გამოცემულ ვეჯას ტომში, ერთ სიმღერაში არის სტრიქონი: „ჩემნი წიწილნი იანი“. ი. გრიშაშვილი ასწორებს — „ჩემნი წაწილნი იანი“. დაბეჭდილია — „მთებისკენ მწაღის ცქერანი“, იგი ასწორებს — „მთებისკენ“. დაბეჭდილია — „ხან ხომ ცა მოიღრუბლება“. გასწორებულია — „მაიღრუბლება“.

ერთობ საინტერესოა დამოკიდებულება ვეჯას ტომებს დართულ ლექსიკონებთან. სალექსიკონო ერთეულს ი. გრიშაშვილის სინონიმებს უძებნია. განმარტებებში დამატებითი მინიშნულობა შექმნა. ლექსიკონში არის ჩიქლა განმარტებულია ლეჩქაძე. გრიშაშვილი დაბასმულ ანუ სურათთან ლეჩქასაც ასახელებს. ჯავარა ქალის სახელია, მაგრამ იგი თვალპატიოსანსაც ნიშნავს ქვეყნი — კობტა სიარულია. გრიშაშვილი უმატებს — ეს სიტყვა გრიგოლ ორბელიანს აქვს ნახმარი ერთ-ერთ მუხამბაზში. ზინათი — სამკაულია, განმარტავს ლექსიკონის შემდგენელი აკ. შანიძე, ი. გრიშაშვილი უმატებს: სიმღერდრე, დოვლით და არა სამკაული.

ი. გრიშაშვილი წიგნს სხვადასხვა თვალსაზრისით იყნა. ამიტომაც ერთი გამოცემის რამდენიმე ცალი შეუნახავს ხშირად. როგორ არ შეიძენდა „ბახტრიონის“ 1897 წ. გამოცემის იმ ცალს, რომელზეც ვეჯას ხელით არის დაწერილი: „უძღვნი ჩემს ნიჭიერ მგოსან ქალს განდევილს. ავტორი“. ვეჯას „ცრემლების“ ერთ-ერთ მრავალთაგან ცალს აწერია: „ეს წიგნი შევიძინე ბუენისტებში. ხაზგასმული ადგილები ეკუთვნის იაკობ ფანცხავას ი. გრიშაშვილი, 1943 წ. 8. მარტი“. ი. ფანცხავას ვეჯას ერთ ლექსთან — „მხედართ ძველი სიმღერა“ მიუწერია: „ილიას — დედამ რომ შეიღო გაზარდოს“. 1928 წ. გამოცემაში ი. გრიშაშვილს გამოუძებნია ილიას ლექსთან ვეჯას ამ ლექსის შეხვედრის ადგილები.

ვეჯა-ფშაველას თხზულებების აბაშვილისეული გამოცემის VII ტომის 306-ე გვერდზე, სადაც დაბეჭდილია „მცირე შენიშვნა“, ი. გრიშაშვილს ქალღიმი ჩაუდევს. წიგნი გამოსულა 1956 წ. 20 ივნისს. ფორზაცზე გრიშაშვილს

მიუწერია: „ჩემთვის, გვ. 306“. ამ გვერდთან ჩადებულ ქალღიმი ი. გრიშაშვილს უწერია: „1910 წელს მე და ვეჯა მიგვიწვიეს ქუთაისში ილიას საღამოზე. აქ მე წავიციოთ ლექსი ასე თავდებოდა: მგოსანს მეორედ ნუ მოაკლავით“. (ლექსი „მგოსანის საღამო, ილიას ხსოვნას“ დაწერილია 1910 წ. ქუთაისში და მთავრდება სტრიქონით — „ოღონდ მგოსანს ნუ დამარხავთ მეორედ“, ს. ხ.).

ვეჯას და გრიშაშვილის ქუთაისში გამგზავრებასა და ილიას საღამოში მონაწილეობას დიდ ამბავი და მითქმა-მითქმა გამოუწვევია. რას პასუხადაც ვეჯას დაუწერია „მცირე შენიშვნა“. ვაზეთ „საქმეში“, 1910 წელს, ხუთშაბათს, 4 ნომერს დაიბეჭდა წერილი „პატარა შენიშვნა — ილიას საღამოს გამო ქუთაისში“, რომელსაც ხელს აწერდა ვინმე დალა. წერილი შეხებოდა ტრადიციულ საღამოს, რომელიც იმართებოდა 1907 წელს ველური ტრაგედიის — ილია ჭავჭავაძის მოკვლის შემდეგ თბილისში და ქუთაისში. როგორც „სახალხო ვაზეთი“ გადმოგვცემს (1910 წ. 2 ნომერი, № 147), ეს საღამო ქუთაისში მოუწყვია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იჭაურ განყოფილებას „ჩვენი სასიქაძულო მწერლის ხსოვნის პატივსაცემად“. ვაზეთის კორესპონდენტი ჯაფარ-ფაშა (ალექსანდრე ჯაფარიძე) უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ ქუთაისლები მოუმზადებულნი შეხედნენ ამ საღამოს და ხაზგასმით აღნიშნავდა რომ „საზოგადოებამ დიდის აღფრთოვანებით მიიღეს დამსახურებული მგოსანი ვეჯა-ფშაველა, თანაგრძნობით შეხედნენ ახალგაზრდა გრიშაშვილის და სიამოვნებით მოუსმინეს მომღერალ სანდრო კავსაძეს. რომ ესენი არა, — თქვენი მტერი“ — ამითავერებდა წერილის კორესპონდენტი. სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძის ხსოვნის ამ საღამოს ქუთაისში დაესწრო ოლივერ უორდრობი. კორესპონდენტი არ გვაცნობებს, თუ რა სიტყვით გამოვიდა ვეჯა. ეს კია, რომ მას წაუყითხავს ლექსი „ილიას საღამო“, რომელიც სწორედ იმ დღეს დაიბეჭდა „სახალხო ვაზეთში“, როცა ვაზეთმა „საქმეში“ დალდის წერილი გამოაქვეყნა, ე. ი. 1910 წ. 4 ნომერს. სხვათა შორის, იმავე ხანებში ვეჯას დაუწერია ლექსი „მეტრამის სიმღერა“, რომელსაც უძღვნის სანდრო კავსაძეს და ცხადია, ამ შთაბეჭდილების შედეგად, რაც მომღერალს მოუხდენია ვეჯა-ფშაველაზე.

დალდას ფსევდონიმს, როგორც ი. გრიშაშვილი გადმოგვცემს, ამოფარებული ყოფილა გრიგოლ ურუშაძე. დალდა წერდა, რომ სამი წელიწადია, რაც ერთმა წრემ ილიას კუბოს ირგვლივ შეთხზეს ცილისწამებანი და „გვერ

მესამე წლის თავზე ნაციონალისტები ვაჟა-ფშაველელისა და გრიშაშვილების პირით ეუბნებოდნენ ქართველ ხალხს უმართებულო მონაგონსა“.

ვახუთ „საქმესა“ და ღალას ვაჟა-ფშაველემ სათანადო პასუხი მიუგო და „საქმის“ დარტყმის ძალა თვით მიიღო, ახალგაზრდა არ გაურია საქმეში. იგი ფიქრობდა, რომ ი. ჭავჭავაძის სახელი. მის მონაგონად გამართული საღამო ქუთაისში და თავისი საკუთარი ავტორიტეტი საქმარისი იქნებოდა ღალასი და „საქმის“ დარტყმის შესანელებლად. ვაჟა-ფშაველა წერილში „მცირე შენიშვნა“ წერს:... „წერილი, რომელიც შეეხება ქუთაისში გამართულ ილიას საღამოს და იქ ჩემ და სხვების წარმოთქმულ ლექსებს“... ვაჟას ამ „სხვებს“ ი. გრიშაშვილი შენიშვნას უკეთებს და ლიტერატურისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიკოსისათვის მეტად ძვირფას ცნობას ტოვებს — „მხოლოდ ორმა წავიკითხეთ ლექსები — ვაჟამ და მე“. როგორც ი. გრიშაშვილის შენიშვნიდან ჩანს, იგი ვერ მიმხვდარა ვაჟას ვაჟკაცურ მხარულს და წერს: „შეიძლება ესლა“ „სხვა“ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოვიდა მწერლობის გზაზე, მაგრამ მაშინ „სხვა“ არ ვიყავი. მით უმეტეს, რომ ეს კამათი ღალასთან სწორედ ჩემი ლექსის გამო მოხდა“.

ვაჟასთვის გრიშაშვილი საერთოდ „სხვა“ არ იქნებოდა, რადგან დიდმა შემოქმედმა 1910 წ. თავის თანამგზავრად აირჩია ახალგაზრდა პოეტი. მაგრამ ღალასთან კამათში ვაჟამ თავისი ლონიერი ფრთა გადააფარა დამწყებ პოეტს. ამაშია ვაჟას რაინდობაცა და ჰუმანიზმიც. მას ხომ ისეთი კაი ყმა მოსწონდა, რომელიც „იქ იდგეს ხმალამოწვდილი, საცა ძალა აღმართს ჰვალავედეს“.

ი. გრიშაშვილის ლექსი „მგოსნის საფლავი“, რამაც შეხლა-შემოხლა გამოიწვია, შემდეგია:

ქართლის დედაც! როს მთა მზეს გააცილებს,  
როს ცის ცრემლი გადაჰკოცინს ყვავილებს,  
როს ნიავი ფოთლებს ჩამოუქროლებს  
და ძირს დაჰყრის მარგალიტის წყლის რგოლებს.

მოდო ძეგლთან, მოდი, ვით მგლოვიაზე,  
და საფლავთა კენესა გაიზიარე!  
და შენ კი, ბრბოვ, რაც ჰქმენ აღარ მოგწყინდა,  
ნუთუ არას გაგრძნობინებს მთაწმინდა?

ნუთუ მოთქმა ამ ხალხის და ამ ერის  
ჩვენს სამშობლოს, სისხლით შემკულს,  
შეჰფერის?  
რაც გსურთ ქმენით, რაც გსურთ, გაიმეორეთ,  
ოღონდ მგოსანს ნუ დამარხავთ მეორედ!

## გერმანული ღრამაჯვრები ქართულ სცენაზე

### ელენე ზაფათაია

უცხოეთის დრამატურგია ყოველთვის სასურველი სტუმარი იყო ქართულ თეატრში. შეიძლება ითქვას, ჩვენს სცენაზე მუდამ ისეთივე შეხმატებლებით ცხოვრობდნენ სხვადასხვა ხალხთა პიესები, როგორც მრავალეროვნული მოსახლეობა ჩვენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში.

იმ დროიდან, როცა პირველად საქართველოში თეატრის ფარდა აიხადა, ქართული დრამატული პიესების გვერდით, უცხო დრამატურგის მუდამ საპატიო ადგილი ეკირა ჩვენს სცენაზე. ჩვენს თეატრს თითქმის არ აუვლია გვერდი მსოფლიოს არც ერთი შესანიშნავი დრამატული მწერლისათვის. სოფოკლე, ევრიპიდე, შექსპირი, მოლიერი, ლოპე დე-ვეგა, ფლტაჩერი, გოლდონი, შელი, გუცოკვი, — რომელი ერთი ჩამოვთვალოთ და რომელ ერთზე ვავამახვილოთ ყურადღება.

ეს დღი და საინტერესო თემაა ქართული თეატრის ისტორიის და აწმყოსი, მაგრამ, ამჟამად, გერმანიაში ქართული კულტურის დღეებთან დაკავშირებით, რაღა თქმა უნდა, ყურადღება უნდა შევაჩეროთ გერმანული დრამატურგიის და ქართული სცენის ურთიერთობის ტრადიციებზე. გერმანული პიესების წარმოდგენას ქართულ სცენაზე მდიდარი და ხანგრძლივი ისტორია აქვს. იმ დროიდან როცა მე-18 და მე-19 საუკუნეების მიჯნაზე მირიან ბატონიშვილს უთარგმნია ლესინგისა და კლაისტის ლიტერატურული თანამოაზრის, ნიჰეირი გერმანელი მწერლის იოახიმ-ვილჰელმ ბრაუეს პიესა „ათეისტის ტრაგედია“, ხოლო უფრო გვიან ნიკოლოზ ბარათაშვილს მე-18 საუკუნის გამოჩენილი გერმანელი მწერლის იოჰან ლეიზვიცის საუკეთესო ლექსადწყობილი დრამა „იულის ტარენტელი“, ეს პროცესი არ შენელებულა და არა ერთი და ორი ჩინებული ქართველი მოღვაწე გააყოლია მათ გზას, გასწილა გერმანული პიესების თარგმნის საშეიღვიწვილო საქმისათვის.

პირველ გერმანულ პიესას საბრძოლო ყიყინითა და შემტევი მოწოდებებით არ შეუღია ქართული თეატრის კარი. პირიქით, შეიძლება ითქვას, ერთგვარი მოკრძალებითაც კი შედგა ფეხი სცენაზე და ქართულ სამოსში გამოწყობილი ჩვენი მაყურებლის წინაშე 1853 წელს.

ეს იყო დრამა „ყვარყვარე ათაბაგი“, გადმოკეთებული გიორგი ერისთავის მიერ გერმანული დრამატურგის ფრიდრიხ ჰალმის იმ ხანად ფართოდ ცნობილი სანტიმენტალური პიესიდან „გრიზელდა“. მაგრამ სანტიმენტალიზმად ვერ მოიკიდა ფეხი ჩვენში. პირიქით, ქართული თეატრის რეპერტუარმა შეითვისა და შეისისხლხორცა უმთავრესად ის გერმანული დრამატურგები, რომელთა გმირებიც გაბედულ და სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდნენ ბოროტებასა და უსამართლობას. მხოლოდ ისეთი პიესები იყო ახლობელი ქართული თეატრისა და მაყურებლისათვის, რომელთაც ვაკაცური შემართება და ქეშმარიტი დრამატიზმი ახასიათებთ. თვალსაჩინო მხატვრულ შედეგებსაც ჩვენი თეატრი მხოლოდ ასეთ მასალაზე აღწევდა ხოლმე. ამიტომ არის, რომ უპირველესი ადგილი ქართულ-გერმანულ თეატრულ ურთიერთობაში სწორედ ფრიდრიხ შილერსა და კარლ გუცოკვს ეკუთვნით.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არა ერთი და ორი შესანიშნავი სამსახიობო გამარჯვებისათვის მიუღწევია ჩვენს თეატრს სხვა გერმანულ პიესებშიც. გავიხსენოთ თუნდაც ლადო მესხიშვილის რომერტი გ. ჰაუპტმანის პიესიდან „აიდეზუფი ხალი“, ანდა ნინო ჩხეიძის მაგდა გულდერმანის პიესიდან „მშობლიურ ქერქვეშ“. გავიხსენოთ აგრეთვე კოტე მესხის მიერ „მეღანის ოინების“, სახელწოდებით გადმოქართულებული გ. ჰაუპტმანის კომედია, რომელშიც ნატო გაბუნიაშვილი მთავარი გმირის მძაფრი სატირული სახე შექმნა, ან კიდევ ჰაუპტმანისავე როზა ბერნლი ნინო დავითაშვილის შესრულებით, რომელსაც საზოგადოებაში ისეთი რეზონანსი გამოუწვევია, რომ მსახიობ ქალს სახლვარგარეთ მოსწავლე ქართველი ახალგაზრდებისაგან საჩუქრად ჰაუპტმანის პიესათა კრებული მიუღია ავტოგრაფით. და კიდევ ერთი მაგალითი: ხანდაზმულებს დღესაც ახსოვთ ვალერიან გუნიას და მიხეილ ქიაურელის ბრწყინვალე დუეტი სახალხო სახლის სპექტაკლიდან „სამხედრო ბანაკში“. ა. ბეიერლინის ამ პიესაში პრუსიის არმიის მოხუც ვახმისტრს თამაშობდა ვ. გუნია, ოფიცერს — მ. ქიაურელი. „ყაჩაღები“, „ვერაგობა და სიყვარული“,

„ღონ-კარლოსი“, მარია სტიუარტი“ და „ურეელ აკოსტა“ ხომ გამუდმებით ამშვენებდნენ ქართულ სცენას, წარმატებით ავლენდნენ ქართულ მსახიობთა მგზნებარე ტალანტს და ესაბუთებოდნენ ქართველი მსახიობების თავისუფლებებისმოყვარულ მისწრაფებებს. ყოველივე ამან განსაკუთრებით იჩინა თავი 1905 წლის რევოლუციის პერიოდში და მით უფრო ჩვენი თეატრალური ხელოვნების უქცობი დიდების — ლალო მესხიშვილის რეჟისორულ და სამსახიობო ხელოვნებაში. ეს გასაგებიც არის: ლალო მესხიშვილი ხომ თავის ხელოვნებას ხალხის სამსახურში აყენებდა. ფ. შილერისა და კ. გუცოვის დრამები კი საშუალებას აძლევდნენ მას თავისუფლების მქადაგებელი აზრები ამაღლებელი პათეტიკურობით გაეზიარებოდა მსახიობებისთვის. ამიტომ არის, რომ მისი კარლოსი და ფრანცი „ყაჩაღებიდან“ და ურიელ აკოსტა კ. გუცოვის დრამიდან ლეგენდად შემორჩნენ ქართული თეატრის ისტორიას.

ცალკე გვინდა გამოვყათ 1905 წლის 27 დეკემბრის ქუთაისის თეატრში წარმოდგენილ გ. ჰაუპტმანის დრამა „ფიქიჭრები“, თუნდაც იმიტომ, რომ ამ პიესის დიდგმა აკრძალული იყო ცენზურის მიერ, მაგრამ მიუხედავად ამისა მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით მხოლოდ ნიჟნი ნოვგოროდისა და ქუთაისის თეატრებმა გაბედეს და თითქმის ერთდროულად აამეტყველეს იგი თავიანთ სცენებზე.

სილუზიელი ფიქრების აჯანყებისადმი მიძღვნილი ეს ნაწარმოები ისე აშკარად აშოშვლებდა მუშათა კლასის უკიდურეს მდგომარეობას, რომ საერთო უკმაყოფილების ვითარებაში კიდევ უფრო ამძაფრებდა აჯანყებულ ხალხის რისხვას. ალბათ პიესის პროპაგანდისტულ ძალაზე მეტყველებს ისიც, რომ „ფიქრების“ ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი რუსეთში იყო ლენინის უფროსი და ანა, ხოლო რედაქცია თარგმნისათვის თვითონ ვლადიმერ ილიას ძეს გაუკეთებია. ჩვენ არ ვიცით ვის თარგმნით ისარგებლეს ვლადიმერ მესხიშვილმა და ვალერიან შალიკაშვილმა, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ მათ რუსულიდან თარგმნეს „ფიქრები“ და დიდი წარმატებით განახორციელეს იგი ქუთაისის თეატრში.

საბჭოთა ქართული თეატრი არა მარტო აგრძელებს, არამედ აფართოვებს და აღრმავებს კიდევ გერმანული დრამატურგისისადმი დამოკიდებულების ჩინებულ ტრადიციას. დღეს გერმანული დრამატურგია მყარად შევიდა ჩვენი პროფესიული თეატრის რეპერტუარში. უფრო მეტიც, გერმანულ პიესებს ხშირად შეხედებით

სახალხო თეატრების სცენაზე, თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო პროგრამაში, ტელე და რადიო დადგმებში. საბჭოთა ქართული თეატრების აფიშებზე ფ. შილერის, კ. გუცოვის, გ. ჰაუპტმანის, გ. ზუდერმანის, ლ. ფულდის და რევოლუციამდელი ქართული თეატრისათვის სხვა ნაცნობი ავტორების გვერდით ახლა დიდი რაოდენობით ჩნდება ახალი გვარები: გ. ლენინგი, გ. გოფმანსტალი, ე. ტოლერი, გ. კაიზერი, ფ. ვერფელი, ვ. გაზენალევერი, ფ. ვოლფი, ბ. ბრეხტი, კ. ვიტლინგერი, დიურენმატი და მრავალი სხვა.

მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარი მაინც ის არის, რომ საბჭოთა პერიოდში გერმანული დრამატურგია ქართული სცენის უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. ხომ უდაო ფაქტია, ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნება არამც თუ თვითონ მდიდრდება გერმანული დრამატურგების ნაწარმოებებთან შემოქმედებითი შეხვედრების დროს, არამედ თავის მხრივაც ამდიდრებს ამ ავტორების სცენური შესრულების ისტორიას ბრწყინვალე აქტიორული ნამუშევრებით. განა ამ აზრის საუკეთესო საბუთი არ არის უშანგი ჩხეიძის ურიელ აკოსტა, ვერიკო ანჯაფარიძის ივლითი და მარი სტიუარტი, სესილია თაყაიშვილის ინგლისის დღეოვანი ელისაბედი, აკაკი ხორავასა და აკაკი ვასაძის კარლოს და ფრანცი მორეები ხომ ცხადზე უცხადესია, რომ მათ სრული უფლება აქვთ გვერდი დაუშვენიონ ამავე როლების შემსრულებელ მსოფლიოში სახელმწიფოებელ ყველა სხვა დიდოსტატებს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სამამულლო ომის მიძიმე წლებშიც კი, ქართული თეატრის აფიშებიდან არამც თუ არ ჩამოსულა დიდი გერმანული მწერლის ფრიდრიხ ვოლფის ანტიფაშისტური დრამა „პროფესორი მალოკი“, რომელიც მრავალ ჩვენ თეატრებში დაიდგა, განსაკუთრებით წარმატებით კი რუსთაველის თეატრში, სადაც მთავარ როლს შთამბეჭდავად ანსახიერებდა გიორგი დავითაშვილი.

უკანასკნელ ხანებში ქართულ სცენაზე განხორციელებული გერმანული პიესებიდან გვინდა დავასახელოთ რუსთაველის თეატრში დადგმული ბრეხტის „სამ გროშაინი ოპერა“ და „სიქსტანელი კეთილი ადამიანი“.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ გერმანული და საბჭოთა ხალხების კულტურულ ურთიერთობაში ქართულ თეატრსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია.



## ქუთაისის თეატრის გასული სეზონი ინოვაციური

ქუთაისის თეატრი ყოველთვის იდგა და დგას ჩვენი რესპუბლიკის ხალხის ყურადღებასა და ინტერესის ცენტრში. რამდენიმე ხნის წინათ ამ თეატრის ცხოვრებაში მოხდა ზოგი ისეთი ცვლილება, რაც უთუოდ არსებითი მნიშვნელობისაა. თეატრიდან წავიდა მისი სამხატვრო ხელმძღვანელი, მთელს საბჭოთა კავშირში კარგად ცნობილი სამსახიობო და სარეჟისორო ხელოვნების სახელმძღვანელო ოსტატი აკაკი ვასაძე. მან ათი წელი უთავაკა ქუთაისის თეატრს, რომელმაც არა ერთი დიდი და სასახელო ფურცელი ჩაწერა ქართული კულტურის ისტორიაში. აკაკი ვასაძის ხელმძღვანელობა ფრიალ მნიშვნელოვანია, საინტერესო და ნაყოფიერი იყო, როდესაც თვალს ვავლებთ ამ აღიარებული ოსტატის მუშაობას ქუთაისში, პირველ რიგში ვმსჯელობთ იმაზე, თუ რა შესძინა მან თავისი მუშაობით ამ თეატრსა და მის მაყურებელს. ვფიქრობთ, ორი რამ, ერთი — რეპერტუარში დიდი ხვედრითი წონა მოუბოვა ქართულ დრამატურგიას, მეორე — განსაკუთრებული ყურადღებით მუშაობდა ახალგაზრდებთან.

აქ ვასაძემ რომ დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდობის წინსვლას, ამის საუკეთესო მაჩვენებელია რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის აღზრდილი რეჟისორის თამაზ მესხის მაგალითი. იგი მოსწავლის მერხიდან მოყოლებული დავალებულია აკაკი ვასაძის მზრუნველობით. და აი, დღეს შეგირდი თამაზ მესხი ღირსეულად ცვლის მასწავლებელს.

ახალგაზრდული შემართებით, ენერჯის დაუზოგველად და თეატრის კოლექტივის მხარდაჭერით თ. მესხმა, მისი მასწავლებლის სასახელოდ, შეძლო ნდობა გაემართლებია. 1968—69 წლის სეზონში დაიდგა ისეთი მაღალი ღირსების სპექტაკლები, რომლებმაც რესპუბლიკის მასშტაბით აღიარება ჰპოვეს.

ყველა ზემოაღნიშნულმა განსაკუთრებულად საინტერესო გახადეს მაყურებელთა კონფერენცია, რომელიც საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გასული სეზონის დასასრულს მოაწყო ქუთაისში.

სეზონის ახალ სპექტაკლთა შორის კარგი შეფასება მიიღო ი. ვაკელის „აპრაქუნე ჭიმიკ-მელმა“ და სოფოკლეს „ანტიგონემ“.

ახალგაზრდა რეჟისორის მ. ფურცხვანიძის მიერ დადგმული „აპრაქუნე ჭიმიკი“ დიდ-

ბული ანსამბლის სპექტაკლია. მასში პირველყოვლისა, ვხედავთ შესანიშნავ კონტაქტს თეატრსა და მაყურებელს შორის. სპექტაკლში საგანგებო ყურადღების ღირსია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ე. გვენცაძის მუშაობა. მსახიობის ელასტიკურობა, აზრისა და ფიზიკური მოქმედების მთლიანობა აპრაქუნეს სახეს მხატვრულად საინტერესოს ხდის.

ამ საყურადღებო სცენურ ნაწარმოებში ემოკრიტეს ბრწყინვალე სახე შექმნა მსახიობმა ან. ხერხაძემ; ჩვენ მივავანია, რომ ემოკრიტე არა მარტო ან. ხერხაძის შემოქმედების ბიოგრაფიაში დაიჭერს თვალსაჩინო ადგილს, არამედ მტკიცედ შევა ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაშიც.

საქართველოს დამსახურებული არტისტი გრ. კოცელაძე კოცეციას როლის განსახიერებისას დიდ ზომიერებას იცავს. იგი, როგორც ნამდვილი ოსტატი შეეფერება, არ ცდილობს მაყურებელი იაფფასიანი ტრიუკებით „მოხიზლოს“ და გააციუნოს.

ასეთივე მაღალი პროფესიონალიზმით იცეცეს ყურადღებას კ. აბესაძე, რომელიც არქიზონს დამსახურებულ სახეს ქმნის.

კარგად ესმის სპექტაკლის რიტმი და ტემპი ბებელას როლის პლასტიკურად შემსრულებელ ც. მესხს.

სპექტაკლში შესანიშნავია მხატვარი ჯვირან ფაქუაშვილი, იგი სცენური ნაწარმოების ქვეშარტი თანავეტორია. დიდებულად ეხმარება მსახიობებს, უქმნის მათ სამოქმედო მოედნებს. დეკორაციებში აზრობრივ გამართლებას პოულობს ადამიანი — საფრთხობელა (ფიტულა). მაყურებელი კარგად ხვდება, რომ ეს თვით აპრაქუნეა, აპრაქუნე, რომელიც დიდი თვითმყოფილებით წამოვიძლია საყურადღებო ფიტულის წინ მღვარ ღრმა სავარძელში.

პ. ბუხაიძის მუსიკალური გაფორმება თავისი კოლორიტულობით დიდ მოწონებას იმსახურებს.

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „აპრაქუნე ჭიმიკი“ მით უფრო საყურადღებოა, რომ 35 წლის წინად დაწერილი ეს პიესა თეატრმა ახალგაზრდულად ააუღერა. ამ პიესას პირველი სცენური ნათლობის დიდიან, უამრავი განმხორციელებელი ჰყავდა, ამასთან ერთად, რეს-

ბუბლიკის ბევრ სცენას ახლავს შესანიშნავი აპ-რაუტუნები, ემოკრიტიკები, პეპელები და ასეთ ვითარებაში ძნელი იყო მოსაწონებელი სიტყვათქმა, მაგრამ ქუთაისის თეატრმა დასძლია ეს სინონე და თეატრის მოყვარულები კარგი სპექტაკლით გაახარა.

სოფოკლეს „ანტიგონე“ რეჟისორმა თამაზ ჯესხმა საგმირო-რომანტიკული სტილით დადგა. ამ რეჟისორის ნამუშევრებს, საერთოდ, აზრის ლაკონურობა და კონკრეტულობა ახასიათებს, ამის მშვენიერი მაგალითია „ანტიგონე“.

მესხიშვილის თეატრის „ანტიგონეში“ მშვენიერად არის დამუშავებული ქორო. მოხერხებულად არის მოტანილი ანტიკური ნიღბები, რომლებიც ისტორიული ფუნქციის თვალსაზრისითაც არიან საინტერესონი და, ამავე დროს, ფარებად გამოყენებულნი, სპექტაკლის ტექნიკურ მხარესაც ემსახურებიან. მაგრამ ჭარბად გამოყენებული ეს ნიღბები მაყურებელამდე ვერ დადის. ასევე მიმართა სპექტაკლის პროლოგი და ეპილოგი, რომლებიც სიუჟეტურ ხაზს ამძიმებენ და ტავტოლოგიაში გადადიან.

სპექტაკლი უაღრესად პლასტიკურია. მასში აქტიურულად მალალ შეფასებას იმსახურებენ თ. ლასხიშვილი (ანტიგონე), ვ. მეგრელიშვილი (კრეონი), ი. ბალიაშვილი (ჰემონი) მ. გელაშვილი (ევრიდიკე), ნ. წიკლაური (ტირესი).

მხატვარი შერაზ შერვანიძე სპექტაკლის ისეთი თანავეტორია, რომელსაც კარგად ესმის ანტიკური ბიჟისის თავისებურება და ისიც, თუ რამ უნდა მიანიჭოს მას თანამედროვე ფერადობა. ფერთა შესანიშნავი შერჩევა და სცენის ტექნიკის საფუძვლიანად დაუფლება თეატრალური მხატვრის კარგ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის მუსიკამ ანტიკურ დრამატურგიაზე შექმნილ სპექტაკლებზე, საყოველთაო აღიარება მოიპოვა და აქაც მაყურებელი ერთხელ კიდევ დარწმუნდა იმ სილიადესა და კოლორიტულობაში, რომლითაც, საერთოდ, ხასიათდება ო. თაქთაქიშვილის მუსიკა.

თეატრის უკანასკნელი სეზონის ახალ სპექტაკლთა რიცხვშია ილია ჭავჭავაძის „გლახის ნამბობი“. რა თქმა უნდა, კარგია, რომ თეატრის რეპერტუარში არის დღი ქართველი კლასიკოსის ნაწარმოების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი, მაგრამ, იგი, ჩემის აზრით, ვერ იმსახურებს ისეთ მაღალ შეფასებას, როგორც ზემოთ აღნიშნული სცენური ნაწარმოებები.

საწყენია, რომ მხატვარ ჯ. ფაჩუაშვილის

ნამუშევარი „გლახის ნამბობი“ მოკლებულია ემოციურობას. რამდენადაც იგი ღრმად აზროვნებს სპექტაკლ „აპრაქუნე ჭიჭიშვილი“, იმდენად აქ ემპირიულია, მხოლოდ ილუსტრირებას ახდენს, რითაც სრულიად არ შედავდება მხატვრის საკუთარი შეხედულება ამ ლიტერატურული ნაწარმოებისა.

ამ სპექტაკლში ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმეთ როლების განაწილებას. შეიძლება რეჟისურას ასეთი განაწილებით სურს მსახიობები ააცდინოს სწორხაზობრივი და ერთნაირი ხასიათის როლებზე მუშაობას, ააცდინოს ე. წ. შტამპს, მაგრამ ასეთი ვარჯიშისათვის, ვფიქრობთ. „გლახის ნამბობი“ შეუფერებელი მასალაა.

1968—69 წლის სეზონში ქუთაისის თეატრი სწორ გზაზე იდგა. მისი რეპერტუარი საინტერესო იყო. რამდენიმე კარგმა რეჟისორულმა და აქტიორულმა ნამუშევარმა საერთო ყურადღება მიიქცია და მაყურებლის სიყვარული მოიპოვა. ყოველივე ეს დეტალურად იყო გაანალიზებული საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გამართულ მაყურებელთა კონფერენციაზე.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ხელეწიერების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ქეიშვილმა, რომელმაც დამსწრეთა ყურადღება გამახვილა თეატრის ამოცანებზე, ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავის იუბილესთან და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავთან დაკავშირებით.

სპექტაკლების განხილვაში მონაწილეობდნენ თეატრმკოდნეები: ნ. შვანიტაძე, ე. კიკნაძე, ა. ტრაპაძე.

მაყურებელთაგან სიტყვები წარმოთქვეს: ქუთაისის მე-4 სამყრავლო ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანმა მ. ქანდარიამ, კრიტიკოსმა ს. არველაძემ, პოეტმა ქალმა ლ. ნუცუბიძემ, კომკავშირის ქალაქკომის მუშაკმა მ. ხაჭაპურიძემ, პენსიონერმა ნ. ქორჭოსაძემ.

დასასრულს სიტყვით გამოვიდა მესხიშვილს სახელობის სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი თ. მესხი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ბოჭოძე, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე უ. ცქვიტინიძე, პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი თ. ვარდანაშვილი, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი თ. იმედაძე.

## ლ. სანიკიძის „მედეა“ სხინვალის თეატრში

ვინო კიკოძე

ანტიკურ ეპოქაშივე წარმოიშვა ორი ურთიერთ საწინააღმდეგო აზრი მედეას — მკვლელი დედის შესახებ. სხვადასხვა ავტორები მედეას ტრაგედიაში ერთმანეთს ემიჯნებოდნენ ამ დეტალის განსხვავებული წარმოსახვით.

პირველს სათავეში უდგას ევრიპიდე. შემდეგ მის მოსაზრებას ანვითარებდნენ სენეკა, ჟოლელი, ლა პერიეზი. გრილ ბენცერი, სუგორინი, ბერეგინი და სხვანი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მედეამ თვითონ დახოცა საკუთარი შვილები.

ამის პარალელურად მითის მეორე ვარიანტი ვითარდებოდა. მას ემხრობოდნენ კრეოფილე, პინდარისი, პარმენიკე, პავსანია, კლავდიუს ელიანე. გარდა ამისა, ეს მითი დასაბუთებულია კრეოფილეს მიერ ანტიკური ლეგენდით და კორინთელი ვერსიით.

გასულ საუკუნეში აკ. წერეთელი ფიქრობდა „მედეას“ თემაზე ტრილოგიის დაწერას, რომლის მხოლოდ პირველი ნაწილის დაწერა მოასწრო. როგორც ჩანაწერებიდან ირკვევა, მას სურდა შეექმნა სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანის ტრაგედია.

ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში კვლავ განახლდა „მედეას“ — მკვლელი დედის საკითხი. ამჯერად ეს წამოაყენა და შეძლებისდაგვარად გადაწყვიტა ბერძნული ლიტერატურის მკვლევარმა და ისტორიკოსმა ლევან სანიკიძემ თავის ტრაგედია „მედეაში“.

„მე მინდოდა მედეაზე შექმნილი თქმულების იმ სახით აღდგენა, — აღნიშნავს ლ. სანიკიძე, — როგორც ცნობილია თვით ბერძნული წყაროებით, მე მინდოდა ქართველი ქალის, მედეასათვის მომეცილებინა შვილების მკვლელის შემზარავი სახელი, რაც მას თავს მოახვია დიდმა ბერძენმა ევრიპიდემ თავის უკ-

და ნაწარმოებში“ გაზ. „ლიტ. საქართველო“ № 26, 1965 წ.).

ლ. სანიკიძის მედეას ტრაგედიის არსი სამშობლოდან მოწყვეტილი ადამიანის ტრაგედიაა. იგი ამტკიცებს — ვინც მტერს დახმარების ხელს გაუწვდის უბედურია და ყველაზე მიძიმე სასჯელის ღირსია.

ლ. სანიკიძის „მედეა“ პირველად ქუთაისის თეატრში წარმოადგინეს (1962 წ. რეჟისორი თ. მესხი), შემდეგ თელავსა და ზუგდიდში (1963—1964 წ. რეჟ. ნ. დვისაძე), მოგვიანებით — გორის თეატრში (1966 წ. რეჟ. ნ. დემეტრაშვილი) და ბოლოს, — მიმდინარე წლის სეზონში ცხინვალის თეატრის ქართულ დასში (1969 წ. 10 ოქტომბერი, რეჟისორი ი. მაცხოვნაშვილი).

დამდგმელმა რეჟისორმა ი. მაცხოვნაშვილმა „მედეა“ ჩაიფიქრა როგორც ანტიკური ეპოქის ადამიანის ტრაგედია, რომელმაც სიყვარულს შესწირა ყველაფერი. თვით სამშობლოს ერთგულებაც და სანაცვლოდ სამშობლოს მოშორებული ადამიანის მწარე ხვედრი მიიღო. რეჟისორის მიერ ლოგიკურად აგებული მიზანსცენები, დაძაბული სიტუაციები, საინტერესო მიგნებანი ზუსტად გამოხატავენ „მედეას“ პირად ტრაგედიას. განსაკუთრებით ეფექტურადაა მოძებნილი სპექტაკლის დასაწყისი და ფინალი.

ერთს შევნიშნავთ — სპექტაკლში ზედმეტადაა გამახვილებული ყურადღება ბერძენისადმი სიძულვილის გრძნობაზე. ეს კი არასასიამოვნოდ ჟღერს. ჩვენი აზრით, ზედმეტია მოქმედ გმირთა ეროვნულობაზე ყურადღების გამახვილება. მედეას ტრაგედია იმაში კი არ მდგომარეობს, რომ იაზონი ბერძენია, არამედ მის საბედისწერო შეცდომაში. ვფიქრობთ, რომ აქ დრამატურგიც დამნაშავეა, მაგრამ რეჟისორს შეეძლო არ გაემე-

ორებინა მისი შეცდომა, ყურადღების მახვილების გადატანით შეერბილებინა ეს განწყობა.

„მედეა“ საინტერესო სპექტაკლია, იგი ამჟღავნებს რეჟისორის შემოქმედებითი დიაპაზონის სიფართოვესა და ოსტატობას.

რეჟისორთან ერთად მხატვარი ა. რამიშვილი ცდილა მკაფიოდ ეჩვენებინა ეპოქა. ეს ჩანაფიქრი კი ემთხვევა ავტორის სურვილს — სწორედ ანტიკურ ეპოქაშივე წარმოიშვა მედეას მითის ორი ვარიანტი. სცენაზეა დიდი დანადგარი, რომელიც წარმოადგენს იაზონის სასახლის შესასვლელს, მრავალრიცხოვანი კიბეებით და სხვადასხვა ზომის კოლონებით. ერთს შევნიშნავთ — მასიური დანადგარი მცირე მოცულობის სცენაზე შემაბრაკოლებლად ჩანს. ერთი მხრივ იგი მიბჯენილია მაყურებელთა დარბაზზე, მეორე მხრივ ზღუდავს მსახიობს. კარგი იქნება თუ იგი რამდენიმე საფეხურით მაინც დაიწვევს უკან და შეძლებისდაგვარად სცენის სიღრმეში შეიწვევა, რითაც შეიქმნება სივრცის მეტი ილუზია და გაფართოვდება სათამაშო მოედანი.

ზ. კანდელაკის მიერ სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება ძირითადად დამაკმაყოფილებელია, მუსიკა გამოხატავს გმირთა შინაგან სულიერ სამყაროს, აღლიერებს სპექტაკლის ეფექტურობას. მხოლოდ ტექნიკურად ჩანაწერი ზოგჯერ ისე ძლიერად ჟღერს, რომ ფარავს მსახიობის ემოციურ სცენებს.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს მსახიობთა პლასტიკური მოძრაობის სისუსტე. სცენაზე ყოველი მოძრაობა უნდა გამომდინარეობდეს შინაგანი მოთხოვნილებებიდან და ესთეტიკურად დასრულებულ მხატვრულ სურათს ქმნიდეს. კარგი იქნებოდა თუ თეატრი სცენური მოძრაობის სპეციალისტს მოიწვევდა ან თვითონ დამდგმელი რეჟისორი მეტ ყურადღებას დაუთმობდა გამოსახვის ამ საშუალებას.

ლ. სანიკიძისეული მედეა უფრო უბე-

დურია, ვიდრე შურისძიებით გააფთრებული, თუმცა მისი პიროვნება მაინც ტრაგიკულად რჩება. უდაოა — მისი შესრულება დიდ შინაგან ძლიერებას და ოსტატობას მოითხოვს. ეს სირთულე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა მსახიობ რ. პლიევას. სირთულე იმაშიც მდგომარეობდა, რომ მსახიობს პირველად ეძლეოდა შესაძლებლობა თავი გამოეცადა ტრაგიკულ რეპერტუარში. ცდა წარმატებით დასრულდა. მისი მედეა მაყურებელს ხიზლავს უშუალოდ და უსასღვრო დედური სიყვარულით. მსახიობი თავდაპირველ მოგვითხრობს მედეას ცხოვრების ისტორიას. განსაკუთრებით ძლიერად ატარებს სცენას დიკეფილესთან. აქ ბოულოვს გამოხატულებას მისი შეცდომების თვითშეცნობის სიმწვავესასურველია მსახიობმა ალაგ-ალაგ შეცვალოს ინტონაცია. ეს მეტ შთაბეჭდაობას შექმნდა საინტერესოდ განხორციელებულ სახეს.

ტემპერამენტისანი და ცბიერია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის გ. ქოქოევის იაზონი. მართალია, იაზონს სულ სამი ეპიზოდი აქვს სპექტაკლში, მაგრამ მსახიობი აღწევს საინტერესო სახის შექმნას და იაზონის ბუნების ძირითადი თვისებების დამაჯერებლად ჩვენებას. პატივმოყვარეობა და გამეფების სურვილი ამოძრავებს გ. ქოქოევის იაზონს. მის ყველა მოქმედებაში იგრძნობა სწრაფვა ამ სურვილისაკენ.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. ცხვირაშვილი დამაჯერებლად წარმოგვიდგენს ბრძენი სიმართლის გუშაგი დიკეფილეს სახეს. მსახიობი ჩვეული შინაგანი სითბოთი ატარებს ვრცელ დიალოგს მედეასთან და დამსახურებული სიმბათიით განაწყობს მაყურებელს თავისი გმირის მიმართ.

სპექტაკლის საერთო შთაბეჭდილებას ხელს უწყობს ეპიზოდური როლების შემსრულებელი მსახიობების: ნ. ჯიოშვილის (კრეუზა), ზ. გასიევის (კიმონი), გ. გოვიჩევის (ავგია), ზ. კიკნაძის (ფე-



რესი) და ქ. დრიაევის (გერმეროსი) მართალი და საინტერესო სახეები.

ცხინვალის თეატრის დადგმით ლ. სა-

ნიკიძის „მედეამ“ ახალი სიცოცხლე შეიძინა და კოლექტივმა თავის მზარდ ოსტატობაში დაგვარწმუნა.

## „კრიმინალური ზანგო“ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე

თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულმა დრამატულმა თეატრმა განახორციელა დრამატურგ ეგონ რანეტის სატირული პიესა „კრიმინალური ზანგო“. პიესა აქტიუალური შინაარსისა და თანამედროვე ყოფის საჭირობოტო საკითხებს ეხება.

წარმოდგენის დაწყებისთანავე ჩვენს წინაშე საინტერესო ოჯახური კონფლიქტი იშლება. ოჯახი სამი სულისაგან შედგება. მიუხედავად ამისა, მათში ერთსულოვნება არ სუფევს. მშობლები სპექტაკლის დასაწყისშივე შიშვლდებიან მთელი თავისი გონებრივი ავლადიდებით და სულიერი სილატაკით. მამა (რესპ. დამს. არტისტი ი. ზლოზინი), რომელსაც განათლებულ კაცად მოაქვს თავი, თაღლითია. ვერც დედა (რესპ. სახალხო არტისტი ტ. ბელოუსოვა) დგას სათანადო სიმალეზე, ვერ გარკვეულა შვილის სწორად აღზრდის საკითხში და გადამეტებული მოფერებით, ანგარებიანი რჩევა-დარიგებებით აბრუებს შვილს — იანუსს (მსახიობი ე. კუხალეიშვილი). ასეთი არასწორი აღზრდით იგი ბოროტმოქმედი გამხდარა. მშობლები ერთმანეთს აბრალებენ საკუთარ შეცდომებს და უსაფუძვლოდ იმართლებენ თავს. მაგრამ ყველაფერი ეს დასაწყისშია. შემდეგ კი იწყება მათი დაძაბული შინაგანი განცდები და შეცდომები მორალურ უბედურებად ატყდებათ თავს.

როგორც ვხედავთ, სპექტაკლში ზოგადი, ჩვენი დროისათვის საინტერესო და მეტად საჭირობოტო პრობლემაა წამოჭრილი. ჩვენს მაყურებელს რეჟისორ სერგო ჭელიძის დადგმული ბევრი კარგი

სპექტაკლი ახსოვს. ამიტომაც გასაგებია მაყურებლის განსაკუთრებული ინტერესი ამ სპექტაკლისადმი. სერგო ჭელიძეს სურს სცენაზე აჩვენოს თანამედროვეობის მძაფრი სურათები, თანამედროვე ადამიანის ცხოვრების მტკივნეული მხარეები. რეჟისორმა კარგად დასძლია ამოცანა, შექმნა ცოცხალი, ხალისიანი და მძაფრი სანახაობა, რამაც ფართოდ მიიზიდა მაყურებელი, რომელიც ცხოვლად ეხმაურება სცენურ მოქმედებას. მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ რეჟისორმა ალაგ-ალაგ ზედმეტად გაამახვილა ყურადღება გარეგან სანახაობით მხარეებზე, ემპირულ ეფექტებზე, რამაც გამოიწვია გემოვნების ერთგვარი გაუფასურება. უდავოდ არაესთეტიურ შთაბეჭდილებას ტოვებს სპექტაკლის ზოგიერთი სცენა (იანუსის სახლში ქეიფი, დაკითხვა და სხვა).

იანუსი საეჭვო ხალხშია მოხვედრილი. ვინ არიან ეს ახალგაზრდები? ისეთივე ცუდი აღზრდის მსხვერპლნი, როგორც არის თვითონ, — ვულგარული გარეგნობის საეჭვო და ამორალური პირები, რომელთაც არ სურთ გაერკვნენ თუ რა ხდება მათს გარშემო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ინტერესებისაგან განზე გამდგარნი მხოლოდ თავიანთ ბოროტ ინსტიქტებს აპყოლიან. საბედნიეროდ ასეთი პირები იშვიათი გამოჩენილები არიან და, რა თქმა უნდა, ისინი როდი არიან დღევანდელ სინამდვილეზე შექმნილი სპექტაკლების მთავარი ფიგურები. მათი ხასიათებისა და ყოფაქცევის ჩვენება გამიზნულია იმისათვის, რომ მაყურებელმა დაინახოს და გაითვალისწინოს თუ რა საბედისწერო შე-

დევამდე შეიძლება მიიყვანოს შეცდომებ-  
მა ადამიანი. როდესაც მათ მოქმედებასა  
და დიალოგებს ვისმინთ გული გვტკივა,  
რატომ არ გვანან ისინი იუკისა და ლი-  
ლიას. მათ შეხედულებებს ხომ არავითა-  
რი საერთო არა აქვთ ჩვენი მაცურებლის  
სულიერ მისწრაფებებთან, ჩვენ თანა-  
დროულობასთან!

აღსანიშნავია ახალგაზრდა მსახიო-  
ბების მიერ როლების დამაჯერებელი  
შესრულება („ფილოსოფოსი“ — ი. სა-  
კაძვი, „დათვი“ — დ. სიხარულიძე, კე-  
ტი — ი. კვიციანიძე, შურკა — გ. პრიაჟ-  
ნიკოვა), თუმცა ზოგიერთ სცენაში უკმა-  
ყოფილების გრძნობა გვიპყრობს გადა-  
ჭარბებულად ექსცენტრული თამაშის გა-  
მო. ეს განსაკუთრებით ტლანქად ჩანს  
პირველ მოქმედებაში. კარგი იქნებოდა,  
რომ ზომიერება დაგვეცვა, რათა მაცუ-  
რებელს არსად არ ეგრძნო უხერხულობა.  
ამგვარ ადამიანთა ბუნება მაცურებლისა-  
თვის ისედაც ცნობილია და მისი ზედმე-  
ტად ტლანქად გამოტანა სცენაზე გაუ-  
მართლებელია.

იანუსი შემთხვევითი ბოროტმოქმე-  
დია. იგი მართლდება, მაგრამ ეს გამართ-  
ლება შევბას არ ჰგვრის, რადგან არც მი-  
სი სინდისი და არც გულისტკივილი არ  
ყუჩდება. საინტერესოა ახალგაზრდა მსა-  
ხიობ ე. კუხალაიშვილის მიერ იანუსის  
სახის გადაწყვეტა. მსახიობი წარმატე-  
ბას აღწევს გულწრფელობით, განცდების  
გადმოცემის სიმართლით.

დანარჩენ მოქმედ პირთა თამაშაც და-  
მაჯერებელი და ბუნებრივია. მსახიობები:  
რ. ყირნოვი, ნ. ქუთათელაძე, მ. იოფფე-  
მ. მიხაილოვი, მ. სელენისიანი ამჟღავ-  
ნებენ უნარს გარეგნული ეფექტების გა-  
რეშეც დაგვანახონ და განგვაცდევინონ  
მათი გმირების განცდები და ხასიათები.

მხატვრული გაფორმება (ხელოვნების  
დამსახ. მოღვაწე ე. დონცოვა) ხასიათ-  
დება გაბედული მკვეთრი ხაზებითა და  
ფერებით, რომლებიც მაცურებლის თვალს  
არ ტვირთავს ზედმეტი დეტალებით.

სპექტაკლის ფინალი ფაქტებს აჯა-  
მებს და მორალისტური დასკვნა გამო-  
აქვს. მხატვრის მიერ შერჩეული კიბე და  
მუსიკა (მუსიკალური გაფორმება რ. გე-  
ვენიაინისა), სადაც კრიმინალური ტანგოს  
რიტმული აკორდები თანდათანობით  
სულ უფრო და უფრო ძლიერდება, დი-  
დად ეხმარება რესპ. დამსახ. არტისტი  
ზლობინს როლის ფსიქოლოგიურად  
დაბოლოებაში. თითქოს ყველაფერი ეს  
მოსალოდნელია, მაგრამ, მიუხედავად  
ამისა, მეტად დრამატულ ელფერს აძ-  
ლევენ სპექტაკლის ფინალს.

როგორც ვხედავთ, სპექტაკლი „კრი-  
მინალური ტანგო“ (სათაურს აქვს სიმ-  
ბოლური მნიშვნელობა) არ არის რთული  
პლანის ნაწარმოები. მაგრამ მასში აშკა-  
რად გამოიკვეთა თემა, რომელიც ერთნა-  
ირად გვადლეწებს ახალგაზრდებსა და  
უფროს თაობას.

## პეპარები ზამს უკაჰენე

### ეთერ ჟორჟოლიანი

ქუთაისის თოჯინების სახელმწი-  
ფო თეატრმა მიმდინარე სეზონი ნ. არე-  
შიძის „მეგობრობით“ გახსნა.

სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამ-  
სახურებულმა მოღვაწემ ს. ვაჩანაძემ.  
სპექტაკლი მიჰყავს პატარებისათვის  
ცნობილ ექიმ აიბოლიტს. იგი თავისი  
უხილავი ფრთებით იქ გაჩნდება, სადაც

პიესის რომელიმე გმირს უჭირს.

ეპილოგით სცენაზე შემოდის ექიმი  
აიბოლიტი, თან მოჰყვებიან ძალი და  
მაიმუნი, რომლებიც ოსტატურად ხსნიან  
ფარდას.

ქართული ოჯახის კარ-მიდამოს ფონ-  
ზე იშლება პიესის სიუჟეტი: ცელქი და  
დაუდევარი დათო ტყვედ ჩავარდნილ და-

თვის ბელს აწვალებს, მერე ტყეში შაშვს ბარტყს მოსტაცებს და გალიაში გამოამწყვდევს. ბარტყი ვერ გაუძლებს ტყვეობას და კვდება. მასთან ერთად უკანაენლად მღერის ბარტყის დედა და სულს განუტეევს.

ეს საშინელი ამბავი თავზარს დასცემს დათოს დას, კეთილ და გამრჯე გოგონას თამროს.

ექიმის აიზოლიტის რჩევით თამარი ავადმყოფობის სცენას გაითამაშებს.

დის მღვდლობრებით შეწუხებული დათო უკვდავების წყლის მოსატანად მიდის. გზად მის მიერ დაობლებულ ბარტყებთან გაივლის, პატიებას თხოვს მათ და ატირდება.

ობლებს ბიჭის ტანჯვამ გული მოუღობო და გზა მისწავლეს. მალე მადლიერი დათო უპატრონო ბარტყებს საკვებს მოუტანს.

დინჯი და კეთილი აიზოლიტის როლს დამაჯერებლად ასრულებს მსახიობი შ. ფხაკაძე იგი ბუნებით თბილი მსახიობია, მაგრამ საჭიროა პარტნიორებთან მიმართვის დროს ჟესტიკულაცია დახვეწოს.

დათო-ბიჭს ი. ფოფხაძე განასახიერებს. ახალგაზრდა მსახიობი კარგად იძლევა აბეზარი ბიჭის ხასიათს.

მაცურებლის სიმპათიას იმსახურებს თამარი — ე. თოდუა. მას ძალზე აწუხებს ძმის საქციელი, რისთვისაც, აიზოლიტის რჩევით, თავს მოიავადმყოფებს. საამო მოსასმენია გოგონას სიმღერა, როცა იგი ყვავილებს დაჰხარის, მაგრამ უკეთესი იქნებოდა სიმღერის დროს ან დაებარა, ან მოერწყო, ან ყვავილების ძირი გამოესუფთავებია. ამით თამარის, როგორც მშრომელი გოგონას, ხასიათი უფრო დასრულებული იქნებოდა.

შაშვის ბარტყები კარგად წარმოადგინეს მსახიობებმა თ. ჭელიძემ და ლ. ხინგავამ. საამო მოსასმენია მათი სიმღერები, რომლებშიც თავიანთ სიხარულსა და მწუხარებას გადმოსცემენ.

დედა შაში რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მ. სანიციძემ წარმოადგინა. იგი შვილებისათვის თავდადებული დედაა, ტყვე შვილის გალიასთან მისი სიკვდილის სცენამ პატარებს ცრემლიც კი მოჰგვარა.

მაგრამ საინტერესოა, რატომ არ მისცა პიესის ავტორმა დედა შაშვს სიტყვის უფლება. როგორ შეიძლებოდა იგი ასე უსიტყვოდ შეხვედროდა დათოს თავდასხმას და შვილის მოტაცებას?!

და ბოლოს გვინდა შევეხოთ ახალგაზრდა მსახიობის ლ. გიორხელიძის დათვის ბელს, რომელიც საოცარი სიმართლით გადმოგვცემს პატარა ნადირის ბუნებას. მაგრამ გვეგონია, რომ ბოლო სცენა, სადაც დათვის ბელი დათოს ცემს, ზედმეტია. მაცურებელმა მასში დათოზე სამაგიეროს გადახდის ჟინით ანთებული მოწინააღმდეგე დაინახა და არა კეთილი დათუნია, რომელმაც გველის დაგესვლისაგან გადაარჩინა.

პიესა იწყება ლექსად, შემდეგ გადადის პროზაში, მერე ავტორი ისევ ლექსის ფორმას უბრუნდება, შემდეგ ისევ პროზას... ეს პიესას სტილის ერთიანობას და ლაკონურობას უკარგავს.

სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობს გემოვნებით შესრულებული დეკორაციები და თოჯინები. ასევე კარგია მუსიკა, რომლის ავტორიც არის გ. ჩიჩაძე.

ტყის ბინადართა და ბავშვების მეგობრობით კმაცოფილი პატარა მაცურებელი სპექტაკლის დასასრულს მსახიობებს აღტაცების ტაშს უკრავს.

## ნიჭის მადლი ლელია კოხაია

## თეატრის ტრფიანი

ხარიტონ ვარდოშვილი

აღ. ბურთიკაშვილის ხსოვნა

თეატრის შესასვლელთან ნორჩი მყურებულები თანატოლ ბიჭუნას ელოდნენ, რომელიც სულ ორიოდ საათის წინ სცენაზე გაიქცენ და შეიყვარეს. მათ წინ გაიარეს სპექტაკლის მონაწილე მსახიობებმა, პატარა ბიჭუნა კი არ გამოჩნდა... გულნატკენნი დაიშალნენ.

და აი, რამდენიმე დღის შემდეგ მსახიობთა სიხარულიძეს თეატრის დირექტორმა ვადასცა რუსთაველ მოსწავლეთა წერილი. «გთხოვთ, შეგვატყობინოთ რომელ სკოლაში სწავლობს სპექტაკლ „ნების შევარდენში“ მთავარი როლის — კოტე მღებრიშვილის შემსრულებელი ბიჭუნა».

ეთერის სიხარული ჩაუდგა თვლებში. გოგონას გამარჯვება ბიჭის როლში ვერაფერს წარმოედგინა. თვითონაც ცდილობდა დამეტკიცებინა დამდგმელი რეჟისორისათვის — ბიჭს ვერ ვითამაშებ, არაფერი გამომივაო, მაგრამ კოტე სურმავეს გადაარწმუნება არც ისე იოლი აღმოჩნდა, მან თავისი გაიტანა და აქი გაიმარჯვა კიდევ!

მოხარდ მყურებელთა ქართული თეატრის სცენაზე გოგუცა კუბრაშვილისა და თამარ თვალაშვილის შემდეგ ასე დამაჯერებლად არავის შეუქმნია პატარა ბიჭის სახე.

ეთერ სიხარულიძის უშუალოდა და ჰაეროვნება ყოველთვის იპყრობდა რეჟისორთა და მყურებელთა ყურადღებას.

მის მიერ შესრულებული ციცია (ა. ყაზბეგის «ციცია») კონკია, (ქ. ქუჩუკაშვილის «კონკია»), მაშენკა (ა. აფინოგენოვის «მაშენკა»), თამრო (ი. ჭავჭავაძის «გლახის ნაამბობი») დიდხანს ემახსოვრებათ მყურებულებს.

მუდამ თვალწინ გიდგათ ეთერი — კოტე მღებრიშვილი. — 9 წლის ბიჭუნა, თეთრკვარდიელთა წინააღმდეგ მგზნებარე, შეუბოვარი მებრძოლი, ეთერი — ისიცო (ვ. გოგოლაშვილის «წეროები») — ფიფქივით ნაზი და დასადუბავად განწირული გოგონა. რა დიდი სხვაობაა ამ ორ სახეს შორის და გარდასახვის რა დიდ უნარს ამქედანებს მსახიობი, რომ ორივე შემთხვევაში იშვიათ უშუალობას და დამაჯერებლობას მიადწიოს.

გავიდა წლები. რუსთაველებს ახლა თავისი თეატრი აქვთ, საყვარელ მსახიობთა შორის ისინი თავიანთ სცენაზე ხვდებიან ეთერ სიხარულიძესაც, რომელიც კვლავინდებურად საინტერესო მხატვრულ სახეებს ქმნის. ამ თეატრში მან ჩინებულად შესარულა ირინა (ვ. კოროსტილოვის «მე მჯერა შენი»), ანა (მ. გორკის «ფსკერზე»), გულქანა (ვაჟას «მოკვეთილი»).

ქართულ თეატრის დიდო ტრფიალო, მოჭირნახულევე და ამაგდარო, უსპეტაკესო ადამიანო, გულით მართალო და უანგარო.

დარბაისელო, დინჯო კახელო, კეთილი სულის იყავ მფლობელი, საქმე უკვდავი და სასახელო გიყვარდა ვით მზე ჩაუქრობელი.

ბუნებით ქველი, წრფელი და მშვიდი, შეტრფოდი წინსვლას მშობელი ერის, თეატრს სიცოცხლის სიმბოლოდ თვლიდი და მას შესწირე შენ ყველაფერი.

ახალ თეატრის აღორძინების შენცა ხარ ერთი ბჭე-ბალავარი, ეს იყო შენი ფიქრის ჯვარი, შთაგონების მზის შუქი მთავარი.

ყოველ წუთს მისთვის გითრთოდა გული, გული მგზნებარე კეთილ ფიქრებით, რა სასოებით და სიყვარულით არის აღსავსე შენი წიგნები!

მაგრამ დაეცი... დამემ თვლებში უცებ ჩაგიქრო შუქი ნათელი, და ჩაიყოლე ცივ სამარეში სიტყვა გულისა წიგნით სათქმელი.

ქართულ თეატრის ტრფობით დამწვარო,

მემატიანევე მისი ცხოვრების, მოჭირნახულევე და ამაგდარო, მშობელ ერს მარად ემახსოვრები!



## აღმოსავლური სემბათაშვილი

### აივანე ლევაშვილი

გადასწავლილი თეოდორიშვილის ივანე სემბათაშვილის ოჯახს 1857 წელს ეყოლა ვაჟიშვილი ალექსანდრე. განათლებული დედის წყალობით იგი ბავშვობიდანვე დაეუფლა ცოდნას, შესწავლა კლასიკური მწერლობა და ადრე გამოამჟღავნა საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ინტერესი. თეატრალური ხელოვნებით სემბათაშვილი ბავშვობიდანვე იმდენად იყო გატაცებული, რომ გიმნაზიაში სწავლისას გულმოდგინედ მონაწილეობდა სკოლაში გამართულ წარმოდგენებში თავის თანაკლასელ ვასო აბაშიძესთან, ელდამერ ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან და სხვებთან ერთად. თანდათან სემბათაშვილი იმდენად გაიწვია, რომ მონაწილეობას იღებდა რუსული დასის წარმოდგენებში.

1877 წელს სემბათაშვილმა წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია და გაემართა პეტერბურგში, სადაც ჩაირიცხა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მაგრამ თეატრალური ხელოვნებით გატაცებულმა კურსი არ დაამთავრა („ვიწმე და ვინ ადვოკატობა!“) და სცენის მოყვარულთა წარმოდგენებში მონაწილეობით მთელი ძალღონით შეუდგა თეატრალური საიდუმლოების დაუფლებას. არავითარი თეატრალური სკოლა იმ დროს არ არსებობდა და, ერთი მემბათაშვილის თქმით, იუენინი წააგავდა ადამიანს, რომელიც ხლიდან წყალში გადააგდეს და დაუყვირეს:

— ივართხალე! ცურაობა ისწავლე, თორემ დაიხრბობი!

მართლაც, თეატრის მოყვარულმა იმდენი ივართხალა, იმდენი ეცადა, რომ „ისწავლა ცურაობა“. მაგრამ ეს არცთუ იოლად და სწრაფად მოხდა.

1882 წელს 25 წლის სემბათაშვილი მოსკოვის „საიმპერატორო“ მცირე თეატრში მიიწვიეს. მაგრამ ათი წლის მუშაობის შემდეგაც კი, უკვე ცნობილი არტისტი, ემდურის თავის თავს, რომ ჭერ კიდევ ჭეროვნად ვერ დაეუფლევ თეატრალურ ხელოვნებას.

ასე მკაცრად უდგებოდა თავის თავს ეს „თეიტანსწავლე“ მსახიობი. დაუღალავად განაგრძობდა მუშაობას თავის თავზე და მაღალი თეატრალური კულტურით აღჭურვილი ერთ-ერთი გამოჩენილი არტისტი გახდა მთელს რუსეთში.

სემბათაშვილი არ ჭერდებოდა აქტივორულ მოღვაწეობას. იგი მხურვალე მონაწილეობას

იღებდა თეატრალური ორგანიზაციების მუშაობაში, კითხულობდა საჯარო ლექციებს თეატრალურ ხელოვნებაზე, გამოდიოდა თეატრალურ დისპუტებზე, ეხმარებოდა ნიკიერ ახალგაზრდობას თეატრალური ხელოვნების დაუფლებაში, თანამშრომლობდა თეატრალურ ქურნალებში, ათავსებდა წერილებს გაზეთებში.

სემბათაშვილი ცნობილია აგრეთვე, როგორც დრამატურგი. მის კალამს ეკუთვნის თორმეტი პიესა, მათ შორის ლეგენდა — დრამა საქართველოს წარსულიდან „დალატი“, რომელიც მან დაამთავრა 1903 წელს. ეს პიესა იმავე წელს ითარგმნა ქართულ ენაზე ჭერ კოტე მესხის, შემდეგ, უფრო უკეთესად, გრ. ყიფიანის მიერ. თბილისში „დალატი“ დაიდგა 1904 წელს, ქუთაისში კი — 1903 წელს.

1923 წელს კოტე მარჯანიშვილის მიზატიეობით სემბათაშვილმა მონაწილეობა მიიღო ანტონოვის პიესაში „მზის დაბნელება საქართველოში“, სადაც ასრულებდა რუსი მოხელის როლს.

ამ პიესაში მონაწილე რუსთაველის თეატრის არტისტები, — იგონებს აკაკი ვასაძე, — გამოეცხადდით თეატრში როგორც წესია, საღამოს 7 საათზე და ჩვენი განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა გავიგეთ, რომ სემბათაშვილი 6 საათზე მოსულა და უკვე გამზადებულა როლი-სათვის.

იგივე ვასაძის გადმოცემით სემბათაშვილი მაინც არ ისვენებდა. ტრიალებდა სარკის წინ, ისწორებდა ყელსახვევს და საათის ძველებერ ჭეჭეც. სამყურ წვაიწვა გაჰვარტლული შუშა, რომლითაც უნდა შეეხედა მზის დაბნელებისათვის. ასე გულდასმით ემზადებოდა დიდი არტისტი ასეთ მცირე როლზეც კი.

სემბათაშვილი მოსკოვში დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა. ამ თავის გავლენას იგი იყენებდა იქ ჩასული ქართველების დასახმარებლად. არც ერთი ღონისძიება, რომელიც კი საქართველოსა და ქართულ კულტურასთან იყო დაკავშირებული, მოსკოვში სემბათაშვილის მონაწილეობის გარეშე არ ჩატარდებოდა.

1908 წელს მოსკოვში ეწყობდით აკაკი წერეთლის ორმოცდაათი წლის საიმპერატორო მოღვაწეობის საიუბილეო საღამოს. მომწყობი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული იყო ალექსანდ-

რე სუმბათაშვილი, იმ დროს მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობი და დირექტორი.

მოსკოვის საინჟინრო ინსტიტუტის ქართველი სტუდენტების დავალებით თეატრში სუმბათაშვილთან მივედი საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად. მისი კაბინეტის წინა ოთახში ოსტუმრებამდე არტიკლი და სხვა პირი ელოდებოდა სუმბათაშვილთან შესვლის რიგს. მათ შორის შევინახე მცირე თეატრის არტიკლები ერმოლოვა, სადოევსკი, პრავდინი და სხვები, რომლებიც სცენაზე უკვე ნანახი მყავდა. აქ დიდხანს მომიხდებოდა მოცდა, — ვაიფიქრე და სუმბათაშვილს ჩემი სადარბაზო ბარათი შევუვზავნე, მივაწერე ორიოდე სიტყვა, რა მიზნით მიწოდდა მისი ნახვა.

მაშინვე მიმიღო და გულდასმით მომიხსინა. შევთანხმდით, რომ ჩვენი ინსტიტუტიდან აკაკისადმი მისასალმებელ სიტყვას წავიკითხავდი უნივერსიტეტის დელეგაციის შემდეგ. ასეც მოხდა.

მეორედ სუმბათაშვილს ოლდა გრუზინსკის ოჯახში შევხვდი. ოლდა იყო საქართველოს უკანასკნელი მეფის შვილისშვილი. ორი წლის განმავლობაში ყოველ კვირა დღეს ვწერდი მისი კარნახით და ჩემი რედაქციით მის საყურადღებო მოგონებებს საქართველოს წარსულ ამბებზე, რაც მას მამისგან ჰქონდა გავიწილი (ეს მოგონებანი დაცულია საქართველოს ცენტრალურ არქივში). ერთხელ, აღდგომის კვირას, როცა ჩვეულებრივ ვწერდით მოგონებებს, მოახლოვდა შემოვინა და ოლდას მოასხენა, თავადი ალ. სუმბათაშვილი გეწვიათ სადარბაზოად.

ალ. სუმბათაშვილი საზეიმოდ იყო გამოწყობილი. ხელზე ეამბორა მოხუც ქალს, რომელმაც მას შუბლზე აკოცა და გაიმართა ჩვეულებრივი სადარბაზო ათწუთიანი ბაასი. გამომშვიდობებისას ოლდამ სუმბათაშვილს ხის წითელი კვერცხი მისცა. — ეს კვერცხი, თავადო, სახლში გახსენი და, რაც შიგ ნახო, ჩემ სასოვრად გქონდეს, — უთხრა ღიმილით დიასახლისმა.

— მანამდე გული როგორ გამიძლებს! — გაიცინა სუმბათაშვილმა და იქვე გახსნა საჩუქარი, სადაც ოლდას წინასწარ ჩაედო ვერცხლის მანეთიანი.

— ჩემი უღრმესი მადლობა, — გავხუმრა სუმბათაშვილი, — გუშინწინ ათასი მანეთი წავაგე ერთ საღამოს და ახლა ეს მანეთიანი სწორედ მისწრებაა ჩემთვის.

1922 წელს სუმბათაშვილი ჩამოვიდა თბილისში, მას ზემოთ შეხვდა ქართველი საზოგადოება.

საღამოთი, წარმოდგენის შემდეგ ვაეუმარ-

თეთ ნაღმი. თამადად ავირჩიეთ პაოლო იაშვილი, რომელიც სადღეგრძელოებს წარმოსთქვამდა, მოსწრებული შაირებით და ლექსებით. სუმბათაშვილი და ვასო აბაშიძე, როგორც სკოლის ამხანაგები, ერთად ისხდნენ სუფრაზე.

როცა შევესეთ საპატიო სტუმრის სადღეგრძელო, ვასომ მაგრად აკოცა სუმბათაშვილს ტუჩებში.

— შენ, ძმობილო, — გავხუმრა სუმბათაშვილი, — სანამ ვისმეს აკოცებდე, კბილები უნდა ჩაისხაო.

ნადიმს ესწრებოდა პაოლო იაშვილის მამა, სახელად ჯბო. თამადამ მას შაირით მიმართა:

ახლა მინდა ვადღეგრძელო

მამა ჩემი — ჩემი ჯბო,

ნეტავ იმისი ქონება

ჩემს ჯიბეში ჩაევიჭობო.

ატყდა ერთი სიცილი და ყოცინა. ყველაზე მეტად იციწოდა თითონ სუმბათაშვილი. იმ წუთებში ჩვენს შორის იყო არა განთქმული არტიკლი, არამედ სიცოცხლით სავსე ქართული კაცი, რომელიც გულიანად ერთობოდა თანამემამულეთა შორის.

სუმბათაშვილი-იუვენია განასახიერა მრავალი როლი. აღწინავე მხოლოდ მის გამოსვლას მოხუცი ბიშნის როლში (პლუშკინის „ბორის გოდუნოვი“. მისი ცნობილი მონოლოგი მსახიობმა წაიკითხა ისეთი ღრმა გრძობით და ისე მკაფიოდ რომ მთელმა დარბაზმა სული განაბა.

სურათის დასასრულს გამოვიწვიეთ მსახიობი. მისი გამოსვლა და თავის დაკრება ღირსშესანიშნავი იყო. მსახიობს სახეზე აღბეჭდილი ჰქონდა იგივე განწყობილება, რაც მონოლოგის კითხვისას. მადლობის ნიშნად თავს ზოგიერთიხანა აქეთ-იქით არ არხევდა. იდგა გარინდული, ოღონდ თავდახრილი და ამით გამოხატავდა სრულ პატივისცემას მაყურებლისადმი, რომელიც ასეთი მჭუხარე ტაშით ეგებებოდა თავის საყვარელ მსახიობს.

თბილისის თეატრის ზოგიერთი მსახიობი, მიკრადრე ოპერისა, ხშირად სიკვდილის სცენის შემდეგ (ოპერა ხომ უსათუოდ სიკვდილით მთავრდება!) გამოდის ფარდის წინ გაბრწყინებული სახით და მაყურებელთა ტაშის ცემაზე ღიმილით თავს აქეთ-იქით აკანტურებს, გაიხედავს ლოყებისაკენ და იქ ვიღაცას თავს განსაკუთრებით დაუკრავს, რითაც აშკარად არღვევს განსახიერებულ სურათის ილუზიას.

იქნება ზოგიერთმა მსახიობმა საყურადღებოდ მიიჩინოს ეს გულმართალი სტრიქონები და თავისთვის სათანადო დასკვნა გამოიტანოს.

## გრიგოლ სულიაშვილი ჰმთავან სუციფილი

მიმდინარე წლის 9 დეკემბერს დაბადებიდან 75 წელი უსრულდება თვალსაჩინო ქართველ რეჟისორს, თეატრალური ხელოვნების უანგარო მსახურს გრიგოლ სულიაშვილს.

გრიგოლ სულიაშვილი ბავშვობიდანვე ეზიარა თეატრალურ ხელოვნებას. მისი და-ძმა ელენე და დავითი სურამის სცენისმოყვარეთა მიერ გამართული სპექტაკლების აქტიური მონაწილენი იყვნენ. ამან პატარა გრიგოლი თავიდანვე დაახლოვა სცენას, ხოლო 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში ელენესა და დავითის მონაწილეობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გრ. სულიაშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

ჯერ კიდევ მშობლიურ სურამში არდადეგებზე ჩასული თბილისის რეალური სასწავლებლის მოსწავლე მონაწილეობს სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში. მისი პირველი სცენური ნათლობა მოხდა გიგაურის პიესაში „შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა“, რომელშიაც გიმნაზიელს თამაშობდა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ სურამში საგასტროლოდ ჩამოსული ქართული თეატრის გამოჩენილი მსახიობები — ნ. გაბუნია, შ. დადიანი, ვ. შალიკაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

გრიგოლ სულიაშვილი დიდი გატაცებით მონაწილეობს სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში, მაგრამ ნიჭიერ ახალგაზრდას ეს არ აკმაყოფილებს და პარალელურად მოსწავლეთა წრეს აყალიბებს და საშინაო წარმოდგენებს მართავს. მისი წრის წევრები იყვნენ: გრ. ბუხნიკაშვილი, აკ. ხორავა, რომელიც სურამში ზიძასთან სტუმრად ჩამოდიოდა ხოლმე, მ. ლომიძე და სხვანი. 1912 წ. თბილისის რეალური სასწავლებლის და-

მთავრების შემდეგ, სურამის ბიბლიოთეკის გამგედ იწყებს მუშაობას და მთელი მონდომებით ებმება სურამ-ხაშურის თეატრალურ საქმიანობაში. სულიაშვილმა პირველი გამოსვლებითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და მალე მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა. პ. ირეთელის დრამაში „დამარცხებულნი“ დიდი წარმატებით უთამაშნია ვანო ბერდიაშვილის როლი და საზოგადოების დიდი მოწონებაც დაუმსახურებია.

„მას დიდი ხანია დამსახურებული აქვს სურამ-ხაშურის საზოგადოების სიმპათია. ის შეუდარებელი იყო ამ ძნელ როლში. მისი მოხდენილი თამაშით ბევრი ატირდა“. — წერდა ვაზ. „მეცხალი“ (№52, 1913 წ.).

გრ. სულიაშვილს ბავშვობიდანვე იტაცებდა რეჟისორის ხელოვნება. პირველად მოსწავლეთა დრამატულ წრეში დგამდა სპექტაკლებს, ხოლო შემდეგ სცენისმოყვარეთა წრეში ერთსა და იმავე დროს მსახიობობდა და რეჟისორობდა. 1914 წელს მისი მონაწილეობით დაიდგა ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“, რომელშიც ნეზნამოვს თამაშობდა.

როგორც პრესაში შემონახული მასალებიდან ირკვევა, გრ. სულიაშვილის მოწოდება დრამატული როლები ყოფილა და ამ სახის როლებს განსაკუთრებული წარმატებით თამაშობდა. „ამ სცენისმოყვარეს (გ. სულიაშვილს. ქ. ს) თავისი ნიჭიერი და დაფიქრებული თამაშით არაერთხელ დაუტკბია სურამ-ხაშურის საზოგადოება. მასში უტყუარი ნიჭი ღვივის. მისი ამბლუაა დრამატული როლები .ამ საღამოსაც ბევრ გულჩვილ მაყურებელს მოჰგვარა თვალზე

ნაკრძნობის ცრემლი". („თეატრი და ცხოვრება“, № 30, 1916 წ.)

1921 წელს გრ. სულიაშვილი თბილისში ვადმოიდის საცხოვრებლად და რკინიგზის სამმართველოში მოანგარიშედ იწყებს მუშაობას, მაგრამ თეატრალური ხელოვნებით გატაცებული ცდილობს სპეციალური თეატრალური განათლება მიიღოს. სწავლას იწყებს აკ. ფაღავეას დრამატულ სტუდიაში. მიუხედავად სამსახიობო წარმატებებისა, რასაც იგი სურამ-ხაშურის დასში აღწევდა, მაინც რეჟისორობა იზიდავდა. სწორედ ამიტომ სპეციალური განათლების მისაღებად 1923 წელს მოსკოვს გაემგზავრა და ვახტანგ მჭედლიშვილის სტუდიაში მოიწყო. აქ გაეცნო იგი პირველად სტანისლავსკის სისტემას.

გრ. სულიაშვილმა 1926 წელს დაამთავრა სტუდია და სამშობლოში დაბრუნდა. 1927 წელს რეჟისორად მიიწვიეს თბილისის მუშათა თეატრში, რომელსაც მიხეილ ჭიაურელი ხელმძღვანელობდა. აქ მან დადგა ბანიოლის და ნიუვას პიესა „დიდების გამყიდველი“.

გრ. სულიაშვილის სპექტაკლი სამხატვრო თეატრში ათვისებული პრინციპებით დაუდგამს, დიდი ყურადღება მიუქცევია ქართული ენის სიწმინდისათვის და როლების ფსიქოლოგიური დამუშავებისათვის. საზოგადოება დიდად მოხიბლულა აქტიორთა უშუალო და გულწრფელი თამაშით. აქ უკვე გარკვევით იჩინა თავი სულიაშვილის სასცენო პედაგოგიურმა უნარმაც. მას შესანიშნავად ჰქონდა შთოვისებული სტანისლავსკის აქტიორთან მუშაობის მეთოდი. ამასთანავე, პირველსავე დადგმაში გამოავლინა საკუთარი რეჟისორული ხელწერა, რის შესახებაც პრესაშიც აღუნიშნავთ. რეცენზენტი წერდა, რომ რეჟისორმა მთელი ყურადღება მსახიობთან მუშაობაზე გადაიტანა და დიდ გამარჯვებას მიაღწია, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა და მსახიობების ანდრო მურუსიძის (ქალაქის თავი) და ი. რომანიშვილის (ბაშელე) მშვენიერმა თამაშმა საზოგადოება მოხიბლაო (გაზ. „მუშა“, 1927 წ. 9 დეკემბერი).

სულიაშვილის ნიჭმა პირველი დადგმიდანვე მიიპყრო მარჯანიშვილის ყურადღება. დიდმა რეჟისორმა 1928 წელს იგი ქუთაისში მიიწვია მის მიერ შექმნილ მეორე ქართულ დრამატულ თეატრში. აქ სულიაშვილმა მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით 1931 წლამდე იმუშავა, მონაწილეობდა ბ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის“, კ. გუცოვის „ურიელ აკოსტაში“, დ. შენგელაიას „თეთრების“ და გ. ბუნჩიკაშვილის „კი მაგრაამის“, „არსენას ლექსისა“ და პოგოდინის „ფოლადის პოემის“ დადგმებში. როგორც ცნობილია, ეს სპექტაკლები წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე, ზოგიერთმა დიდი აღიარება პპოვა რესპუბლიკის — გარეთაც, მოსკოვსა და ხარკოვში 1930 წელს ქუთაისის თეატრის გასტროლების დროს. ამ წარმატებაში სულიაშვილსაც მიუძღვის წვლილი.

როგორც ცნობილია, 1934 წელს ქუთაისის თეატრის კარი დიდი ხნით გამოიკეტა. 1938 წელს კი საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით ქუთაისში ორგანიზებული იქნა ქართული სახელმწიფო თეატრი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ამ საქმის კარგი მცოდნე და გამოცდილი ორგანიზატორი, ნიჭიერი რეჟისორი დოდო ანთაძე. ამ თეატრში რეჟისორად მოიწვიეს გრ. სულიაშვილიც. მას თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის თეატრის შემოქმედებითს გამარჯვებაში, აქ სულიაშვილმა 1944 წლამდე იმუშავა და ქუთაისის დიდად მომთხოვნ მაცურებელს ბევრი სინარული მოუტანა თავისი დადგმებით. მისი რეპერტუარი მრავალრიცხოვანი და საინტერესო იყო.

ამ თეატრში რეჟისორმა განახორციე-

ლა: ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, მ. გორკის „მტრები“, რომელიც მაშინ პირველად დაიდგა ქართულ თეატრში, ძმები ტურის და შეინინის „გენერალი კონსული“, „მშობლიური მიწა“ და „განსაკუთრებული კანონი“, ვოიტეხოვისა და ლენჩის „პაველ გრეკოვი“, აკ. წერეთლის „პატარა კახი“, აფინაგენოვის „მამუნა“, ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“, ვოლფის „პროფესორი მამლოკი“, კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“, გ. მდიენის „პარტიზანები“, კ. სიმონოვის „რუსი ხალხი“ და „მელოდე, დაგბრუნდები“ და სხვ.

სულიაშვილის ეს დადგმები გამოირჩეოდნენ დიდი პატრიოტული პათოსით, მაღალი მხატვრულობითა და ფსიქოლოგიური სიღრმითა და დამაჯერებლობით, აქტიორთა საშემსრულებლო ოსტატობით, რაც მის სასცენო პედაგოგიურ უნარზე მეტყველებს. სულიაშვილის ყველა სპექტაკლში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ახალგაზრდობას. ამიტომ მისი სპექტაკლები თავისი პათოსით ახალგაზრდულა იყო.

სამამულო ომის პერიოდში ქუთაისის თეატრის რეპერტუარი შედგებოდა პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული პიესებისაგან. თეატრი მიზნად ისახავდა მაყურებლის გმირული სულით აღზრდას. აქეთ იყო მიმართული სულიაშვილის დადგმების მიზანსწრაფვაც. იგი ქმნიდა პეროიკულ პატრიოტულ სპექტაკლებს, რომელშიც მაყურებელს გამარჯვებების რწმენას უღვივებდა და განუმტკიცებდა.

1944 წლიდან სულიაშვილი, ავადმყოფობის გამო, თბილისში გადმოდის საცხოვრებლად და მუშაობას იწყებს პლენანოვის სახელობის კლუბში დრამატული წრის ხელმძღვანელად. ამავე დროს იგი მიწვევით მუშაობს მარჯანიშვილის, სანკულტურისა და ხაშურის თეატრებში ცალკეულ დადგმებზე.

1949 წელს სულიაშვილმა მარჯანი-

შვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში დადგა ა. სოფრონოვის „მოსკოვური ხასიათი“. ამ პიესიდან მან შექმნა მაღალი დეური და მხატვრულად სრულყოფილი პატრიოტული სპექტაკლი, რომელშიც დიდი დამაჯერებლობით იყო წარმოდგენილი ჩვენი დროის მოწინავე ადამიანები და მათი გმირული საქმეები.

გრ. სულიაშვილი რეჟისორულ მუშაობასთან ერთად პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. სხვადასხვა დროს რუსთაველის სახ. თეატრალურ ინსტიტუტში (1944—45 წლები), კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში და ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში მსახიობის ოსტატობას ასწავლიდა. სამამულო ომის წლებში მისი ხელმძღვანელობით არსებული მსახიობთა ბრიგადა მხატვრულ მომსახურეობას უწევდა სამხედრო ჰოსპიტლებსა და წითელი არმიის ნაწილებს, რისთვისაც დაჯილდოებული იყო სხვადასხვა სახის მედლებით.

გრ. სულიაშვილი თეატრზე თავგამოდებული შეყვარებული და ჩვენი ეროვნული თეატრალური კულტურის განუზრელი აღმავლობისათვის მებრძოლი ფანტიკოსი იყო, დიდ ყურადღებას აქცევდა თანამედროვე ორიგინალურ დრამატურგიას. ჭეშმარიტი ხელოვანის მოვალეობაა, ამზობდა ხოლმე იგი, უანგაროდ ემსახუროს თავის ხალხს, ეროვნული სოციალისტური თეატრის დიად საქმეს, მთელი ცოდნა და გამოცდილება დაუზოგავად მისცეს საშვილიშვილო საქმეს — თეატრის ხელოვნებას. რეალისტური თეატრალური ხელოვნების ინტერესებისათვის ბრძოლაში ხელავედა იგი თავისი სიცოცხლის აზრს.

1963 წლის 4 თებერვალს იგი წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა საინტერესო მემკვიდრეობა, რომლის შესწავლა და განზოგადოება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი თეატრის მოღვაწეთა მომავალი თაობების აღზრდაში.

## თეოფილე ხუსკივაძე

### პავლე ხალაძე

თეოფილე ხუსკივაძე (1860—1924) რამდენიმე წლის განმავლობაში პრაქტიკულად იყო ჩაბმული ქუთაისის სათეატრო ცხოვრებაში. იგი იყო სათეატრო გამგეობის მუდმივი მდივანი და სხვადასხვა ერთდროული კომისიების წევრი. მას, ალ. გარსევანისებთან ერთად, ევალებოდა ფოთში და ბათუმში თეატრის ერთხელ სახალხო წარმოდგენების გამართვა და სხვ. ამის გარდა, მან დაწერა ისტორიული დრამა „მეფის მოლაპატე“, რომელიც დაიდგა ქუთაისის თეატრში 1905 წელს.

თეოფილე ხუსკივაძე ლადო მესხიშვილმა სხვა ქართველ ცხოვლ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად მიიწვია და მონაწილეობდა კომისიაში, რომელსაც უნდა გამოეცხვია, თუ ვინ იყო ის პიროვნება, რომელმაც მეფის ხელისუფლებასთან დააბეზლა იგი ალ. ყაზბეგის ისტორიული დრამის ჩქეთევენ წამებულის“ დადგმის გამო\*.

თ. ხუსკივაძე წერდა აგრეთვე მშვენიერ სათეატრო რეცენზიებსაც.

ქუთაისის თეატრის 1904—1905 წლების სეზონის დასასრულს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა მისი ვრცელი წერილი ლადო მესხიშვილის მოღვაწეობის შესახებ. ამ წერილში აღნიშნულია: „ისეთი პიესები, როგორც არის „კაი გრაჟი“, „კაცობრიობის კეთილისყოფელი“, „ახალი მოძღვრება“, „ეგვიპტეში“ და მათი მსგავსი, თავისი შინაარსით მოწონს ხალხს, რადგან აქ გამოთქმული აზრები ხალხის უმეტესი ნაწილის გულის ვარაშ და მისწრაფებას გამოთქვამს. ბატონმა მესხიშვილმა ამგვარი პიესების დადგმით ეს მისწრაფებანი, ხალხის გულისთქმანი თავისი დასის ხელოვნური თამაშით განახორციელა და ისე ღრმად ჩაბეჭდა მათ გონებაში, როგორც თვალსაჩინო სწავლის დროს ბავშვის ნორჩ გონებაში სამუდამოდ აღმოუფხვრელი რჩება მასწავლებლის გონიერულად ახსნილი რაიმე ახალი მცნება. მგვარად, წლებიანდელმა დრამატულმა დასმა ერთ-

თი მხრივ სიყვარული და მადლობა დაიმსახურა საზოგადოებისა და, მეორე მხრივ, კიდევ უფრო გააღვივა ხალხის გულში ახალი ცხოვრებისადმი აღზნებული მისწრაფებანი, აღძრა კეთილშობილური გრძობანი ბოროტების დასაგმობად და ახალი ცხოვრებისათვის გზის გასაყვავად“.

თ. ხუსკივაძემ ქუთაისის გაზეთ „იმერეთში“ (№ 239) გამოაქვეყნა 1905—1906 წლის სეზონში ქართული დასის მუშაობის ვრცელი მიმოხილვა. ამ წერილიდან ჩანს, რომ თ. ხუსკივაძე კარგად ფლობდა თეატრალური ხელოვნების სპეციფიკას და გარკვეული იყო მსახიობის შემოქმედების საკითხებში.

თ. ხუსკივაძემ 1914 წელს გაზეთ „იმერეთის“ 27, 28, 29 აგვისტოსა და 2 სექტემბრის ნომრებში ოთხ ფელეტონად გამოაქვეყნა მოგონებანი: „ქუთაისის ქართული თეატრის წარსულიდან“.

ამ ფელეტონებში ავტორი აქვეყნებს ისეთ მასალებს, რასაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა და ღირებულება აქვს არა მარტო ქუთაისის, არამედ საერთოდ ქართული თეატრის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის. მოგონებათა ავტორი ვრცლად ახსიათებს იმ სიმწელებებს, რაც წინ ეღობებოდა ქუთაისის დრამატულ დასს 90-იან წლებში, და შემდეგ მიმოიხილავს ქუთაისის თეატრის მდგომარეობას 1903—1906 წლებში. თ. ხუსკივაძის ამ მოგონებათა პირველ ფელეტონს გაკეთებული აქვს რედაქციის ასეთი შენიშვნა:

„რაკი მომავალ ენკენისთვის და ქუთაისის დრამატული საზოგადოების დასი კვლავ შეუდგა მუდმივ წარმოდგენების გამართვას, ზედმეტად არ მიგვაჩნია მოგავონოთ ქუთაისის დრამატულ საზოგადოების პატივცემულ წევრებსა და ჩვენ საყვარელ მსახიობებს ცოტა რამ მაიო წარსულიდან, რისთვისაც სიამოვნებით ვებეჭდეთ ამ წერილს“.

ამ მოგონებაში ზუსტი ობიექტურობითაა გადმოცემული ქუთაისის ქართული დრამატული დასის ჩამოყალიბებისა და მისი მუშაობის მნიშვნელოვანი მოვლენები.

თავისი მოგონების პირველი თავის დასაწყისში თ. ხუსკივაძე მოკლედ გადმოგვცემს, თუ

\* პროფ. აკაკი ფაღვა, „ლადო მესხიშვილი“, მონოგრაფია, 1938 წ. თბილისი, გვ. 175. უფრო დაწვრილებით ამ გასამართლების შესახებ იხ. გაზ. „ივერია“, 1906 წ. № 147.

1903 წლის ნოემბერში როგორ ჩამოყალიბდა თბილისის დრამატული საზოგადოების ქუთაისის ფილიალი. იმ ხანად ძალზე უმწეო პირობებში უხდებოდა ქართულ დასწრადგენების გამართვა. დასი სამ ქალაქს (ქუთაისს, ბათუმს, ფოთს) ემსახურებოდა. ამასთან ერთად, ქუთაისელი მსახიობები თბილისშიც მონაწილეობდნენ რიგ სპექტაკლებში. რომ არაფერი ვთქვათ მსახიობების ფიზიკურ გადატვირთვაზე, ხშირად ხდებოდა, რომ თბილისში წასული მსახიობი მატარებლის დაგვიანების გამო სპექტაკლს აცდენდა და იგი რომელიმე სხვა მსახიობს სახელდახელოდ უნდა შეეცვალა. ეს კი უარყოფითად მოეფედებდა სპექტაკლის ხარისხზე და მაყურებლის საიარტილო უწყაოფილებას იწვევდა. მთელი 1903—1904 წლის სეზონი ასე ჩატარდა.

ლადო მესხიშვილმა გადაწყვიტა ქუთაისიდან წასულიყო, მაგრამ საზოგადოების დაქონებით თხოვნით იგი დარჩა ქუთაისში, ხოლო ანტრეპრინაზე ხელი აიღო. დაარსა ამხანაგობა, რომელმაც დასწრე მოიწვია ცნობილი მსახიობები ნინო დავითაშვილი, ნატალია ჯავახიშვილი, ლადო მესხიშვილი, ვიქტორ გამყრელიძე, ნიკო გვარამია, იუზა ზარდალიშვილი, დავით მესხი, ახდრო მურუსიძე, ვალერიან შალივაშვილი და სხვები.

სათეატრო სეზონი გაიხსნა 1904 წლის 1 ოქტომბერს და დაიხურა 1906 წლის 12 თებერვალს. თეატრს საინაბტერო ხელმძღვანელობას უწევდა ლადო მესხიშვილი, მან, როგორც თ. ხუსკივაძე წერს, ალღო აუღო დროის მოთხოვნილებას და ამის შესაფერი რეპერტუარი შეადგინა. ლ. მესხიშვილმა რეპერტუარში შეიტანა შემდეგი პიესები: „მეფის მოლაღატე“, ისტორიული დრამა თ. ხუსკივაძისა, „ღალატე“, ისტორიული ლეგენდა ა. სუმბათაშვილისა, „ექიმი შტოკმანი“, იბსენისა, „ყაჩაღები“ და „ორბელიანის ქალწული“ შილერისა და სხვა. სეზონი გაიხსნა დრამით „ცხოვრების გარეშე“. ხუსკივაძე გადმოგვცემს, რომ ეს დრამა აქტუალურად ემხატურებოდა თანამედროვე მოთხოვნილებებს, უპასუხებდა დღევანდელი ცხოვრებით დაჯანბნულ, დამონავებულ საბრძოლო მოსამსახურეთა მდგომარეობით წამოჭრილ კითხვებს, შთაბეჭდავი სცენებით იყო სავსე და საზოგადოებას დიდად მოეწონაო.

მოგონებთა ავტორი იშვიათი სისწორით იძლევა მაშინდელი ქუთაისის თეატრის რეპერტუარის ანალიზს, მეორე პრემიერად წარმოდგენილი იყო მისი პიესა „მეფის მოლაღატე“. ხოლო შემდეგ კი — ალ. სუმბათაშვილის „ღალატე“. თ. ხუსკივაძე აღნიშნავს: „ამ ისტორიული დრამების დადგამა ერთხელ კიდევ დაგვანახა ჩვენი წარსული ცხოვრების იარები, მახინჯი და დასაგმობი თვისებანი ჩვენი წინაპრებისა, ერთის მხრივ, და სასიქაღლო, ვეჟაკუარი სიმაღაცე მათი, მეორეს მხრივ“.

ორივე პიესას, ამბობს თ. ხუსკივაძე, დიდი წარმატება ხვდა, მაგრამ განსაკუთრებით დიდძალი საზოგადოება მიიზიდა „ღალატე“.

თ. ხუსკივაძეს დაწერილი აქვს არაერთი სათეატრო რეცენზია, სადაც დახასიათებულია ქუთაისის თეატრის მსახიობთა „ნიშანდობლივი თვისებანი, მათი ნიჭის ძალა და ღონე, სუსტი და ძლერი მხარეები, საქმის მუყაითობა და სიყვარული“. რგი მთელი სეზონების განმავლობაში ბეჭითად ადევნებდა თვალუტრს სპექტაკლებს, მსახიობების შრომა-მოღვაწეობას და მსახიობთა (ლ. მესხიშვილი, ვ. გამყრელიძე, ი. ზარდალიშვილი, ნ. დავითაშვილი, მ. მდივანი, დ. ივანიძე, ნ. გამყრელიძისა, ვ. რომელი და სხვ.) პოტეტების მიუღვამოლად და დამაჯერებლად ხატავდა.

თ. ხუსკივაძე ქართული კულტურის მრავალმხრივი მოღვაწე იყო. იმ ხანად ქუთაისში არ არსებობდა არც ერთი საზოგადოებრივი წამოწყება, რომელშიც მას აქტიური მონაწილეობა არ მიეღო. იგი უნარსა და შესაძლებლობას არ იშურებდა ხალხის ფართო მასების გათვითცნობიერებისათვის, ამ მასების კულტურული ღონის ამაღლებისა და პატრიოტული სულისკვეთების განმტკიცებისათვის. თ. ხუსკივაძეს ძალიან კარგად ესმოდა, რომ თეატრალურ ხელოვნებას ამ საქმეში განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა, რომ თეატრს მაყურებელზე იდეურ-ესთეტკური ზემოქმედების რედი ძალა გააჩნდა. ამიტომაც იგი დაუღალავად, მთელი გატაცებით და უანგაროდ ემსახურებოდა თეატრს, ხელს უწყობდა მის წინსვლასა და განვითარებას.

## ზეიმი უოთი

1969 წლის 12 სექტემბერი. მატარებელი, რომელშიც იუბილარი ვასო გოძიაშვილი იჯდა, ნელ-ნელა უახლოვდებოდა ხალხით სავსე რკინიგზის სადგურს. მასპინძელთაგან იუბილარს პირველნი წითელ ყელსახვევიანი პიონერები შეეგებნენ, ვაგონიდან სადგურამდე მრავალფეროვანი ყვავილები დაუფინეს და ზედ გაატარეს. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს გულთბილად შეეგებნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ი. გვეგნავა, ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნ. ლაკია, ქ. ფოთის წარმოება-დაწესებულების, ქარხნებისა და ფაბრიკების წარმომადგენლები.

სცენის ჯადოქარი სახე გაბრწყინებული მიესალმებოდა ყველას. ხალხი წრედ შემოეკრა სტუმარს და ღვინით სავსე ფიალა მიართვა. გოძიაშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადა დამხმედლთ და სავსე ფიალა ბოლომდე დასცალა. საპატიო სტუმარს თან ახლდნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი დ. ჯანელიძე, იუბილარის მეუღლე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ევგ. გოძიაშვილი და ამ სტრეიქონების ავტორი.

ხალხმა საპატიო სტუმრები სასტუმრომდე მიაცილა.

სალამო 7 საათია. ფოთის თეატრის დარბაზი ხალხით არის გაყვდილი.

სალამო გახსნა ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ი. გვეგნავამ. მან სთქვა: ძვირფასო ამხანაგებო, დღეს ჩვენს სასიქაღულო და საპატიო სტუმარი არის დიდი ხელოვანი, ყველასათვის საყვარელი ადამიანი, ქართული სცენის ჯადოქარი, კ. მარჯანიშვილის და ს. ახმეტელის ტრადიციების ერთგული გამტარებელი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვასო გოძიაშვილი. ჩვენ, განახლებული კოლხეთის ადამიანებმა შევიყვარეთ იგი თავისი უშრეტო ტა-

ლანტიასთვის. თავმჯდომარის სიტყვები მქუხარე ტაშმა დაფარა.

მოხსენება წაიკითხა პროფესორმა დ. ჯანელიძემ. მან დაწვრილებით დაახასიათა დიდი მსახიობის შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ილაპარაკა ვასო გოძიაშვილის ნიქის თავისებურებაზე.

ვასო გოძიაშვილს მიესალმნენ ფოთის ვ. გუნიას სახ. სახელმწიფო თეატრის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. კალანდარიშვილი, ქალაქის ახალგაზრდობის სახელით — თ. კახიანი, ქალაქის ინტელიგენციის სახელით — ვ. გოგიჩაიშვილი, ფოთის პორტის მუშა-მოსამსახურეთა სახელით ამხ. ბურჯუსია. მოსწავლეთა სახელით — ნ. ტურძელაძე, ქალაქის მუშათა სახელით — ჯარხანა „ელექტრო აპარატის“ მოწინავე მუშა ნ. კუბრაზე. ამ დროს პრეზიდენტს შემომგატნენ კ. მარჯანიშვილის თეატრის წარმომადგენლები ა. ქუთათელაძე, ლ. მირცხულავა, ი. ტრიპოლსკი. მსაყურებელმა გულთბილად მიიღო ისინი.

სიტყვა მისალმებისათვის თავმჯდომარემ მისცა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს დ. ანთაძეს. კ. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობების სახელით გამოვიდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ტრიპოლსკი.

ქალაქის საბჭოს აღმასკომის სახელით ილაპარაკა კულტურის განყოფილების გამგემ ნ. ფაცაციაშვილმა.

სიტყვა ეძლევა იუბილარს. იგი მადლობას უძღვნის დამსწრეთ გულთბილი შეხვედრისათვის.

იწყება კონცერტი. ვასო გოძიაშვილმა ბრყინვალედ შეასრულა თავისი პოპულარული პროგრამა — ი. გრიშაშვილის „ძველი თბილისი“.

სალამო დამთავრდა. დამსწრე საზოგადოებამ ძვირფასი სტუმარი ოვაციებით გაცელა.

**იოსებ გორდულაძე**  
მსახიობი

## შეიქმედებისათვის თანამშრომლობა

აღ. ჟურნალის სახელობის მხარაძის სახელმწიფო თეატრში ტრადიციად იქცა მოსკოვის წამყვანი თეატრებისა და მსახიობების შემოქმედებითი თანამშრომლობა. თუნდაც ის ფაქტი, რომ მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობმა, რსდსრ სახალხო არტისტმა ვიტალი დორონინ-

მა მხარაძის თეატრის სექტაკლებში მონაწილეობა მიიღო, თავისთავად დიდმნიშვნელოვანი ფაქტია. მხარაძის თეატრის ხშირი და საპატიო სტუმარია რსდსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რეჟისორი პ. პ. ვასილიევი. მისი უშუალო კონ-



სულტაციითა და დახმარებით აქ წარმატებით დაიდგა ლაერნიევის „რღვევა“. ახლახან პ. პ. ვასილიევი დაესწრო მხარაძის თეატრში ორ სპექტაკლს — ნ. გოგოლის „რევიზორს“ და კუხნეცოვისა და შტინის „ცოლიან საქმროს“. 6 ოქტომბერს კოლექტივის თხოვნით მან ნანახი სპექტაკლები გაარჩია. სპექტაკლები ძირითადად დადებითად შეაფასა და დაწვრილებით შეჩერდა ნაკლოვანებებზე. ამასთან ერთად ჩაგვა-

ტარა ლექცია თეატრალური ხელოვნების საინტერესო საკითხებზე და პასუხი გასცა მსახიობთა შეკითხვებს.

რევისორი პ. პ. ვასილიევი ჩვენი თეატრის დიდი მეგობარი და მოამბეა, ყოველგვარ დახმარებას უწყევს თეატრის კოლექტივის შემოქმედებითი ღონის ამალგებისა და მსახიობთა დაოსტატების საქმეში.

**რომან ლომინაძე**  
საქ. სსრ დამსახურებული არტისტი

## გულითაღი შეხვედრა

ბ. მარშის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარებულ საღამო-შეხვედრების კალენდარს ერთგვარად განსხვავებული ფორცელი შეემატა. „ერთგვარად განსხვავებული“, იმიტომ ვამბობთ, რომ თუ კი დღემდე ამ ნათელ, ჰერმანულ და რბილში მკითხველთა საზოგადოება მისთვის ჩვეული პატივით შეხვედრია არა ერთ პოეტსა და პროზაიკოსს, 24 ოქტომბერს ეს პატივი წილად ხვდა ბესარიონ ქლენტს, ცნობილ კრიტიკოსს, იმას ვისაც ჩვენი საზოგადოება აი უკვე ოთხი ათეული წელი უსმენს და კითხულობს.

სწორედ ამ მომენტის მინიშნებით დაიწყო გიორგი ციციშვილის მოსვენება, ფრიად საგულისხმოდ და საინტერესო ცნობების შემცველი იმ ოჯახურ-საზოგადოებრივ გარემოში, რომელშიც ყრმა ქუთაისელი გიმნაზიელი დიდი აჯაკის გარდაცვალების დღეებში კათედრაზე აიტაცა და ეროვნულ ტიპილის გამომატველი ლექსი ათქმევინა.

ბესარიონ ქლენტი ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიკრო ისტორია, — სთქვა მომხსენებელმა და ამ შეფასების უტყუარობას გაუსვეს ხახო კონსტანტინე გამსახურდიამ, გრივოდ აბაშიძემ, აჯაკი გაწერელამ.

თეატრის სფეროს ტოლფასოვანი ადგილი უჭირავს კრიტიკოსის შემოქმედებაში, — სთქვა დოდო ანთაქემ. — დიღია ბესარიონ ქლენტის დამსახურება, როგორც მარჯანიშვილის ერთგული თანამებრძოლისა, ქართული საბჭოთა თეატრის ზრდისა და განვითარების საქმეში.

მომხსენებელმა და ორატორებმა ბ. ქლენტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მრავალი საინტერესო ფაქტი გაიხსენეს.

საღამოს დასასრულს სიტყვით გამოვიდა ბ. ქლენტი.

— მე დღეს ველოდი უადრესად საქმიან შეხვედრას ჩვენს მკითხველებთან. ველოდი სამართლიან საყვედურს ჩვენი კრიტიკის მიმართ. ველოდი კრიტიკის კრიტიკას, რასაც ის საეგზეთი იმსახურებს და ჭერ კიდევ ვალშია ჩვენი საზოგადოებრიობის და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის წინაშე, მაგრამ შეხვედრამ ერთგვარად საზეიმოდ ხასიათი მიიღო. — სთქვა თავის სიტყვაში ბესარიონ ქლენტმა და საღამოს მონაწილეებს გულითაღი მადლობა გადაუხადა.

საჯარო ბიბლიოთეკის კოლექტივი მადლობის ღირსია ასეთი გულბობილი საღამოს მოწყობისათვის.

**მ. გივიშვილი**

## სოხუმის თეატრის მუშაობა

ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან გაიხსნა ახალი თეატრალური მუშაობა, რომელშიც წარმოდგენილია როგორც ძველ მსახიობთა პორტრეტები, ასევე ცალკეული დადგმების სცენები, დოკუმენტური მასალები.

მუშაობის ოთახებსა და თეატრის ფართო დარბაზებს ამშვენებს ფოტოსტენდები და მკვებები, მუშაობის სრულყოფისათვის დიდი შრომა გასწია რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ო. კანდელაკმა. იგი მრავალი წლის განმავლობაში სოხუმის თეატრის წამყვანი მსახიობი იყო და მყოფრებულთა დიდ სიყვარულს იმსახურებდა.

აფხაზეთში, და განსაკუთრებით სოხუმში, გასულ საუკუნის ოთხმოციან წლებში უკვე იმართებოდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენები, რომლის შემოსავალი ხმარდებოდა სახალხო საქმეს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი შესაძლებელი გახდა პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარება. 1928 წლიდან სოხუმში მუშაობა დაიწყო მუდმივმა პროფესიულმა დასმა. სოხუმში ამჟამად ორი დასი — აფხაზური და ქართული ერთად მუშაობს. მუშაობაში წარმოდგენილი მასალები სრულყოფილად მოუთხრობს მსახველთ ორთვე დასის შემოქმედებითს გზაზე.

დოკუმენტებში შეიძლება ნახოთ ძვირფასი



ცნობები ლ. მესხიშვილის, შ. დადიანის, ვ. გარეის, გ. ჯავახიშვილის, ს. ჭელიძის, ვ. მურღულიას, გ. ვაბუნიას, გ. ყურულის, ვ. ყუშიტაშვილის, ბ. გამრეკელის, დ. ძნელაძის, ლ. მიტროპოლიტის, ვ. ვასაძის, ა. ქუთათელაძის, მ. კუჭუხიძის, ვ. მრევლიშვილის და სხვა რეჟისორების მიერ სოხუმში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

აქვეა ცნობილ მსახიობთა პორტრეტები, რომლებიც სხვადასხვა სეზონებში ამშვენებდნენ როგორც ქართულ, ისე აფხაზურ დასს.

მდიდარი მასალები მოგვეპოვება აფხაზური დასის მიერ გადახდილ იუბილეს შესახებ, ბა-

თუმსა და ჩერკასიაში მათ მიერ ჩატარებულ გასტროლებზე, აგრეთვე თბილისსა და ოდესაში ქართული დასის გასტროლებზე, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების პირველ დეკადაზე საქართველოს დედაქალაქში. აქვეა მასალები დიდ სამამულო ომში თეატრის მუშაობა მონაწილეობის შესახებ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სოხუმის თეატრალური მუზეუმს დიდ დახმარებას უწევს საქართველოს თეატრალური მუზეუმი, კერძოდ, მისი ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ბუხნიკაშვილი.

**6. შიქარაშვილი**

**ზესტაფონის სახალხო თეატრი**

4 ოქტომბერს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და უ. ჩხეიძის სახელობის ზესტაფონის სახალხო თეატრმა, ზესტაფონის საზოგადოებრიობასთან ერთად, მოაწყეს ამ თეატრის მსახიობების ანიკო აბოშაძისა და პაპუნა კახიანიანის შემოქმედებითი საღამო.

— ზესტაფონი, — განაცხადა თავის შესავალ სიტყვაში ზესტაფონის რისასპოს კულტურის განყოფილების გამგე ანტ. კ. ლომინაშვილმა, — ცნობილია თავისი თეატრალური ტრადიციებით. აქ ყოველთვის დუღდა თეატრალური ცხოვრება. ამ კუთხიდან გამოსული მრავალი მოღვაწე ამშვენებდა და დღესაც ამშვენებს ქართულ სცენას.

წლების მანძილზე, — დასძენდა იგი, — ზესტაფონის სცენაზე დაუღალავად მოღვაწეობდნენ ნ. ცერცვაძე, ნ. ასათიანი, ლ. პარფენოვი, დ. უფლისაშვილი, ლ. იუროშიძე, შ. შაორშიძე, ფ. და თ. არაბიძეები, თ. ჯაფარიძე, ი. აბაშიძე, დ. ქველიძე, ს. კაკაბაძე, ს. ახალაძე, გ. ციციშვილი, გ. თალავაძე, ნ. დეისაძე, გ. სებისკვერაძე, დ. უფლისაშვილი, ვ. წერეთელი, ო. და გ. მიშველიძეები და სხვანი, ხოლო დღეს უ. ჩხეიძის სახ. ზესტაფონის სახალხო თეატრში ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან: ნ. წერეთელი, ა. ბაბუაძე, კ. გოგიჩიძე, ა. სოფროშაძე, ე. ბეჟუაშვილი, ა. ქანკვეტაძე, ო. გოციანიძე, შ. ფოცხვერაშვილი, ლ. თავაძე, რ. აბესაძე, რ. ნებიერიძე, რ. ლულუნიშვილი და ჩვენი დღევანდელი იუბილარები — ა. არაბიძე და პ. კახიძე. ისინი თავიანთი ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით უმწიკლოდ ემსახურებიან ჩვენი რაიონის მოსახლეობას. ზესტაფონელნი დიდად აფასებენ მათ ღვაწლს და დღეს სიხარულით აღნიშნავენ მათ შემოქმედებითი საღამოს.

მომხსენებით გამოვიდა გ. ხიჯაკაძე. ანიკო არაბიძე და პაპუნა კახიძე, — თქვა მომხსენე-

ბელმა, — დიდი ხანია ზესტაფონის თეატრის სცენაზე მოღვაწეობენ.

პ. კახიძეს, — დასძენს მომხსენებელი, — როგორც რეჟისორს მრავალი სპექტაკლი აქვს დადგმული, ხოლო როგორც მსახიობს განხორციელებული აქვს 30-ზე მეტი როლი, მათ შორის: ონისე — „ხევისბერი გოჩაია“, მაცაშვილი — „ბაში-აჩუქი“, ავაბო — „ქაშიანების ასულში“, ავგია — ლ. სანიკიძის „მედეაში“ და სხვ.

ანიკო აბაშაძის სცენაზე გამოჩენა ყოველთვის სიხარულს ჰგვრის ზესტაფონელ მაყურებელს, — ამბობს მომხსენებელი. ა. არაბიძე რასასპოს საგზაო ტექნიკოსად მუშაობდა, მაგრამ თეატრის სიყვარულმა 1942 წელს ზესტაფონის თეატრში მოიყვანა. მისი პირველი როლი იყო ზოია — გ. მდივნის „პარტიზანებში“.

ამ დღიდან მოყოლებული, — თქვა მომხსენებელმა, — ანიკო არაბიძე თავის სამსახურებრივ მოვალეობასთან ერთად, ერთგულად ემსახურება მშობლიური კუთხის მშრომლებს თავისი სასცენო შემოქმედებით.

იუბილარებს გულთბილად მიესალმნენ: საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით — დ. ანთაძე, პროფკავშირების მხატვრული თვითმომქმედების რესპუბლიკური სახლის სახელით — ა. დევიძე, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის სახელით — ნ. გომართელი, საქაფხიდან — ალ. კოკაია, საქ. კ. ზესტაფონის რაიონისა და რასასპოს სახელით — ვ. ბაქრაძე, საქ. ალკ. ზესტაფონის რაიონის სახელით — დ. თურქაძე, კულტურის მუშაობა პროფკავშირის რაიონის სახელით — პ. ვურული და სხვ.

იუბილარებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების საპატრო სიგელები გადასცა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მდივანმა დ. ჩხეიძემ.

**ნიკო კვცილიაძე**

## მნიშვნელოვანი თარიღები

- 6 იანვარი — 1900 წელს დაიბადა ზურაბ ზურაბის ძე ტუავეცი, სსრკ დამსახურებული არტისტი (დაბადების 70 წლისთავი).
- 14 იანვარი — ქართული თეატრის დღე. (გიორგი ერისთავის თაოსნობით ქართული თეატრის აღდგენის 120 წლისთავი).
- 15 იანვარი — 1795 წელს დაიბადა ა. ს. გრიბოედოვი (დაბადების 175 წლისთავი).
- 19 იანვარი — 1910 წელს დაიბადა ნინო შალვას ასული რამიშვილი, სსრკ სახ. არტისტი (დაბადების 60 წლისთავი).
- 26 იანვარი — 1920 წელს გარდაიცვალა გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი, პუბლიცისტი, თეატრის მოღვაწე (გარდაცვალების 50 წლისთავი).
- 27 იანვარი — 1895 წელს დაიბადა ნინო ილიას ასული წინამძღვარი (წინამძღვრბეილი), სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 75 წლისთავი).
- 1 თებერვალი — 1850 წელს დაიბადა იოსებ ზოსიმეს ძე ბაქრაძე, პოეტი, მთარგმნელი და თეატრის მოღვაწე (დაბადების 120 წლისთავი).
- 1 თებერვალი — 1920 წელს გარდაიცვალა გიორგი ნიკოლოზის ძე არაღელი-იშხნელი, რევოლუციამდელი ქართული თეატრის გამორჩენილი მსახიობი (გარდაცვალების 50 წლისთავი).
- 6 თებერვალი — 1895 წელს დაიბადა ლევან პეტრეს ძე ფალიაშვილი, კომპოზიტორი, სსრკ ხელ. დამს. მოღვაწე (დაბადების 75 წლისთავი).
- 7 თებერვალი — 1860 წელს დაიბადა დავით სიმონის ძე მესხი, მწერალი, თეატრის მოღვაწე (დაბადების 110 წლისთავი).
- 14 თებერვალი — 1900 წელს დაიბადა მალიკო ნიკოლოზის ასული მრეველიშვილი, პედაგოგი, სსრკ ხელ. დამსახ. მოღვაწე (დაბადების 70 წლისთავი).
- 15 თებერვალი — 1910 წელს დაიბადა გენადი (გენო) ლეონტის ძე ქელბაქიანი, დრამატურგი (დაბადების 60 წლისთავი).
- 16 თებერვალი — 1910 წელს დაიბადა დამიანე ნეტარის ძე ჩიჭინია, თეატრის მხატვარი, სსრკ ხელ. დამს. მოღვაწე (დაბადების 60 წლისთავი).
- 17 თებერვალი — 1895 წელს დაიბადა ალექსანდრე დიმიტრის ძე ალაზნისპირელი, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 75 წლისთავი).
- 21 თებერვალი — 1820 წელს დაიბადა ზურაბ ნაზარის ძე ანტონოვი, დრამატურგი და თეატრის მოღვაწე (დაბადების 150 წლისთავი).
- 21 თებერვალი — 1880 წელს ქუთაისში პირველად გაიხსნა მუდმივი დრამატული დასის სეზონი (90 წელი გახსნიდან).
- 24 თებერვალი — 1910 წელს დაიბადა რუსულან (რაისა) ალექსანდრეს ასული ბერიძე, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 60 წლისთავი).
- 26 თებერვალი — 1900 წელს დაიბადა პოლიკარპე (პოკო) ლევანის ძე მურღულია, სსრკ ხელ. დამს. მოღვაწე (დაბადების 70 წლისთავი).
- 7 მარტი — 1910 წელს დაიბადა მიხეილ დიმიტრის ძე ჩუბინიძე, სსრკ სახ. არტისტი (დაბადების 60 წლისთავი).
- 8 მარტი — 1910 წელს დაიბადა დიმიტრი (დოდო) ალექსის ძე ალექსიძე, რეჟისორი, სსრკ

- და უკრ. სსრკ სახ. არტისტი დაბადების 60 წლისთავი).
- 10 მარტი — 1920 წელს დაიბადა ვიქტორ ვიქტორის ძე ნინიძე, სსრკ სახ. არტისტი (დაბადების 50 წლისთავი).
- 12 მარტი — 1910 წელს დაიბადა ვახტანგ მიხეილის ძე ჭაბუკიანი, ბალეტმეისტერი, სსრკ სახ. არტისტი (დაბადების 60 წლისთავი).
- 13 მარტი — 1920 წელს დაიბადა გიორგი გაბრიელის ძე ხმაღაძე, სახალხო თეატრის რეჟისორი, სსრკ ხელ. დამს. მოღვაწე (დაბადების 50 წლისთავი).
- 15 მარტი — 1920 წელს დაიბადა ანდრია ალექსანდრეს ძე კობლაძე, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 50 წლისთავი).
- 22 მარტი — 1920 წელს დაიბადა დარეჯან ვლადიმერის ასული ძნელაძე, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 50 წლისთავი).
- 27 მარტი — თეატრის სამართავორის დღე.
- 28 მარტი — 1920 წელს დაიბადა ბორის ნიკოლოზის ძე თოფურაძე, სსრკ დამსახ. არტისტი (დაბადების 50 წლისთავი).
- 4 აპრილი — 1910 წელს დაიბადა თეოდოსია ბესარიონის ასული შედანი, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 60 წლისთავი).
- 5 აპრილი — 1910 წელს დაიბადა იოსებ გაბრიელის ძე ცხვირაშვილი, სსრკ სახ. არტისტი (დაბადების 60 წლისთავი).
- 9 აპრილი — 1890 წელს დაიბადა ელენე იოსების ასული დონაუჩი, სსრკ სახ. არტისტი (გარდაც. 1945 წ., დაბადების 80 წლისთავი).
- 13 აპრილი — 1870 წელს დაიბადა ივანე ნიკოლოზის ძე პერესტიანი, კინორეჟისორი, სსრკ სახ. არტისტი (დაბადების 100 წლისთავი).
- 20 აპრილი — 1960 წელს დაიბადა მარიამ ლემურია, სახალხო თეატრის მოღვაწე, გარდ. 1910 წ. (დაბადების 110 და გარდაცვალების 60 წლისთავი).
- 25 აპრილი — 1895 წელს დაიბადა ალექსანდრა ფილიპეს ასული ივერიელი (მასხარაშვილი), სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 75 წლისთავი).
- 27 აპრილი — 1900 წელს დაიბადა გრიგოლ ზაქარიას ძე ჩხიკვაძე, კომპოზიტორი, სსრკ ხელ. დამს. მოღვაწე (დაბადების 70 წლისთავი).
- 27 აპრილი — 1920 წელს დაიბადა შოთა ალექსანდრეს ძე კიკნაძე, ოპერის მსახიობი, სსრკ სახ. არტისტი (დაბადების 50 წლისთავი).
- 29 აპრილი — 1895 წელს დაიბადა აკაკი ალექსის ძე ხორავა, სსრკ სახალხო არტისტი (დაბადების 75 წლისთავი).
- 2 მაისი — 1900 წელს დაიბადა ბორის ალექსანდრეს ძე გამრეკელი, სსრკ დამსახ. არტისტი (დაბადების 70 წლისთავი).
- 2 მაისი — 1920 წელს დაიბადა გიორგი მელიტიონის ძე პატარაია, მოცეკვავე, ბალეტის მსახიობი, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 50 წლისთავი).
- 6 მაისი — 1910 წელს დაიბადა ოვლა ონიხიმეს ასული კანდელაკი, აფხ. ასრ. დამს. არტისტი (დაბადების 60 წლისთავი).
- 10 მაისი — 1920 წელს დაიბადა ლილი მი-

ხელის ასული იაშვილი, კომპოზიტორი, სსრკ ხელ. დამსახ. მოღვაწე (დაბადების 50 წლისთავი.)

14 მაისი — 1900 წელს დაიბადა ალექსანდრა მელიტონის ასული ფოცხვერაშვილი, ლიტერატორი, სსრკ ხელ. დამს. მოღვაწე (დაბადების 70 წლისთავი).

17 მაისი — 1870 წელს დაიბადა ნიკოლოზ ივანეს ძე შიუკაშვილი, დრამატურგი (დაბადების 100 წლისთავი).

25 მაისი — 1900 წელს დაიბადა ანა დიმიტრის ასული ვარდიანაშვილი, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 70 წლისთავი).

26 მაისი — 1900 წელს დაიბადა მიხეილ ევგენის ძე სვანიძე, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 70 წლისთავი).

6 ივნისი — 1895 წელს დაიბადა სამსონ დიმიტრის ძე ნადარეიშვილი, სსრკ სახ. მხატვარი, ხელ. დამს. მოღვაწე (დაბადების 75 წლისთავი).

22 ივნისი — 1895 წელს დაიბადა გრიგოლ (გარი) ვასილის ძე ბარხუდაროვი, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 75 წლისთავი).

26 ივნისი — 1920 წელს დაიბადა ივანე სერგოს ძე დარბუაშვილი, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 50 წლისთავი).

9 აგვისტო — 1945 წელს დაარსდა საქართველოს თეატრალური საზოგადოება (დაარსების 25 წლისთავი).

29 აგვისტო — 1910 წელს გარდაიცვალა ნატო მერაბის ასული გაბუნია-ცაგარელი (გარდაცვალების 60 წლისთავი).

31 აგვისტო — 1900 წელს დაიბადა ალექსანდრე ილიას ძე მიქელაძე, რეჟისორი, სსრკ ხელ. დამს. მოღვაწე (დაბადების 70 წლისთავი).

12 სექტემბერი — 1875 წელს ტხინვალში დაიღვა პირველი ქართული წარმოდგენა (დადგმის 95 წლისთავი).

14 სექტემბერი — 1910 წელს დაიბადა მავრ იაკობის ძე პიესცვი, (სსრკ სახ. არტისტი (დაბადების 60 წლისთავი).

24 სექტემბერი — 1845 წელს დაიბადა სერგეი სიმონის ძე მესხი, ჟურნალისტი, თეატრის მოღვაწე (დაბადების 125 წლისთავი).

29 სექტემბერი — 1890 წელს დაიბადა სოფიო ივანეს ასული ანკარა-უფიშვილი, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 80 წლისთავი).

29 სექტემბერი — 1895 წელს დაიბადა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რეჟისორი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თაყაიშვილი (დაბადების 75 წლისთავი).

30 სექტემბერი — 1900 წელს დაიბადა შალვა ტრიფონის ძე ინასარი (ინასარიძე), რეჟისორი, სსრკ ხელ. დამს. მოღვაწე (დაბადების 70 წლისთავი).

2 ოქტომბერი — 1845 წელს თბილისის მანეთის თეატრში დაიღვა პირველი რუსული წარმოდგენა (დადგმის 125 წლისთავი).

4 ოქტომბერი — 1910 წელს დაიბადა ასია ივანეს ასული ასებაშვილი, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 60 წლისთავი).

11 ოქტომბერი — 1900 წელს დაიბადა დავით (დოდო) კონტანტინეს ძე ანთაძე, სსრკ სახ. არტისტი (დაბადების 70 წლისთავი).

11 ოქტომბერი — 1920 წელს დაიბადა ეთერ ივანეს ასული ჩაჩავა, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 50 წლისთავი).

13 ოქტომბერი — 1845 წელს დაიბადა ხარლამბი ივანეს ძე სვანელი, ქართული მუსიკალური კულტურის გამორჩენილი მოღვაწე (გარდაცვალების 125 და გარდაცვალების 80 წლისთავი).

15 ოქტომბერი — 1895 წელს დაიბადა დავით იასონის ძე ანდლულაძე, სსრკ სახ. არტისტი (დაბადების 75 წლისთავი).

20 ოქტომბერი — 1900 წელს დაიბადა ივანე (კუყური) ერმილეს ძე პატარძიძე, სსრკ ხელ. დამს. მოღვაწე (დაბადების 70 წლისთავი).

21 ოქტომბერი — 1910 წელს დაიბადა გიორგი მიტროფანეს ძე ახვლედიანი, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 60 წლისთავი).

23 ოქტომბერი — 1890 წელს გარდაიცვალა დავით გიორგის ძე ერისთავი, თეატრის მოღვაწე, დრამატურგი, ჟურნალისტი (გარდაცვალების 80 წლისთავი).

23 ოქტომბერი — 1900 წელს დაიბადა თინათინ დავითის ასული ჩარკვიანი, სსრკ დამს. არტ. (დაბადების 70 წლისთავი).

24 ოქტომბერი — 1920 წელს დაიბადა ეკატერინე გიორგის ასული ვაჩნაძე, სსრკ დამს. არტ. (დაბადების 50 წლისთავი).

25 ოქტომბერი — 1920 წელს დაიბადა მარინე სტანისლავის ასული თბილელი, სსრკ სახ. არტისტი (დაბადების 50 წლისთავი).

14 ნოემბერი — 1900 წელს დაიბადა ნინო სარდიონის ასული ალექსი-მესხიშვილი, სსრკ დამს. არტ. (დაბადების 70 წლისთავი).

18 ნოემბერი — 1920 წელს დაიბადა ნინო ვასილის ასული ზაღდასტანიშვილი, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 50 წლისთავი).

21 ნოემბერი — 1910 წელს დაიბადა იპოლიტე ალექსანდრეს ძე ზვიჩა, სსრკ სახ. არტისტი (დაბადების 60 წლისთავი).

23 ნოემბერი — 1920 წელს გარდაიცვალა ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი (გარდაცვალების 50 წლისთავი).

10 დეკემბერი — 1900 წელს დაიბადა იონა ლუკას ძე ვაკელი (მეგრელიძე), დრამატურგი (დაბადების 70 წლისთავი).

11 დეკემბერი — 1940 წელს გარდაიცვალა მარიამ (მაკო) მიხეილის ასული საფაროვი-ანაშიძე, სსრკ სახ. არტისტი, დაიბადა 1860 წ.) გარდაცვალების 30 და დაბადების 110 წლისთავი).

17 დეკემბერი — 1945 წელს დაარსდა საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლი, სსრკ სახ. არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუბიშვილის ხელმძღვანელობით (დაარსების 25 წლისთავი).

25 დეკემბერი — 1910 წელს დაიბადა ალექსანდრე გრიგოლის ძე ბეგალოშვილი, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 60 წლისთავი).

25 დეკემბერი — 1910 წელს დაიბადა ვლადიმერ ილიას ძე მიქინაძე, სსრკ დამს. არტისტი (დაბადების 60 წლისთავი).

შეადგინა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა სულიკო ხეტეშვილმა.

## თეატრალური ლიგერაგურის ბიბლიოგრაფია

1921—1945

- აბრამიშვილი მ.** — ძველი ქართული თეატრი. (ისტორიული მიმოხილვა). ქუთაისი, „მეცნიერება საქართველოში“, 1925.
- ალექსი-მესხიშვილი ვ.** — ლადო-ალექსი-მესხიშვილი. თბ., „შრომა“, 1929.
- არაყიშვილი დ.** — ნოტების შესასწავლი ანბანი. ნაწ. 1-ლი, თბ., „შრომა“, 1923.
- არაყიშვილი დ.** — ქართული მუსიკა (მოკლე ისტორიული მიმოხილვა, მ. იპოლიტოვ-ივანოვის წინასიტყვაობით), ქუთაისი, „მეცნიერება საქართველოში“, 1925.
- არაყიშვილი დ.** — ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და აზომვა. რედაქცია და ლექსიკონი გრ. ჩხიკვაძისა, თბ., „ტექნიკა და შრომა“, 1940.
- ახალი და ძველი რევოლუციური. თანამედროვე და საქართველოს ყველა კუთხის სახალხო მუსურ-გლეხური სიმღერების ლექსთა კრებული სახალხო მომღერალთა გუნდებისათვის. მიხეილ კავკასიის სახალხო მომღერალთა გუნდის მიერ გამოცემული. 1927.**
- ახანოშვილი შ.** — ბ. ი. ჩაიკოვსკი საქართველოში თბ., სახელგამი, 1940.
- გერსამია სერ.** — მაკო საფაროვი — აბაშიძისა (დაბადების 80 წლისთავის გამო), თბ., თეატრალური მუზეუმი, 1940.
- გრიშაშვილი — ელისაბედ ჩერქეზიშვილი.** თბ., საიუბილეო კომიტეტი, 1926.
- გრიშაშვილი ი.** — ნიკო გოცირიძე. (სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავის გამო). საიუბილეო გამოცემა, თბ., 1924.
- გრიშაშვილი ი.** — ნიკო გოცირიძე. ბიოგრაფიული ესკიზი. საიუბილეო გამოცემა. სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავად, თბ., 1934.
- დადიანი შ.** — ტასო აბაშიძე. სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავად. თბ., 1924.
- დიდრო დ.** — პარადოქსი აქტიორზე. თარგმანი ფრანგულიდან ივ. მაკავარიანისა. თბ., „საბჭოთა ხელოვნება“, 1939.
- „დურუჯი“.** სადღესასწაულო გამოცემა. ჩვენს მასწავლებელს, საპატიო კორპორანტს კოტე მარჯანიშვილს (კრებულის), თბ., 1926.
- ელისაბედ ჩერქეზიშვილი.** 1886—50 თბ., საიუბილეო კომიტეტის გამოცემა, 1937.
- ეფემია მესხი.** 40 წელი სასცენო მოღვაწეობისა. თბ., საიუბილეო კომ-ტი., 1922.
- ვაგანოვა ა. ი.** — კლასიკური ცეკვის საფუძვლები, თარგმანი ლილი გვარამიძისა. თბ. „ფედერაცია“.
- ვანო სარაჯიშვილი.** — მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი. (თბ. თეატრალური მუზეუმი, 1941).
- ზურაბიშვილი ი.** — ვანო სარაჯიშვილი (პორტრეტი). თბ. „ტექნიკა და შრომა“, 1939.
- ზურაბიშვილი ი.** — ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. შალვა ბუაჩიძის წინასიტყვაობით, თბ., „ტექნიკა და შრომა“ 1941.
- თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის გასტროლები. ელიზბარ პოლუ-მორდვიხოვის რედაქციით, თბ., 1929.**
- თეატრების 8 საათიან სამუშაო დღეზე და 7 დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებულ ლიტონისტიების შესახებ. თბ., სახკომ-საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო, 1940.
- იმედაშვილი ი.** — ლადო აღნიაშვილი (1860—1904), ცხოვრება-მოღვაწეობა (გარდაცვალებიდან 25 წ. შესრულების გამო), თბ., „შრომა“, 1929.
- კაანელი კ.** — მოცარტი, ბეთჰოვენი, ვაგნერი. თბ., სახელგამი, ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის სექტორი, 1937.
- კარგარეთელი ია.** — მოკლე პოპულარული სამუსიკო ენციკლოპედია. თბ., სახელგამი, 1923.
- კოლექტიური ხელშეკრულება, დადებული თბილისის სახ. ოპერის აღმინისტრაციისა და გაერთიანებულ ადგილობრივ კომიტეტს შორის. თბ., 1932.**
- კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბიოგრაფია. თბ., სახელგამი, 1936.
- ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის **სახელმწიფო თეატრი.** გასტროლები, თბილისში. თბ., პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, 1941.
- მანაგაძე შ.** — გრიმი (თეატრი-კინო). თბ., სახელგამი, 1926.
- მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი.** 1928—1938. საიუბილეო კრებული (ბ. გოგუას შესავალი წერლით „მნიშვნელოვანი თარიღი“). თბ., მარჯანიშვილის სახ. თეატრის გამოცემა, 1939.
- მესხი დ.** — მოგონებანი. თბ., „ფედერაცია“, 1940.
- მრევლიშვილი მ.** — ქართული სასცენო მეტრეკელების ფონეტიკური საფუძვლები თბ., მეც. აკად. გამ-ბა, 1945.
- ნადირაძე გ.** — ნიკო სულხანიშვილი. მონოგრაფია. თბ., სახელგამი, 1937.
- ნიკო გოცირიძის XXX წლის საღამო-ზეიმი სახალხო თეატრში.** თბ., 1924.
- 50 წელიწადი.** საგარეგოს თეატრი, 1876 — 1926. თბ., „კომუნისტის სტ.“, 1926.
- 35 წლის სამუსიკო და საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწეობის აღსანიშნავად. ია კარგარეთელი.** ძვირფას მასწავლებელს უძღვნიან, თბილისის ყოფილი სასულიერო სემინარიის მოწაფეები. 1923:
- რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ ვიქტორ ნინიძის XXX წლის სასცენო მოღვაწეო-

\* გაგრძელება. იხ. „თეატრალური მოამბე“ № 5.

ბის აღსანიშნავი იუმბლეს პროგრამა თბ., 1935.  
რუსულბოლის დამასხურებელი არტისტი ლე-  
ონი ისეცის საარტისტო მოღვაწეობის 20  
წლისთავის აღსანიშნავად. თბილისის სახელმწი-  
ფო ოპერის თეატრი, თბ., 1938.

**რუსთაველის თეატრი.** კრებული. თბ., რუს-  
თაველის თეატრის მუზეუმი, 1934.

**რუსთაველის თეატრი.** (ალბომი), თბ., რუს-  
თაველის თეატრის მუზეუმი, 1935.

**რუსიშვილი-ყორჩიბაში გ.** — სიმღერა და  
მეტყველება. თბ., პოლიგრაფ სკოლა, 1928.  
სამხრეთ ოსეთის ხელოვნების ჩვენება თბი-  
ლისში, 1940.

**სახლხო თეატრი** 1893—1923. (საიუმბილეო  
გამოცემა. კრებული), თბ., 1923.

**სახელმწიფო ქართული დრამა კოტე მარჯა-  
ნიშვილის ხელმძღვანელობით.** გასტროლები  
ხარკოვსა და მოსკოვში, აპრილი-მაისი. თბ., სა-  
ხელგამი, 1930.

**შიუკაშვილი ნ.** — სულელი. პიესა 5 მოქ.  
7 სურათად. ლიბრეტო, 1937—1938 წლის სეზო-  
ნი. თბ., რუსთაველის თეატრის მუზეუმი, 1938.

**სხვიტარიძე ა.** — ძუქუ ლოლუა. პროფ.  
ი. აბულაძის წინასიტყვაობით. ქუთაისი, ავტო-  
რის გამოცემა, 1928.

**ფატმა მუხტაროვას XX წლის არტისტული  
მოღვაწეობის იუმბლე.** თბ., 1936.

**ფაღვა ა.** — ლადო მესხიშვილი. 1857—1920.  
მონოგრაფია, თბ., „ფედერაცია“, 1938.

**ქუთაის-ბათუმის ქართული დრამის თეატ-  
რი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით.**  
გასტროლები თბილისში, 1929.

**ქუთაისის თეატრი.** (არსებობის 60 წლისთა-  
ვისათვის, 1880—1950), ქუთაისი, 1940.

**ქუჩხული ი.** — აქ ტირილი, აქ ყვირილი  
როგორ იქნება... სიტყვა პირველი. თბ., სახელ-  
გამი, 1936.

**ილიკო ქუჩხული.** მონეტარული მუსიკოსი. თბ.,  
ტექნიკა და შრომა, 1936.

**შიუკაშვილი ნ.** — დიქცია და მხატვრული  
მეტყველება. თბ., სახელგამი, 1926.

**ჩერქეზიშვილი ე. ა.** მოგონებანი (წერილები,  
მოთხრობები და პიესა. შენიშვნები ი. გრიშა-  
შვილისა), თბ., „ფედერაცია“ 1941.

**ჩიკვაძე გ.** — მუსიკის ელემენტარული თეო-  
რია. სახელგამი, 1925.

**ჩიკვაძე გ.** — მუსიკის ელემენტარული თეო-  
რია. მე-2 შეესწავლილი და შესწორებული გა-  
მოცემა, თბ., სახელგამი, 1939.

**ქიათურის თეატრი.** თბ. საიუმბილეო კომი-  
ტეტის გამოცემა, 1937.

**ქიათურის თეატრის** 30 წლის საიუმბილეო  
ალმანახი. ქიათურა, საიუმბილეო კომისია, 1927.

**ხუჭუა პ.** — ჩაიკოვსკი (ცხოვრებისა და შე-  
მოქმედების მოკლე მიმოხილვა), თბ., სახელგა-  
მი, 1940.

**ჯავახიშვილი ი.** — ქართული მუსიკის ისტო-  
რის ძირითადი საკითხები, თბ., „ფედერაცია“  
1938.

**ჯანელიძე დ.** — ერთი სპექტაკლის ისტორი-  
ისათვის („შნის დაბნელება საქართველოში“),  
თბ., მარჯანიშვილის თეატრი, 1937.

**ჯანელიძე დ.** — პირველი სამკოთა სპექტაკ-  
ლი. თბ., მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმი,  
1936.

## 1946—1950

**ალექსიძე დ.** — მსახიობის აღზრდის საკი-  
თხისათვის. თბ., „ხელოვნება“, 1950.

**არაყიშვილი დ.** — რაქული ხალხური სიმლე-  
რები. თბ., „ხელოვნება“, 1950.

**არაყიშვილი დ.** — სცენარის ხალხური სიმლე-  
რები. თბ., „ხელოვნება“, 1950.

**ასლანიშვილი შ.** — ქართლ-კახეთის ხალხუ-  
რი საგუნდო სიმღერების პარმონია. თბ., სახელ-  
გამი, 1950

**აფხაძე ე.** — აკაი ხორავა. მონოგრაფია.  
თბ., „ხელოვნება“, 1948.

**ბაკურაძე ნ.** — ეოკალური ხელოვნების სა-  
კითხისათვის. თბ., „ტექნიკა და შრომა“, 1949.

**ბაკურაძე ნ.** — სასიმღერო ხმა და მისი მომ-  
ხალავის საკითხები. თბ., „ტექნიკა და შრომა“,  
1950.

**ბურთიაშვილი ა.** — ალექსანდრე სუმბა-  
თაშვილი-იუცინი. თბ., „ხელოვნება“, 1948.

**ბურთიაშვილი ა.** — ნატო გაბუნია (მონო-  
გრაფია). თბ., „ხელოვნება“ 1949.

**ბუნიაშვილი გ.** — გაბრიელ სუნდუქიანი  
(1825—1912). თბ., „ხელოვნება“, 1950.

**ბუნიაშვილი გ.** — კოტე მარჯანიშვილი  
(ბიოგრაფია). თბ., სსრ სახ. თეატრალური მუ-  
ზეუმი, 1947.

**ბუნიაშვილი გ.** — მოსკოვის მცირე თეატ-  
რი საქართველოში. თბ., საქ. პოლიტ. და მეცნ.  
ცოდნის გამაგრებელი სახ. 1949.

**ბუნიაშვილი გ.** — ქართული თეატრი 100

წლის მანძილზე. მოკლე მიმოხილვა. თბ., სა-  
ხელგამი, 1950.

**გერსამია ს.** — აკაი წერეთელი და ქართული  
თეატრი.

**გერსამია ს.** — ბათუმის თეატრი 70 წლის  
მანიძლზე (1870—1949), ბათუმი, აპარის სახელ-  
გამი, 1949.

**გერსამია ს.** — გიორგი ერისთავის თეატრი.  
თბ., საქ. სსრ პოლიტ. და მეცნ. ცოდნის გა-  
მავრც. სახ. 1949.

**გერსამია ს.** — გიორგი ერისთავის თეატრი  
თბ., სახელგამი, 1950.

**გერსამია ს.** — ვასო აბაშიძე. (მონოგრაფია,  
1854—1926), თბ., სახელგამი, 1949.

**გერსამია ს.** — ქუთაისის თეატრი (1861—  
1920), თბ., ხელოვნება, 1947.

**გვარამია ნ.** — თეატრალური მემორები. თბ.,  
სახელგამი 1949.

**გოგიაშვილი კ.** — ალექსანდრე ყაზბეგი ბათუმში,  
ბათუმი, 1948.

**გოციარიძე ნ.** — მოგონებანი. თბ., ხელოვნე-  
ბა, 1949.

**გრიშაშვილი ი.** — ძველ თეატრში. თბ., ხე-  
ლოვნება, 1948.

**დადიანი შ.** — რჩეული წერილები. თეატრი  
და დრამატურგია, „ხელოვნება“, 1950.

**დადიანი შ.** — ჩემი მარათ. მოგონებანი, სი-  
ტყვება და წერილები, თბ., საბლიტგამი, 1948.

**დონაძე დ.** — შალვა მშველიძე (მონოგრაფი-  
ული ნარკვევი). თბ., საქ. სსრ. მუსიკალური  
ფონდის გამოც., 1946.

**ზურაბიშვილი ი.** — ოთხი პორტრეტი. (მაკო, ვასო, ნატო, ლდო). თბ., „ხელოვნება“, 1948.

**ზურაბიშვილი ი.** — ხალხის შემოქმედი გენია. (ლექური, კახური, მრავალჯამიერი, ურმული). თბ., „ხელოვნება“ 1949.

**თავაძე თ.** — საქართველოს თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების გამოფენა. კატალოგი. თბ., საქ. მხატვართა ფონდის გამ-ბა, 1947. თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების გამოფენა. კატალოგი, შედგენილი თ. თავაძის მიერ. თბ., 1949 (ხელოვნების მუშაეთა სახლი).

**კაშმაძე შ.** — გატეხილი სალამური. მონოგრაფია ვ. სარაჯიშვილის შესახებ. თბ., საბლიტ-გამი, 1947.

**კაშმაძე შ.** — ვანო სარაჯიშვილი. მონოგრაფია. თბ., სახელგამი, 1947.

**კაშმაძე შ.** — ზაქარია ფალიაშვილი. თბ., სახელგამი, 1947.

**კაშმაძე შ.** — ზაქარია ფალიაშვილი. დოკუმენტურ-ბიოგრაფიული ნარკვევი, (პ. ხუჭუას წინასიტყვაობით), თბ., „ხელოვნება“, 1948.

**კაშმაძე შ.** — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი (მასალების ისტორიისათვის). ნაწ. 1-ლი, 1851—1921, თბ., „ხელოვნება“, 1950.

**კაშმაძე შ.** — სანდრო ინაშვილი. მონოგრაფია. თბ., „ხელოვნება“, 1948.

**მარჯანიშვილი კ.** — მემუარები და წერილები. (დ. ჯანელიძის წინასიტყვაობით), თბ., „ხელოვნება“, 1947.

**მრევლიშვილი მალიკო** — ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები.

**რუხაძე ტ.** — ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., „ხელოვნება“, 1949.

**საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდება**, დამტკიცებული, თბ., 1946.

**სტანისლავსკი კ.** — თეატრალური ხელოვნე-

ბა. კრებული შეადგინეს და თარგმნეს შ. კილასონიძემ და გ. ფრონისპირელმა. „ხელოვნება“, 1950.

**სტანისლავსკი კ.** — მსახიობის მუშაობა თავის თავზე განიკდის შემოქმედებით პროცესში. მოწაფის ღლიური. თარგმნა მ. მამულაძემ. სახელგამი, 1949.

**ქარელიშვილი ე.** — ალექსანდრე ოსტროვსკი (მონოგრაფია), თბ., „ხელოვნება“, 1948.

**ქართული საბჭოთა თეატრი** ოქტომბრის რევოლუციის XXX წლისთავზე. საქ. თეატრალური საზოგადოების პლენუმის მასალები. თბ., „ხელოვნება“ 1948.

**ქორელი მ.** — ფილიმონ ქორიძე: (1829—1911). ბიოგრ. ნარკვევი. თბ., „ხელოვნება“, 1949.

**შილიკაძე ვ.** — ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისათვის. თბ., „ხელოვნება“, 1949.

**ჩხეიძე ნ.** — მოგონებანი (თეატრის შესახებ). წინასიტყვაობა ბურთიკაშვილისა. თბ., „ხელოვნება“, 1950.

**ჩხეიძე უ.** — კოტე მარჯანიშვილი რეჟისორი და ხელმძღვანელი. თბ., „ხელოვნება“, 1949.

**ჩხიკვაძე გ.** — ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა, თბ., საქ. სსრ მუსიკ. ფონდის გამ-ბა, 1948.

**ხუჭუა პ.** — ანდრია ყარაშვილი (მონოგრაფია). წინასიტყვაობა და რედ. ვრ. ჩხიკვაძისა, თბ., საქ. სსრ მუსიკალური ფონდის გამ-ბა, 1946.

**ხუჭუა პ.** — მელიტონ ბალანჩივაძე, მონოგრაფია. თბ., „ხელოვნება“, 1950.

**ჯანელიძე დ.** — მასალები ქართული თეატრის ისტორიისთვის სამ წიგნად. წ. 1-ლი, ქართული თეატრის საწყისები. თბ., სახელგამი, 1948.

(გაგრძელება იქნება)

## СОДЕРЖАНИЕ

У подступов к новым вершинам . . . . .	3
Гугули Бухникашвили — Театр Георгия Эристави . . . . .	6
Теймураз Джангулашвили — Да здравствует грузинский театр . . . . .	8
Шалва Мачавариани — Почетный юбиляр . . . . .	9
Шалва Гозалишвили — Из истории грузинского театра . . . . .	13
Георгий Харатишвили — О постановке «Дон-Карлоса» . . . . .	16
Кале Бобохидзе — Верико Анджапаридзе . . . . .	18
Соломон Хуцишвили — Из недр библиотеки Гришашвили . . . . .	19
Елене Шанатава — Немецкая драматургия на Грузинской сцене . . . . .	22

### У театральной афиши республики

Нино Швангирадзе — Прошлый сезон Кутаисского театра . . . . .	24
Нино Кикодзе — «Медея» Л. Саникидзе в Цхинвальском театре . . . . .	26
На Абуладзе — «Криминальное танго» . . . . .	28
Этери Жоржелиани — Малыши аплодируют . . . . .	29
Лейла Кошкадзе — Благодать, таланта . . . . .	31
Харитон Вардошвили — Любовь к театру . . . . .	31

### Вспомним заслуженных

Эрекле Лукашвили — Александр Сумбаташвили . . . . .	32
Кетеван Хуцишвили — Григол Сулиашвили . . . . .	34
Павле Хмаладзе — Теофиле Хускивадзе . . . . .	37

### Хроника

Иосиф Гордуладзе — Праздник в Потти . . . . .	39
Роман Ломинадзе — Творческое содружество . . . . .	39
Михаил Гижимкрели — Сердечная встреча . . . . .	40
Николоз Микашавидзе — В музее Сухумского театра . . . . .	40
Нико Кевлишвили — В народном театре Зестафони . . . . .	41

### Театральный календарь, 1970.

Знаменательные даты . . . . .	42
Библиография театральной литературы . . . . .	44